

652 /  
1973/2



# საქართველო

1 9 7 3 3



**შინაარსი**

**ქოჩოჩი**

16194

ჯ. ჭათაშვილი — ლექსები . . . . .	3
ზ. როსტომი — ლუკა ივანიჩის ორი პარასკევი მოთხრობა დასასრული . . . . .	6
მ. ვარუანიძე — ლექსები . . . . .	27
ა. რუგუიანი — როგორ გაი- მითხრა? ლექსი . . . . .	31
ყ. გორგილაძე — ლექსები . . . . .	34
რ. ართილაძე — აბუნა ლექსი . . . . .	36
აღ. ჩხაიძე — ზღვა ხმელეთი- დან იწყება ნარკვევი . . . . .	38

**წ ე რ ი ლ ე ბ ი**

ა. ჩავლითვილი — ჰარმონიული შრტიერტობა . . . . .	54
ბ. ნაცვლითვილი — ვარდისა და ბულბულის სიმბოლიკა ძველ ქართულ მწერლობაში . . . . .	67

**ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა**

ა. შარაშიძე — მხატვარი და თანამედროვეობა საიუბილო გამოყენის დარბაზიდან . . . . .	80
--	----

ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
შურნალი

საქართველოს საბჭოთა  
მწერლების კავშირისა და  
აჭარის განყოფილების  
ორბანო

ბ ა თ შ მ ი — 1973

მ ა ი ს ი — ი ვ ნ ი ს ი

კ. მარქსის წახ. ს.  
სახელმწიფო რეს.  
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ნ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ.  
მდივანი), პ. ლორია, აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაშა.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.  
ტელეფონი — 33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.6.73, საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბანი.  
შეკვეთის № 2759, ემ 00061, ქაღალდის ზომა 60×90, ტირაჟი 2.040.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9  
(ლუქსემბურგის, 20).

\* \* \*

წაჭკიდებია მუზარადს ბინდი  
და შავი ტანკი ორმოში გდია.  
მინდა ვესროლო ყუმბარა სიკვდილს  
და თაიგული — სიცოცხლეს დიადს.

რომ არ გაუჩნდეს მშვიდობას ბზარი,  
რომ არ დაეცეს ჭურვები მიწას,  
ბინდს მივუხუროთ ოთხივე კარი  
და ცხრავე კარი გავუღოთ ცისკარს.

## კ უ რ ს კ თ ბ ნ

სადღაც ამ ველზე ბიძაჩემს სძინავს,  
თავზე დაეცა მტრის მძიმე მეჭვი.  
სადღაც ამ ველზე ჩაიკრა მიწამ  
ომში მოჭრილი ჩემი ძმის ფეხი.

სადღაც ამ ველზე, ამ არყის ახლოს,  
იყო ბრძოლები, რა საშინელი!  
და აქვე საძმო საფლავში სახლობს  
რუსი, ქართველი, უკრაინელი...

ო, ამ ტრამალებს,  
ამ ვრცელ ტრამალებს,  
რა დრო-ყამი არ გადაულახავს,  
და ველზე არყის ხე რომ კანკალებს,  
ის ყიამეთი თვალით უნახავს.



ისევ ღიაა მწვანე ფანჯარა,  
 ისევ ირხევა გარეთ ჭადარი.  
 მთვარემ ქვირითი ზღვაზე დაყარა,  
 ისევ გაცოცხლდა ტკბილი ზღაპარი.

ისევ გაიქცა ვიწრო ბილიკი,  
 როგორც ბაწარი ხევში გაბმული.  
 ისევ მომესმის წყაროს ქილიკი,  
 შრიალებს ვარდი თვალდანამული.

ისევ ჩინართან ჩრდილი ცოცხლდება  
 და სიყვარულის ძალა ფარული.  
 ისევ მთებიდან ამოცოცდება  
 მზე, ნისლებიდან გამოპარული.

წავა სიზმარის წვა-ნეტარება,  
 ვიცი, სიბერემ შური იძია.  
 არც ერთი გოგო არ მეკარება,  
 ყურებს მიჭედავს სიტყვა „ბიძია“.

ცას დაამშვენებს ისევ გუნდებად  
 ათასნაირი ჩიტთა წკრიალი.  
 წამით ბავშვობა დამიბრუნდება  
 და სიჭაბუკე ნაპერწკლიანი.

## ზ ლ ვ ა

ჩაიჩხრიალებს  
 კალთაში კენჭებს,  
 ვით ბრილიანტებს  
 ფერად-ფერადებს,  
 რაღაცას ჰკარგავს,  
 რაღაცას ეძებს  
 და ვერ პოულობს  
 მაინც ვერაფერს.

\* \* \*

ნუ მეფერები  
სიტყვებით ყალბით  
და ნუ მპირდები რაღაცებს მუდამ.  
ნუ ხატავ ფიქრებს ფუნჯით და ყალბით,  
სიყვარულს გულით დახატვა უნდა.

\* \* \*

ვამოუყვია კვირტს ნაზი თავი,  
როგორც ჩვილს მაგრად შეკრულს ფუთაში.  
ნისლები, ვითარ მატყლი სართავი,  
მთებს ჩაუყრია მწვანე გულაში.

\* \* \*

საქართველოს არ აკლია ლექსი,  
საქართველოს არ აკლია ქება,  
მოვარდება მუზა უტკბილესი  
და ბაგეზე ფანტელივით დნება.  
არ ვიმდერო?  
ქული მხურავს მესხის,  
მხიბლავს ნაზი ყვავილების კდმა...  
საქართველოს არ აკლია ლექსი,  
ჩემი ლექსიც ნუღარ დააკლდება.

---

შოთა როყვა

## ლუკი ივანიჩის ორი პარასკევი

V

გალღებული დირექტორი ისევ ზის თავის კაბინეტში და ტელეფონზე ლაპარაკობს.

— რაო? ხა, ხა, ხა! აბა, ფიქრობდნენ ცუდადაა მაგათი საქმეო, არა? ეგონათ ყველაფერი შეიცვლებაო? ო, მაგათი... რას ამბობ? ხა, ხა, ხა! მერე? ვა, ხა, ხა, ხა! ნუ მომკალი სიცილით. პოლკოვნიკი? ვდია ისევ საავადმყოფოში. რას იზამ, არ კვდება. ო, ძალღი მიაკვდება სულში! კი, ხალხი რას არ იტყვის. მათი სურვილი კი იყო ჩვენი მოხსნა-განიავება, მაგრამ მუხები ვართ, მუხები!

იცინის, კვდება სიცილით ლუკი ივანიჩი.

კარი შემოაღო ფარფაშამ.

— ლუკი ივანიჩ, ის ქალი მოვიყვანე.

— დაიცადოს. — მიუგო დირექტორმა.

— რომანოზოვიჩ! — განაგრძო ტელეფონზე ლაპარაკი, — მოდი, ამ ამბების აღსანიშნავად, კისლოვოდსკში ჩავფრინდეთ და ერთი ხრამვოზდუხზე ვიქეიფოთ. ლამაზებს იქაც ვნახავთ. ხარამო? მოვილაპარაკოთ მერე.

დაამთავრა თუ არა ლაპარაკი, ლუკი ივანიჩმა ფარფაშა იხმო.

— შემოათრიე, ერთი, მაი დედაკაცი! — გასძახა.

თეო აუჩქარებლად, ნელი ნაბიჯით შემოვიდა.

— მიცანით, ქალბატონო? — ირონით ჰკითხა დირექტორმა, — ხომ ისევ ლუკი ივანიჩი ვარ?

ქალი ერთხანს ღუმდა.

— რას მიბრძანებთ, რისთვის დამიძახეთ? — იკითხა მერე.

\* დასასრული. იხ. „ჭოროხი“, №№ 1, 2.



— დაბრძანდით, მოგახსენებთ.

თეო ჩამოჯდა.

— ახალი ამბავია, რამე? — მიაჩერდა ლუკის.

— კიდევ ახალი ამბავი გესიზმრებათ, ხომ? ამაზე დადიოლით ალექსანდრესთან ოჯახში, საავადმყოფოში? რაღაცას ელოდით, მაგრამ ჩაგვივარდათ კოვზი ნაცარში. დაიჯერეთ, ახლა? გაიგეთ რაშია საქმე? — კბილებს შორის ცრიდა სიტყვებს დირექტორი.

— ვერაფერი ვერ გავიგე, ლუკი ივანიჩ. მითხარით, რა გნებავთ, რისთვის გამომიძახეთ.

— ახალი ამბები მინდა გკითხოთ. რაო, ლუკის როდის მოხსნიანო? კიდევ რა ჭორები დადის ქალაქში?

ქალი აღელდა.

— ჭორები თქვენს მეუღლეს ჰკითხეთ, მე საქმეზე მიბარებდით მეგონა.

წარმოიდგინეთ, არ გაბრაზებულა ლუკი ივანიჩი.

— ჰო, რას შერებით, დადიხართ ისევ ალექსანდრესთან, თუ არა? — ისევ იკიობა მწვიდად.

— არ მესმის, რატომ მეუბნებით, ლუკი ივანიჩ. იქნებ დავდივარ. თქვენ რომ კაცი გძულდეთ, ამიტომ ჩვენც უნდა დავემდუროთ?

— მაინც რაო, რას ლაყობენ? რომ არ მომხსნეს, ძალიან გაბრაზებული ხართ?

— ვისზე გამარჯვებას ზეიმობთ, ლუკი ივანიჩ? — წყნარად უთხრა თეომ, — ძალიან კი გეშინოდათ! თქვენ თითონ გამოუტანეთ თქვენს თავს განაჩენი, აბაუურებიანად ყველაფერი გადამალეთ.

— ტყუილია, არავისი არ გვეშინოდა! — ხმას აუწია ლუკიმ.

— ის ვინ იყო, რომ მეუბნებოდა, კომისიას ასე და ასე უთხარიო და ამდენს და ამდენს მოგცემთო?

— მერე რატომ დაკარგე თუ რამეს გაძლევდნენ? ხომ ხედავ, მე მაინც დირექტორად დავრჩი და თქვენთვის არაფერიც არ შეცვლილა. თქვენს ჯინაზე დავრჩი!

— ო, ღმერთო! — წამოიძახა ქალმა და წამოდგა, — სხვა საქმე არაფერი გაქვთ?

— ჯერ ეს მინდოდა მეკიახა, საჩივრებს და ჩურჩულს დაანებებთ თავს თუ არა?

— თქვენ სულგრძელობა გაკლიათ, ლუკი ივანიჩ! — საესვებით მშვიდად მიუგო თეომ.

— კიდევ რა მაკლია? — ნიშნის მოგებით ჰკითხა ლუკიმ.

— კიდევ? კიდევ... ტყვია გაკლიათ შუბლში! — მართლაც ტყვიასავით მიახალა ქალმა.

— ხა, ხა, ხა! — სიცილით მოკვდა ღირექტორი, — ასე კი გემეტებით? არ მეგონა შენც თუ ასე ბოროტი ქალი იყავი.

— რატომ არ გეგონა? ამ ხნის ქალს მასხრად რომ მიგდებთ, ჩემი ბინა გაჰყიდეთ, მე უბინოდ დამტოვეთ და კიდევ რომ მამასხრებთ! ღირექტორის სახეზე ერთი კუნთიც არ შეტოვებულა.

— თუ გავყიდე, რატომ ვერ დამიმიტკიცეთ?

— თუ არ გავიყიდიათ, რატომ სამართალში არ გვაძლევ, ხომ გიჩივლეთ? თუ ეს შეურაცხყოფაა, რატომ თვითონ თქვენ არ გვიჩივით, კეთილი ბრძანდებით? მე თქვენ, ლუკი ივანიჩი, უფრო ჰკვიანი კაცი მეგონეთ. ამხელა ამბების შემდეგ თუ კიდევ გამომიძახებდით და ასეთ ლაპარაკს დამიწყებდით, ეს არ მეგონა. მარა, იზეიმეთ, იზეიმეთ...

თავი დააქნია და წასვლა დააპირა.

— დაიცა, ნაკაშიძე, — წყნარად უთხრა ლუკიმ, — შენ ხომ ასეთი ხარ, ჩემთვის ხომ ყველაფერი ცუდი გინდა, მაგრამ მე ბოროტებას ბოროტებით არ ვუპასუხებ, დიხ, კეთილი კაცი ვარ.

— ბევრჯერ გამოგცადეთ თქვენი სიკეთე.

— ახლა მომისმინეთ. — დიდსულოვნად თქვა ლუკი ივანიჩმა, — მიხვალ საბინაო სამმართველოში და მიიღებ ბინის ორდერს. მე ამხანაგებს მოველაპარაკე. ჰოდა, სამოთახიანი ბინა მოგეცით. გასაგებია?

ქალი დაფიქრდა. მერე გამოერკვა.

— მესმის, ლუკი ივანიჩი.

— სხვა რომ ჩემს ადგილას ყოფილიყო, ამას არ იზამდა, მაგრამ მე ასე გავაკეთე.

— გმადლობთ, ლუკი ივანიჩი. — მიუგო თეომ.

— ჰოდა, იმ პოლკოვნიკთან სიარულს თავი დაანებეთ. ნუ დადიხართ მასთან სახლში, საავადმყოფოში.

— მესმის, ლუკი ივანიჩი. — იმავე ტონით თქვა ქალმა.

— ასე, ახლა მიბრძანდით და ბინის ორდერი მიიღეთ. და მადლობა მაინც თქვით.

— არა, მე იმ ბინაში არ შევალ. ისეთ ბინაში, რომლის გულისთვის კარგი ადამიანები უნდა დავკარგო და შენი მადლობელი გავხდე, მასეთ ბინაში არ შევალ!

— არ შეხვალ? — კეთილი. ძალიან კარგი. მაშინ დასაწყრეთ, რომ ბინა არ გინდათ. დაწერეთ და მომიტანეთ. — ერთგვარი შემოფოტებით ეუბნება ღირექტორი, თან უკვირს, როგორ აცხადებს ქალი ბინაზე უარს.

— ადამიანი ბინას რომ ღებულობს, ეს სიხარულია, ზეიმი. თქვენ კი, ლუკი ივანიჩი, ზეიმი ჯოჯოხეთად გადამიქციეთ. თქვენ წამართვით, მარა მე მაინც მივიღებ.

— ფეხებს მიიღებთ! — აფეთქდა ლუკი ივანიჩი, — წადი, მოელა-

პარაკე იმას, ალექსანდრეს. ახალ დარიგებებს მოგცემს. მიიღებ! მე გაა-  
ლევდი, შენ არ გინდა, ხომ? აბა, ვნახოთ, რასაც მიიღებ!

ქალმა ერთი ნაბიჯი ნელა გადადგა დირექტორისაკენ.

— უფრო ღარიბი რომ ვიყავი, ცხოვრება ათჯერ მეტად მიხაროდნა  
ხვალის იმედი მქონდა. შენ, ლუკი ივანიჩი, ყოველგვარი იმედი მომისპე  
და სიცოცხლე გამიმწარე. თუ ხვალ კიდევ ჩემი ბედი შენს ხელში უნდა  
იყოს, ბინა კი არა, სიცოცხლეც არ მინდა ამ ქვეყანაზე. შე, მხეცო! —  
მოულოდნელად აფეთქდა ქალი და კარებისაკენ გაემართა. მერე შემობ-  
რუნდა.

— არა, არ შეგრჩება ადამიანის აბუჩად აგდება! — თქვა და კარე-  
ბში გავიდა.

დირექტორი სახტად დარჩა. არ მოელოდა ამ ამბავს. დაფიქრდა.

— არ ვიცნობთ ადამიანებს, — თავისთვის ფიქრობდა დირექტორი,  
— მეგონა მადლობას მეტყოდა, ბინისათვის ხელ-ფეხს დამიკოცნიდა.  
ალექსანდრეს წყევლა-კრულვითაც კი მოიხსენიებდა. მოხდა პირიქით.  
ასეთი ამაყი სული მაინც ვინ ჩაუნერგა? საოცარია! — ვერაფრით ვერ  
აეხსნა შექმნილი ვითარება ლუკი ივანიჩის.

ფიქრებიდან მინადორას ხმამ გამოარკვია.

— რას შვრები? — ჰკითხა მინადორამ.

თეო ნაკაშიძე იყო, მე თვითონ გამოვიძახე...

— მერე?

ლუკიმ ამოიოხრა.

— ამ ერთმა ქალმა მომკლა, ამან გამიშრო სისხლი! ისე, მეც სიტყვა  
ვერ მოვზომე, ძალიან შევტოპე.

— რაო, რა უნდა?

— ენით ხომ მომწამლა, ბინაზეც კი უარი მითხრა.

— როგორ, უფასოდ აძლევდი? — გაიკვირვა ცოლმა.

— გინდა არ გინდა, ახლა უნდა მისცე.

— გაგიყდი?! — შეუტია მინადორამ, — ახლა ორმაგი ფასი უნდა  
გადაახდევინო, დედა უნდა უტირო. ხომ დაინახე, ისინი ვერ მოგერიენ,  
თორემ სასიკვდილოდ გაგიმეტეს. უფასოდ არ დაუთმო არაფერი!

ლუკი ერთხანს დუმდა.

— შენ რა ჰქენი? — ჰკითხა მერე.

— ვნახე ანტონინა ილარიონოვნა. ცოტა დაიცადოსო და კომბინა-  
ტიდან გადავიყვანო.

— ერთი აქაურობას მომაშოროს და რასაც მოითხოვს, მივცემ. —  
შვებით თქვა ლუკი ივანიჩმა.

— მისაცემი უკვე მივეცი. ცოტა მომითმინეო და, კარგ ადგილს გა-  
მოგინახავო. მე საკურორტო სამმართველო მოვითხოვე.

— რაო, მერე? — გაიხარა ლუკიმ.

— ვეცდებიო.

— ანტონინა ილარიონოვნა თუ ვეცდება, საქმე ოცდაოთხ საათში გადაწყდება.

— რამდენ ხანში გადაწყდება, არ ვიცი, მაგრამ დამპირდა და მორჩა, მისი სიტყვა კანონია.

— ო, შენ გაიხარე, შენ გაიხარე! — გალალდა ლუკი ივანიჩი.

— ასე ვიცით ჩვენ! — დაუდასტურა პროკოფიევნამ.

უშანგიმ შინაურულად შემოაღო კარი.

სტუმრის დანახვა ესიამოვნათ.

უშანგიმაც იგრძნო თბილი მზერა და მინადორასთან მივიდა.

— გამარჯობათ, როგორ ბრძანდებით, მინადორა პროკოფიევნა?

— მტრის ჯინაზე! — სიტყვა მოუჭრა მინადორამ, — გვინდა უკეთესად ვიყოთ.

— იქნებით, ქალბატონო, — მთლად გაშინაურდა და დაიშაქრა უშანგი, — ჯერ სადა ხართ! აბა, გავიმარჯვეთ, არა? ხა, ხა, ხა!

— კი, გავიმარჯვეთ, მაგრამ გული მაინც არა მაქვს მთლად არხეინად. — თქვა ლუკი ივანიჩმა.

— ნუ გეშინია, ჩემო ლუკი, მუხასავით დგახარ, მუხასავით, ოღონდ ცოტა სურო გაქვს შემოხვეული. ხომ იცი, ხეს რომ სურო შემოეხვევა? — თქვა და გაიცინა უშანგიმ, — მაგრამ არაფერია, მაგ სუროსაც მოვიშორებთ.

— ბატონო უშანგი, რა ჰქენით, ჩემს ბიჭზე ნარკვევი რომ დამპირდით? — მოწიწებით ჰკითხა მინადორამ.

— გავაკეთებ ერთი პატარა საქმე მაქვს მოსაგვარებელი და მერე მაგასაც გავაკეთებ.

— უშანგია ჯიბგრო, — ახლოს მივიდა ლუკი ივანიჩი, — რა იქნება ის წერილი ცოტა შეასხვაფერო და ზევით, ცენტრალურ გაზეთში გაგზავნო?

— ჰო, მართლა! — იყვირა უშანგიმ, — მომილოცეთ, ახალი ჟიგულის გამოქყვანს. ახლა ერთი გარაჟის ამბავი მოვაგვარო და მერე მაგ წერილსაც გავგზავნი. ხვალ მივდივარ მანქანისათვის. ნეტა, შენც წამოხვიდოდე, ცოტას წავუპურმარილებდით და ხომ იცი, ასე კეთდება.

— ერთი მტრების ჯინაზე კი მინდა ზედა გაზეთში რომ გამომჭიმავდე.

— არხეინად იყავი, ახლა შენ ერთი გარაჟი დამირტყი და... ყველაფერს მოვესწრებით. — დააიმედა უშანგიმ.

კაბინეტში სიამტკბილობის ატმოსფერომ დაისადგურა.

მაგრამ ეს პირადი მდივნები... ზოგჯერ გირღვევენ მყუდროებას.

— ლუკი ივანიჩი, ელაპარაკეთ, ქალაქკომიდან რეკავენ. — კარებში  
თავი შემოჰყო ფარფაშამ.

ლუკის სახე გაუბრწყინდა.

— ხედავ, ასე მალე გადაწყვიტეს. ყოჩაღ, ანტონინა ილარიონო-  
ვნა! — თქვა და ყურმილი აიღო, — გისმენთ, იგნატიევიჩი. ჰო, ააა? ჰო,  
ჰო, ჰო. რას ამბობ, კაცო? როდის? მართლა? რას ამბობ! — უკვე გაუ-  
თავისუფლებიათ? მაშინებ, ხომ? რას ამბობ! აუ! — ყბა მოექცა ლუკი  
ივანიჩს.

— რა მოხდა? — გაიკვირვა ცოლმა.

— იგნატიევიჩი, არ მეხუმრო, მართალი მითხარი.

— რაო? — შუბლი შეიჭმუხნა უშანგიმ.

— არასასიამოვნო ამბავი! ახლა... შესაძლებელია... მართლაც... —  
ხმა წაერთვა ლუკის.

— გეკითხები, რა მოხდა? — გაცხარდა პროკოფიევნა.

— გაჩუმდი, ქალო! — იყვირა დირექტორმა, — კარგი, იგნატიევიჩი,  
კარგი, ნუ, რას იზამ. — თქვა და ყურმილი დადო.

— არ იტყვი? — შეუჩნდა უშანგი.

ლუკი ველარ ხედავდა იქ მყოფ მინადორასა და უშანგის.

მინადორას კაპასა ხმამ გამოათხიზლა.

— აა? ჰო! — უაზროდ ლულულეებდა ლუკი ივანიჩი, — ერთი,  
ხელი მომკიდეთ, მგონი, ცუდად ვხდები. სადა ვარ, ჩემს კაბინეტში ხომ  
ვარ? უშანგი, ბრუნავს, ბიჭო, დედამიწა, ბრუნავს!

— რა წაგეკიდა, კაცო?

— ჰო, რა მოხდა? — მეათეჯერ ჰკითხა ცოლმა.

— არაფერი, არაფერი. ყველაფერი კარგად იქნება. ხა, ხა, ხა!

უშანგის თითქოს ცივი წყალი გადაავლესო, მინადორას მიაჩერდა:

— გაგიჟდა?

## VI

ღიას, დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს.

ღღეს ღამე მოსდევს, ღამეს — ღღე, დრო თავისას შვრება და...

ერთ მშვენიერ ღღეს კომბინატს ახალი კომისია მოევლინა.

კომისია ქალაქში რამდენიმე სხვა დაწესებულებასაც იკვლევდა.  
ეტყობოდა, ახლა მარტო ერთი ან ორი კაცის საჩივრები არ იყო ამის მი-  
ზეზი.

კომისიას ახალგაზრდა კაცი, მშვიდობაძე, ხელმძღვანელობდა. მისი  
სახელი დიდი ავტორიტეტით არ ქუხდა, ამ პატარა ქალაქისათვის უც-  
ნობიც კი იყო. ამიტომ ჯერ არავინ იცოდა, ვის მიემხრობოდა ეს მშვი-

დობაძე და, საერთოდ, მიემხრობოდა ვინმეს თუ არა. მისი შემოწმებაც მიხედვით წინასწარ რაიმეს თქმა ძნელი იყო.

დაინტერესებულ პირთა და ცნობისმოყვარეთა წინასწარ ლრინტა-ციას ისიც აძნელებდა, რომ მშვიდობაძე რამდენიმე დღეს პირდაპირ დირექტორის კაბინეტში იჯდა და მნახველებს იქ ლებულობდა, ან თვითონ იბარებდა.

ერთი სიტყვით, ეს კაცი პატარა ქალაქისათვის გამოცანად იქცა.

დღეს უკვე მესამეჯერ დაიბარა თეო ნაკაშიძე კომისიის ხელმძღვანელმა.

ვინ იცის, იქნებ არც მშვიდობაძეს სიამოვნებდა, მაგრამ თეოს კი ნამდვილად მობეზრდა ამდენი კითხვა-პასუხი და ბოლოს გაბრაზდა კიდევ.

— გასაგებია, ქალბატონო. — გაელიმა მშვიდობაძეს.

— გასაგები კი არა, თქვენ რომ გიყურებთ, ნერვები მეშლება. — მოთმინება დაკარგა თეომ, — აქ იყვნენ, ათასი ახსნა-განმარტება მომთხოვეს, წავიდნენ და... არაფერი. პატარა საყვედური ლუკი ივანიჩს, დიდი საყვედური თეოს.

— როგორ თუ საყვედური? — ჰკითხა მშვიდობაძემ.

— უარესიც. გაფრთხილება. მუქარა! თქვენი ბრალია, ბატონო, ზედა უფროსების. ამათ თქვენ აძლევთ ამდენ უფლებას.

— არ მესმის.

— სულ არ გინდათ აწყენინოთ ამ მილიონერებს. არ გინდათ, თორემ რად უნდა ამდენი ძიება? ბინები გაჰყიდა? — გაჰყიდა. უბინოდ დაგვტოვა? — დაგვტოვა. მას დიდი და ფართო ბინები აქვს? — აქვს. თავზეხელაღებული დედაკაცი ჰყავს? — ჰყავს. ახლა მანქანები, აგარაკები... არ კმარა? კიდევ რაღა ძიება გინდათ?

— მართალი ბრძანდებით. — დაუდასტურა მშვიდობაძემ.

თეო ჩაფიქრდა. წამით განზე გაიხედა.

— მე კი ვბრძანდები, მაგრამ მინდა თქვენც მართალი ბრძანდებოდეთ. აქედან რომ წაბრძანდებით, აქ თქვენს ყოფნას შედეგი უნდა მოჰყვეს. აი, ეს მინდა!

— ნუ ლელავთ, მოჰყვება. — დაამშვიდა მშვიდობაძემ, — ახლა თავისუფალი ბრძანდებით.

თეო უცებ უხერხულობაში ჩავარდა, ხომ არ გადავაჭარბეო, გაიფიქრა.

— ბოდიში, თუ გაწყენინეთ. — თქვა წყნარად და კარებისკენ გაემართა.

— მოითმინეთ, — შეაჩერა მშვიდობაძემ და პატარა ქალაქზე რაღაც დაუწერა, — თუ ჩვენი უკმაყოფილოც დარჩეთ, აგერ ჩემი მისამა-

რთი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი. მშვიდობაძე. აქ ტელეფონის ნომრებიცაა. შეგიძლიათ დამიკავშირდეთ.

— გმადლობთ, ბატონო.

მშვიდობაძემ ისევ შეაჩერა.

— ოლონდ, იცოდეთ, ყველაფერი ერთბაშად არ მოგვარდება. ცოტა მოთმინებაც უნდა ვიქონიოთ.

— ცოტას კი არა, დიდ მოთმინებას ვიქონიებ, ბატონო, ოლონდ...

— ამ ამბებს ყველაფერს ჩავიტან და ამხანაგებს მოვახსენებ. — უთხრა მშვიდობაძემ.

— იცოცხლეთ, ბატონო.

კაბინეტში თეო უშანგიმ და მუსტომ შეცვალეს.

— შეიძლება? — თავაზიანობის გულისთვის იკითხა მუსტომ.

— მობრძანდით.

— გამარჯობათ. — პირველი მიესალმა უშანგი, — იცნობდეთ, ლუკა ივანიჩის ვაჟია.

— ეს კიდევ ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტია, უშანგი... ჰო, დევიშვილად იწერება.

— გისმენთ.

— მანქანა გელოდებათ, უფროსო, — საქმიანად დაიწყო უშანგიმ, — ერთი საათი უნდა შემოგვწიროთ. ცოტა უნდა წავისაუზმოთ.

— გმადლობთ, ჩაი გეახელით უკვე. — გულწრფელად თქვა მშვიდობაძემ.

— ჩაიო? — იყვირა მუსტომ, — აგერ, ავალთ მთაზე, ყველაფერი მზადაა.

— არა, მოსასწრები საქმეები მაქვს. თანაც ხალხი მყავს დაბარებული. — მოიბოდიშა მშვიდობაძემ.

— როგორ გეკადრებათ, უფროსო, — არ აცალა უშანგიმ, — ხალხი მოიცდის, აბა, მშიერი ხომ არ დარჩებით?

— გმადლობთ.

— მხოლოდ ერთი საათით, ბატონო. — ახლა მუსტომ აიღო ინიციატივა, — აგერ, მთაზე. იქიდან ზღვას გადმოვხედავთ, ხელისგულივით ჩანს ყველაფერი. იცით, რა პეიზაჟია?

— სხვა დროს კი შეიძლება, მაგრამ ახლა დაკავებული ვარ. — ისევ თავაზიანად თქვა მშვიდობაძემ.

— ნუ გეშინიათ, ქრთამს არ გაძლევთ, უფროსო, ისე გპატიებთ. — თქვა უშანგიმ და გადაიხარხარა.

მშვიდობაძე აენტო.

— კაცო, თქვენ დღეს არ მუშაობთ?!

— ვმუშაობთ, მაგრამ სტუმრის პატივისცემაც ვიცი, ქართველები ვართ, ხომ? სტუმარი ღვთისაა, ბატონო.

— მე თქვენი სტუმარი არა ვარ. საქმეზე ვარ გამოგზავნილი! — უკვე ცივად თქვა მშვიდობაძემ.

ღუმელი ჩამოვარდა.

გაოცებული იყო მშვიდობაძე, ეს ხალხი ვერ მოიგერია. ხედავდა, არც აპირებდნენ წასვლას.

უცებ საოცარი რამ მოხდა.

კარი გაიღო და კაბინეტში ალექსანდრე შემოვიდა. ტანს საავადმყოფოს ხალათი ემოსა, ფეხზედაც ფოსტლები ეცვა.

— ააჰ! — აღმოხდა გაოცებულ მშვიდობაძეს, როცა ალექსანდრე იცნო.

— ბოდიში, ამხანაგო მშვიდობაძე, — გაიღიმა ალექსანდრემ, — ასეთნაირად რომ შემოვიჭერი. რას იზამ, საავადმყოფოდან გამოვიპარე.

— როგორ შეიძლება, ბატონო, საავადმყოფოდან გამოქცევა?

— გუშინ ერთი ისეთი ამბავი დამრჩა თქვენთვის უთქმელი, წუხელ მთელ ღამეს არ დამეძინა.

— ქვეყანა რომ არიე, კიდევ რაღა დაგრჩა უთქმელი? — ცივი ღიმილით უთხრა მუსტომ.

— ახალგაზრდავ, არეულ ქვეყანას დააწყობენ, მაგრამ გაუზრდელ კაცს რა ეშველება, ხელახლა ვინ აღზრდის! — წყნარად უთხრა ალექსანდრემ.

— ახლა რა გინდათ, ბატონო ალექსანდრე! — დაიწყო უშანგიმ.

ალექსანდრე აენტო.

— რას გადამეკიდა ეს ადამიანი, სადაც წავედი ყველგან რომ მხვდება და ჭკუას მარიგებს! ვინ ხარ, რა ხარ, რა გინდა, ძმაო?... — უკვე თავს ვეღარ იკავებდა ალექსანდრე.

— ნუ ღელავთ, ბატონო. ახლავე დაბრუნდით საავადმყოფოში, — ამშვიდებდა მშვიდობაძე, — მე ხვალ დილითვე გინახულებ, თქვენს უნახავად თბილისში არ წავალ. დაბრუნდით ახლავე.

ალექსანდრემ ხელი ჩაიქნია.

— არა, ბატონო, მეტი მკურნალობა საჭირო არაა. მე საკმარისად ვიცხოვრე ამ ქვეყანაზე. ოღონდ საქმე ის არის, გავაკეთე თუ არა ყველაფერი, რაც მევალეობდა!

მშვიდობაძეს შეეცოდა ეს კაცი. დაენანა.

— ბევრი რამ გააკეთეთ. მარტო ის რად ღირს, რომ თქვენი სახელი რაიხსტაგის კედელს აწერია. — ოღონდ პათეტურად უთხრა მშვიდობაძემ.

— როგორ, ეს თქვენც იცით? — მთრთოლვარე ხმით თქვა ალექსანდრემ. — მეგონა ესეც დაივიწყეს.

— ყველაფერი ვიცით, ბატონო ალექსანდრე. ასეთ რამეებს არ იგი-  
წყებენ. ნუ ლელავთ.

გადამდგარმა პოლკოვნიკმა თვალებიდან ცრემლები მოიწმინდა.  
ცრემლის დანახვაზე მშვიდობაძე აფორიაქდა.

— გმადლობთ, ამხანაგო, მშვიდობაძე, კეთილი სიტყვებისათვის. —  
თქვა პოლკოვნიკმა, — მაგრამ აქ... აქ კი ვერ გამოვდექი კარგი მებრძო-  
ლი. ბევრჯერ დავხუჭე თვალი... ბოროტების წინააღმდეგ დროზე ხმა ვერ  
აღვიმალე და ახლა... მეც იმ დანაშაულის მონაწილე ვარ, ამ კომბინა-  
ტში რომ ხდებოდა.

— თქვენ დანაშაული არ ჩაგიდენიათ.

— კი! — იყვირა პოლკოვნიკმა, — ბოროტების მიმართ გულგრი-  
ლობა დანაშაულია! და ეს ტვირთი ჩემს კისერსაც აწევს. მაგრამ თუ სა-  
ჭირო გახდა, ისევ ამ ტანსაცმლით ჩავალ თბილისში და ამხანაგებს ყვე-  
ლაფერს ავუხსნი.

— მაგრამ ეს არ დაგჭირდებათ.

— ძალიან შეეჭვება, რომ თქვენ აქედან სწორ მასალებს წაიღებთ.  
აქ ისეთი ჯადოსნური წრეა... გაგიძნელებათ.

— დამშვიდდით, ბატონო ალექსანდრე. — ისევ დააწყნარა მშვი-  
დობაძემ. — ყველაფერი რიგზე იქნება. ნუ ლელავთ, წაბრძანდით საა-  
ვადმყოფოში.

კაბნეტის კარი ისევ გაიღო. წარბშეკრული ლუკი ივანიჩი დინჯა  
ნაბიჯით შემოვიდა.

— თქვენ... — მიაჩერდა მუსტოს და უშანგის, — თქვენ აქ რას  
უდგებართ?

— ისე, სხვათა შორის. — დაიჭყანა უშანგი, — მშვენიერი გასარ-  
თობი ამბებია, პირდაპირ მოვიხიბლეთ.

— რომ გელოდნენ, რა ჰქენით?

— ჰო, მაგრამ... ხომ ხელავ? — მხრები აიჩეჩა მუსტომ.

— აბა, დოცლაპიებო, მოუსვით აქედან! თქვენი გაკეთებული საქმე...

— კეთილი, თქვენს გაკეთებულსაც ვნახავთ. — თქვა უშანგიმ და  
კარისაკენ გაემართა. მას მუსტო გაჰყვა.

— გამარჯობათ, ალექსანდრე ბატონო... — თითქოს ახლა შენიშნაო,  
მიუბრუნდა ლუკი, — რა ამბავია, შე კაი კაცო, ქვეყანას რომ ალაპარა-  
კებ? ვილაცას გიჟი ეგონები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აი, ამ  
საქციელთაც კი სახელს უტეხ ამ კომბინატს.

— არა, ლუკი ივანიჩ. — მშვიდად მიუგო ალექსანდრემ, ისე, რომ  
ლუკისთვის არც შეუხედავს, — ამ კომბინატს თქვენ ისეთი გვირგვინი  
დაადგით, ჩემი ცუდი საქციელი სახელს ვერ გაუტეხს. კომბინატზე გარ-  
დამავალი დროშა ფრიალებს!

— ბატონო! — ღელავს ქალიშვილი, — მე ექიმი ვარ და აღამიანს უნდა ვიცავდე, მაგრამ ის რა კანონია, ამ კაცს რომ იცავს?!

მშვიდობაძეს გაეღიმა.

— დანაშაულის დადგენამდე კანონი ყველას იცავს.

— წამოდი, მამა! — მკლავში მოჰკიდა ხელი.

— ჯერ ამ კაცთან საქმე მაქვს, მაცალე.

— წამოდი, წამოდი.

— აცალე, ერთი ვნახოთ, რა დანაშაული უნდა დამიმტკიცოს, — უკმეხად ამბობს ლუკი ივანიჩი, — შენც დარჩი, დაეხმარე.

— მოითმინეთ, ლუკი ივანიჩი. — ჩაერია მშვიდობაძე.

— დიახ, დარჩეს. თუ გნებავთ, ჩემს წინააღმდეგ ესეც დაიხმარეთ.

მშვიდობაძეს შუბლი შეეჭმუხნა, მოედრუბლა.

— დიახ, როგორც გენებოთ, — გაიმეორა ლუკი ივანიჩმა, — წერეთ, რამდენიც გინდათ, არკვიეთ. მე თქვენი არ მეშინია. არცერთი ინტრიგის არ მეშინია!

— დიახ, ლომი ხარ, ლუკი ივანიჩი! — გაიღიმა ალექსანდრემ.

— მალჩათ! — მაგიდას მუშტი დაჰკრა ლუკიმ, — ახლავე კაბინეტა დაცალეთ. მე აქ დირექტორი ვარ! ამხანაგო მშვიდობაძე, მე თქვენ აცილებას გაძლევთ!

## VII

თავის მდიდრულად მოწყობილ ბინაში, ფართო პირსახოცით თავშეხვეული ზის სავარძელში ლუკი ივანიჩი.

მინადორა პროკოფიევნაც იქვე საქმიანობს, მაგრამ ყველაფერი ხელიდან უვარდება, ნერვიულობს.

— გადამალე, ყველაფერი გადამალე! — ყვირის ლუკი.

— რა გაყვირებს! — შეუტია მინადორამ, — სად გადავმალო, ვის ენდობი ახლა?!

— შენი ნათესავები სად არიან?! რომ მომხსნეს, ახლა დაიმაღნენ? თავზე რომ მეხვეოდნენ, ახლა სა გაწყვეტაში არიან?!

— არც შენი ნათესავები გაკლებდნენ ხელს! — ჩაუკრა მინადორამ.

— ო, გაყუჟული მენახოს ყველა! შენი ბრალია, შენ ხარ ჩემი დამლუბველი. გეუბნებოდი, ქალო, მომშორდი, ფრთხილად იყავი, გაგვეგებენ, დაგვიჭერენ-მეთქი! თვალშიაც ვერ ჩაგვხედავენო! ახლა? დაიცა, თვალში კი არა, შიგანში ჩაგხედავენ! ვაი, რა დღეში ვარ! ვაი, რას მოვესწარი! გადამალე!

— დაიცა, დაიცა, ნუ შეიშლები! — ამშვიდებს თვითონაც აფორიაქებული მინადორა პროკოფიევნა, და მოკრული აბგა მეორე ოთახში გააქვს.

— სახლს სად დამალავ! — ვერ ისვენებს ლუკი ივანიჩი, — ავარაკს სად დამალავ! მანქანას სად წაიღებ, შენს ნათესავეებს სად გაუთხრო სა-  
მარეს?! ვაი, უი, ქალის მიზეზით რამდენმა ჩემისთანა ვირმა დაჰკარგა  
თანამდებობა, მაგრამ ქმრებმა ჰკუთნა მანც ვერ ისწავლეს! — ქოთქო-  
თებს, მოსთქვამს ყოფილი დირექტორი.

ტელეფონის ზარმა დაიწყო.

ლუკი ივანიჩი შეცბა. ტელეფონს ეჭვით უყურებს. ყოყმანობს, ვერ  
გადაუწყვეტია, უპასუხოს თუ არა. ბოლოს მივიდა, ყურმილი აიღო.

— გი... გი... სმენთ. ვინაა? უშანგი! ოჰ, შენ დაგექცა ოჯახი, როგორც  
ჩემი იქცევა! შენ დააჩქარე ჩემი განადგურება, შენ გნახე ამოვარდნილი!  
რაო, რაო? შეენც? ო, შესანიშნავია! აბა, რა გეგონა, რა იფიქრე. სულ  
ცრუობას რომ წერდი, მოგხსნიდნენ, აბა, ვინ გაპატიებდა? იქით დაიკა-  
რგე, არ გნახოს ჩემმა თვალებმა!

— რა იყო, ვის უჯავრდები? — მეორე ოთახიდან გამოვიდა მინა-  
დორა.

— უშანგიც მოუხსნიათ.

— მერე, რას ერჩი გაჭირვებულს, გაზეთში რომ გამოგჭიმა, ხომ  
გიხაროდა?

— მაგან დამაქცია, მაგან შემადგულიანა, თორემ ალექსანდრეს ასე არ  
წავეკიდებოდი, ცოტას მანც მოვერიდებოდი, ფოსტაში თაღლითობას  
მანც აღარ დავიწყებდი. ახლა? შენ ნახევარი არ იცი, მინადორა, როგორ  
ცუდადაა საქმე. რამდენი სიყალბე მაქვს ჩადენილი! პრემიებს რომ ვიღე-  
ბდით, სულ ქრთამით ვახერხებდი. გეგმებს ვერასოდეს ვერ ვასრულებ-  
დით, მარა, ისე, წამატებით გავდიოდი. ეს პოლკოვნიკმაც არ იცის. ვაიმე,  
ჩვენი კომბინატის ამბები რომ საფუძვლიანად გამოიკვლიონ? როგორ  
ფიქრობ, მოხსნას მაკმარებენ? ალიასკაზე გამგზავნიან, თეთრ დათვებ-  
თან, მარა, იცოდე, შენც წაგიყვან, ოქრო-ვერცხლით რომ ვერ ძღებოდი,  
აი, სწორედ, იქ არის შენი ადგილი. ვადამალე!

— ნუ მოიკლავ თავს, რაც მოვასწარი ვადავმალე. ავერ, სიაც  
მაქვს. — მინადორამ ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, — აბაყურები, დანა-  
ჩანგლები, ვაზები მარკოზ ურუშაძისას; გერმანული სერვიზი, ნოხები  
ესტატე მექვაბიშვილისას...

— სია შეინახე, ჯიბეში არ ჩავრჩეს! — ავადმყოფური ხმით ყვირის  
ყოფილი დირექტორი.

— ნუ გეშინია, სიას მოვუვლი, — ამშვიდებს ცოლი.

— ბიჭი როდის დაბრუნდება?

— როდის დაბრუნდება! — ბრაზობს მინადორა, — ევროპა არ და-  
პატარავებულა, შენს მოხსნამდე რომ იყო, ახლაც იმხელაა. შემოუვლის  
და დაბრუნდება!

— კარგი, უაროს ევროპას და ნახოს, 'მინ რა ამბავი დახვდება. ჩემი მოხსნის ამბავი იქნებ ევროპაშიც კი შეიტყოს. მე შენ გეტყვი, გაზეთში არ დაგწერენ, მოგერიდება ვინმე, თუ რა. უაროს ევროპას! ხომ ვუთხარი, ნუ მიდიხარ-მეთქი!

— მთელ თვეს ემზადებოდა, რამდენი ხიზილადა, რამდენი ყავა, რამდენი ფოტოაპარატი წაიღო, გადავცვლი და რაღაცებს ჩამოვიტანო. ახლა? ნეტა, სულ არ ჩამოვიდოდეს, რა უნდა, რა ხეირი დახვდება. ეს იცოდე, აგარაკი რომ ჩამოგვართვან, იარაღს ავიღებთ ხელში!

— წადით, ერთი თქვენი! — იყვირა ლუკი ივანიჩმა, — იარაღს კი არა, ბუდეზე არ დაამტვრიოთ ბუის კვერცხები! ვაი, რა დღეში ვარ, როგორ გავბითურდი!

კარებზე ზარის ხმა.

— ე, მიდი, — წამოიძახა ლუკი ივანიჩმა, — მარა მოიცა! ვინ იქნება, თუ იცი? კარგად გახედე, თუ უცხოა, კარი არ გაუღო.

მინადორა ერთხანს უხმოდ დგას კარებთან. მოსულს სამზირიდან ჩუმად ათვალეერებს. მერე ადებს კარს და ფართაშა შემოჰყავს.

— ვაიმე, ლუკი ივანიჩ, — მიაძახა ფართაშამ, — როგორ ცუდად გამოიყურებით!

— კარგად რა გვამყოფებს! — წუწუნებს მინადორა, — აგვერია ყველაფერი. ხომ ხედავ, რა დღეში ჩაგვყარეს მაგ უნამუსოებმა.

— ჰოდა, ისინი უნამუსოებს თქვენ გეძახიან. ლუკი ივანიჩი სამართალში უნდა მიეცესო. ცოლის ჰკუთხე დადიოდა, იმან ამოაგდო ჩვენი კომბინატიო.

— ასე თქვეს, ხომ? — ახლა დასუსტებული ხმით იკითხა ლუკიმ, — რა გინდა, კი უთქვამთ მართალი, ცოლმა ამომაგდო!

— ხმა გაიკმინდე, ლუკაია! — შემოუბღვირა მინადორამ, — არ გამოიყვანო მოთმინებიდან.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მინადორა ბუზღუნით გადის მეორე ოთახში.

— წნევა ამიწია, კუჭი ამეშალა, ძილი და მოსვენება აღარა მაქვს, გიკვდება, ბუძუკია, შენი ლუკი ივანიჩი! — თავს აბრალებს ყოფილი დირექტორი ყოფილ თანამშრომელს.

— მართლა დაგიკარგავს მოთმინება. თავს შემოუძახე, ლუკი ივანიჩი! განსაცდელს ნუ დაემორჩილები. ჩამოიცილე კაემნის ტვირთი, თავს ნუ აკადრებ გაბრაზებასა, ხომ გახსოვს, ლექსს რომ გეუბნებოდი?

— მაგი დრო წავიდა, ბუძუკია.

— ეეჰ, მეცოდები, მაგრამ რა გიყო? — თანაუგრძნობს ფართაშა.

— როგორია ახალი დირექტორი?

— ახალი დირექტორი, ლუკი ბიძია, მართალი რომ ვთქვა, შესანიშნავი კაცია.

— შესანიშნავი, არა? — იცინის ლუკი ივანიჩი, — ასეა, სანამ დირექტორია, ყველა შესანიშნავია, რომ მოხსნიან, მერეა ტარტაროზი.

— არა, შენისთანა კი არაა, ეს როგორ იფიქრე? — დაუყვავა ფარფაშამ, — შენისთანას სად ვნახავთ! რა ჰქენი, ოქროს ყელსაბამი რომ დამპირდი, ხომ არ დაგავიწყდა?

— მე დაგპირდი? — გაიკვირვა ყოფილმა დირექტორმა.

— დაივიწყე, არ გახსოვს, ხომ? — აფეთქდა ფარფაშა.

— მოიცა! — შეაწყვეტინა ლუკიმ და ხელით ანიშნა, — იმ ვეშაპმა არ გაიგონოს! იქნებ, მართლაც დაგპირდი, მაგრამ, ახლა... ხომ ხედავ?

— მე არაფერსაც არ ვხედავ! — მოურიდებლად თქვა გოგომ, — რომ დამპირდი, შეასრულებ!

— რა გალრიალებს, არ გრცხვენია? მოითმინე, დაიცადე ცოტა ხანს.

— მე კი მოვიცდი, მაგრამ შენ მოგაცდევინებენ? ხვალ, იქნებ, ციხეში გიკრან თავი, მერე სად გექნებო!

— ხედავ, რას მეუბნები? გოგო, მინადორამ არ გაიგონოს, თორემ...

— მე მინადორა არ ვიცი, შენთან მაქვს საქმე, ყელსაბამი მინდა!

— ახლა, შენ ჯაჭვით დასაბმელი არ გამხადო! გამყიდე, ხომ? ახალი დირექტორთან შეპკარი კავშირი, ხომ?

— ახალი დირექტორი წესიერი კაცია, ანგელოზია.

— ანგელოზი, არა? — ამოიოხრა ლუკი ივანიჩმა, — ერთი, მაჩვენე მაგ ფეხსაცმელები.

ფარფაშამ ფეხსაცმელები წაიძრო და გაუწოდა.

— ხედავ, როგორ დამიძველდა, ლუკი ივანიჩ!

— რა ჰქენი, ახალი დირექტორის მუხლებზე დაჯდომა თუ მოასწარი? — ირონიულად ჰკითხა ყოფილმა დირექტორმა.

— ეგ უკვე შენი საქმე აღარაა. — გესლიანად უპასუხა გოგომ.

— ქალი და კატა ერთია, — კბილებში შიშინით გამოსცრა ლუკი ივანიჩმა, — ვინც მოეფერება, მას აუკრუსუნდება. შენ ცინდალი ხარ!

— შენ მამალი კატა ხარ! ახია შენზე, რაც მოგივიდა!

— ახლავე გადი აქედან! — ხმას აუწია ლუკი ივანიჩმა.

— მომეცი ფეხსაცმელი.

— არა, ფეხშიშველი გადი!

— იცოდე, მინადორას ყველაფერს ჩავუჟაკლავ!

— მინადორა! — დაიძახა ლუკიმ, — ახლავე გააგდე აქედან ეს კახბა!

— კახბა ცოლი გყავს შენ! — არ დაინდო გოგომ, — მივლინებებით რომ ნებივრობდი, ხელი არც შენს პროკოფიევნას ეშლებოდა. —

უთხრა და ფეხსაცმელი ხელიდან გამოჰგლიჯა.

— ვაი, უი! — იყვირა ლუკი ივანიჩმა.

ფარფაშამ კარებისაკენ გასწია.

— მოიცა, ფარფაშა, რა გაჩქარებს, — მეორე ოთახიდან გამოვიდა მინადორა, — დაჯექი, ჯერ ხომ არაფერი არ ვითქვამს?

— ნუ გეშინია, — აყვირდა ლუკი, — ყველაფრის თქმა მოასწრო.

— დედაშენი რატომ არ მოვიდა? — გოგოს მიაჩერდა მინადორა, — უთხარი, დღეს, გვიან საღამოს, შემოვივლი-თქო, მოგვიანებით.

— მაგრამ, თუ რამე გადასამალი გაქვთ, არ მოიტანოთ, შარში არ გაგვხვითო. — ამრეზით თქვა გოგომ.

— ვაიმე! — იყვირა მინადორამ, — ვაიმე, ამას შენ მეუბნები?

— საქმე რომ აირევა, ყველას ეშინია. — უპასუხა ფარფაშამ.

— სამსახურში რომ მოგაწყვე და ახალ-ახალი ფეხსაცმელებით და-პაწყუნობდი, მაშინ ხომ კაი ხალხი ვიყავით?

— ნუ ეკამათები, გააგდე გარეთ! — იყვირა ლუკიმ.

— როგორც გეკადრებოდა, ისე პრობკასავით მოგაძვრეს! — ყოფილ დირექტორს მიუბრუნდა ყოფილი თანამშრომელი.

— კახპა! — იყვირა მინადორამ.

— გმადლობთ, ჩემო პატიოსანო დეიდა, ლუკიმ ყველა თუ იცის, შენი ერთგულების ამბავი?

მინადორამ იატაკის საწმენდ ჯოხს დაავლო ხელი.

— მოვკლავ, მაგ გველის წიწილს! მართლა ჩემი დისწული არ ეგონოს თავი, ნაშვილებია!

— უი, უი, უი! — იყვირა ფარფაშამ და გარეთ გაიქრა.

— ეგ რა სთქვი, მინადორა? — წამოვარდა ლუკი ივანიჩი, — ასეთი თქმა როგორ შეიძლება!

— მე მაგას ვუჩვენებ! — ღრიალებს მინადორა, — ახლა დრო გვიშოვნა, ენა დაიგრძელა, უყურე, რას დაემსგავსა!

კარზე ისევ ზარის ხმა გაისმა.

ცოლ-ქმარი ერთმანეთს შეაცქერდა.

— გააღე. — თქვა ლუკიმ, — მოიცა, არ გააღო!

ლუკი სავარძელში ჩაჯდა, თავზე პირსახოცი გაისწორა.

მინადორამ კარი გააღო და უშანგი შემოვიდა.

— არამზადების შემოსევაა?! — იყვირა ლუკიმ, — ხომ ვითხარი, არ მოხვიდე-მეთქი!

— ნუ მიაქცევთ, ბატონო, ყურადღებას, ჭკუაზე აღარაა. — სტუმარს უთხრა მინადორამ და სკამი დაუდგა.

— არა უშავს, ყველაფერი კარგად ჩაივლის. ზღვა აღელდება, იღვ-ღვებს და დაწყნარდება. — თქვა უშანგიმ, — მოთმინებაა საჭირო. მეც

კი მომხსნეს, მაგრამ თავი არ მომიკლავს, იმედი არ დამიკარგავს. მალე თავს აღვიდგენ.

— ვაიმე, ლუკი ივანიჩის აღდგენასაც რომ მოვესწრებოდე, მტრის ჯინაზე, ისევ ღირექტორად რომ ვიხილავდე... — ინატრა მინადორამ.

— აი, სწორედ ამ საქმეზე ვარ მოსული, — იმედივით გაისმა უშანგის სიტყვები, — რალაცას ვცდილობ, ვზრუნავ... ეს კი გარეთ მაგდებს..

უშანგიმ სკამი მოხერხებულად დაიდგა და მინადორას მიუბრუნდა:

— თუ შეიძლება, ცოტა ხანს, მარტოდ მინდა ველაპარაკო.

— კი, ბატონო. — დაეთანხმა დიასახლისი და ოთახიდან გავიდა.

— კაცო! — დამარტოვა ლუკი ივანიჩი უშანგიმ, — შინ რომ დამჯიარხარ გლახასავით, თავი შეგვიხვევია კომბოსტოსავით და ჰყვირი, რა ჭუაზე ხარ?

— აბა, რა უნდა ვქნა?

— რა უნდა ვქნა და ფარხმალი არ უნდა დაჰყარო, ბრძოლაა საჭირო!

— ვის ვებრძოლო, შე კრეტინო, მომხსნეს და გათავდა!

— ყველას, განურჩევლად პიროვნებისა! ვინც გაგიმეტა, შენც გაიმტე, დაგარტყა — დაარტყი!

— როგორ? — გაიოცა ლუკი ივანიჩმა.

— აი, როგორ! — უშანგიმ ჯიბეებიდან კონვერტები ამოჰყარა, — შეიძლება? წერილები, წერილები, საჩივრები! დაწერე, უკანონოდ მომხსნეს-თქვა, პატიოსანი რომ ვარ, ამიტომ დამჩაგრეს-თქვა.

— კი, მაგრამ, თუ არა ვართ?

— არც სხვები არიან! — იყვირა უშანგიმ, — ჰოდა, ან ყველა დაიჭოს, ან მარტო ჩვენ ნუ ვიქნებით მსხვერპლნი! აიღე ფანქარი, ქალაქიდან, მელანი, კალმისტარი. დაწერე ქალაქკომის მდივანზე, დაწერე პოლკოვნიკზე, ივანეზე, პეტრეზე.

— მერე? — ავადმყოფურად იკითხა ლუკიმ.

— ზევით ამდენი საჩივრები რომ დაგროვდება, რალაცას იფიქრებენ და აგვადგენენ. არა და... რას ვკარგავთ? გუშინ შვიდი წერილი გავგზავნე! დღეს თერთმეტი მზადა მაქვს.

— რამ გადაგრია, შე ოჯახქორო?

— ვერ სადა ხარ, ქვეყანას შევძრავ. ჩვენ ხომ მოგვხსნეს, ხომ შეგვაფიქრეს, ახლა სხვებმაც იკითხონ. ადექი, დაწერე!

— გას ვერ ვიზამ. — უიმედოდ თქვა ლუკიმ.

— ო, ვერ ვიზამო? — გაიკვირვა უშანგიმ და დაიჰყანა, — ო, ხო, ხო, ხო! დენი ნერვიულობისაგან კუჭიც ამეშალა, ტუალეტი საით გაქვთ?

ლუკიუთითა.

უშანგიმ დაიქცა, მაგრამ მალე შემობრუნდა.



— სად, კაცო?

— ე, ბიჭო, მარცხნივ.

უშანგი მარცხნივ გაიჭრა. მაგრამ შეშფოთებული შემობრუნდა იქვე.

— ვკვდები, შე ოჯახქორო!

— ვერ ნახე?

— ის ტუალეტი? — იკითხა სასოებით, უნიტაზი წითელი ყაყაჩივებით და ჩიტებითაა მოხატული, იქ შეიძლება? მინაღორას არ ეწყინება?

— მოიცა, ვკითხავ.

— კარგი, დაანებე თავი! — გაჭირვებით თქვა უშანგიმ და გაიქცა. ტელეფონმა დარეკა. ლუკი ივანიჩმა ყურმილი აიღო.

— გისმენთ. ნიკალაი სემიონოვიჩი? რა უნდა ვქნა, ცუდად ვარ ძალიან. საჩივრები ჩემზე? კაცო, თქვენ ღმერთი სულ აღარ გწამთ? კიდევ რაღა გინდათ, ძმაო? თქვენ ჭკუით იყავით ცოტა, თორემ მეც ავლანობაკლები. ასეა ეს! თუ რამეს ვიპარავდი, ნახევარი თქვენი იყო. ჰოდ, მომეშვით ახლა. დავამტკიცებ თუ ვერა, მაგასაც ნახავთ. ჰო, ჭკუით იყავით, შინ დამაყენეთ ახლა!

ყურმილი გაბრაზებულმა დადო.

— სვოლოჩი!

— თვალი გამიხვლია, ქვეყანა მომივლია და ასეთი უნიტაზი არ მინახავს. — შემოვიდა უშანგი.

— ამ დედაკაცმა სანამ ასეთი არ დადგა, არ მოისვენა და შენც შემჭამე ახლა! — გაცხარდა ლუკი ივანიჩი.

— გული რაზე მოგდის?

— არ მყოფნის ნერვები!

— მართალი ხარ, ლუკი ივანიჩ! ძალიან ცუდ დღეში ჩავგავდეს. ის შენს ადგილას რომ ვიყო, ამხანაგების მოხსნას და შევიწროებას ნამდვილად შევაჩერებდი.

— როგორ? — დაინტერესდა ლუკი.

— ადი, მეთერთმეტე სართულზე და პროტესტის ნიშნად გადმოი.

— გავიჟღი? — შეშინდა ლუკი.

— შერე, რა ადვილია. ახვალ, თუნდაც იმ სახლის თავზე, სად ბინები გაჰყიდე. ახვალ და ფრრ... თვალის დახამხამებაში დამპალი ქლივით გასკდები. ხელად გავარდება ხმა, — აი, ხომ ხედავთ, პატიოი კაცი იყო, ბინების გაყიდვა დააბრალებს, მოხსნეს და... შეურაცხყო ვერ აიტანაო. დაიწყება კვლევა, ძიება... დიდებულად დაგასაფლავნ. არ გინდა?

— ვერა, ჩემო უშანგი, ვისაც ტუალეტი ვარდებით მოხატა აქვს, იგი ასე ადვილად თავს ვერ მოიკლავს.



— ლაჩარი ყოფილხარ! — იყვირა უშანგიმ, — აბა, იჯექი შინ და მწყემსე უნიტაზი.

— შენ მართლა უნიტაზი ხარ, გაეთრიე აქედან! მინადორა შემოვიდა.

— ნახვამდის, ქალბატონო.

— რა მოხდა? — იკითხა მინადორამ.

— ყველაფერი აწი მოხდება. — თქვა უშანგიმ და წავიდა.

— რაზე გადარჩე ეს კაცი! — ქმარს მიუბრუნდა მინადორა.

— საწყალი გაგარინი მოკვდა, ეს კი ცოცხალია!

— რაო?

— არ მკითხო არაფერი! — იყვირა ლუკიმ, — მომეშვით, მომასვენეთ!

აფორიაქებულმა ისევ სავარძელში დაიკავა ადგილი.

კარებზე ზარმა დარეკა. მინადორამ კარი გააღო.

ალექსანდრე იდგა კარებთან.

მინადორა დაიბნა.

— ბოდიში, ქალბატონო, ლუკი ივანიჩის ნახვა მინდა. — თქვა და შემოვიდა ალექსანდრე.

ცოლ-ქმარი გაოცებული შეჰყურებდნენ მოულოდნელ სტუმარს.

— გამარჯობათ.

— თქვენ ჩემს ოჯახში? — გაიკვირვა ლუკიმ.

— რატომ გიკვირთ?..

— დაგვცინით, არა? — გაისმა მინადორა პროკოფიევენას ხმა, — დაგვცინით?!

— არა, ქალბატონო. — წყნარად თქვა ალექსანდრემ. — მე არ მიყვარს დაცინვა. ცინიკოსი არა ვარ, მე წესიერად გაზრდილი კაცი ვარ და იმისი მომხრე ვარ, რომ... შეიძლება კაცი მოხსნა, დასაჯო, მაგრამ მის პიროვნებას შეურაცხყოფა არ მიაყენო. მე არ დაგვცინით. როგორც კი საავადმყოფოდან გამოვეწერე, მოვედი.

— რისთვის მოხვედით, როდის იყო ჩემზე ზრუნავდით?

— მხოლოდ ერთი სიტყვა მინდა გითხრა, ამიტომ მოვედი. მე ავადმყოფი კაცი ვარ და ვინ იცის, იქნებ ხვალ ცოცხალი აღარ ვიქნე, ამიტომ დღეს უნდა გითხრა.

— დრო მიშოვეთ, გიხარიათ ამ დღეში რომ ვარ, ხომ?

— პირიქით, გული მტკივა, ლუკი ივანიჩ. გული მტკივა, რომ შეგეძლოთ ბედნიერი ყოფილიყავით და საზოგადოებისათვისაც სიკეთე მოგეტანათ, მაგრამ ეს არ ჰქენით. ახლა მოვედი თქვენთან, რომ გკითხოთ: რა ფასი აქვს დღეს თქვენს სიმდიდრეს, სადაა თქვენი ბედნიერება?

— ბატონო ალექსანდრე! — უმწეოდ წამოიძახა ლუკი ივანიჩმა.

— დიახ, მიპასუხეთ! — ხმა აუთრთოლდა ალექსანდრეს, — მიპასუხეთ, რატომ მოხრილხართ წელში, ლუკი ივანიჩ? სად გაქრა თქვენი რიხი, მინადორა პროკოფიევნა?! მითხარით, სინდისი რას გეუბნებათ ახლა? წამით სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა.

— ჩემი გული არც ისე ჯანმრთელია, როგორც თქვენ გგონიათ, ბატონო ალექსანდრე!

— მაგრამ, როცა გული ჯანმრთელი გქონდათ, ყველაფერი თქვენთვის გინდოდათ და სხვის გულზე ერთხელაც არ გიფიქრიათ, ლუკი ივანიჩ! — არ მოერიდა ალექსანდრე.

— ეს იყო ყველაფერი, რაც უნდა გეთქვათ? — იკითხა ლუკიმ.

— დიახ, ამჯერად სხვა სათქმელს უკვე აზრი აღარა აქვს.

ისევ ცივი სიჩუმე ჩამოვარდა.

— გასაგებია. — თქვა ლუკიმ, — მე კი დამამარცხე, მაგრამ ხალხის თვალში შენ მაინც ინტრიგანი იქნები. ადრე ყველას პატიოსან კაცად მიაჩნდი და უკვე შეილახე ავტორიტეტი.

— მაგაზე ნუ შეწუხდები, ლუკი ივანიჩ, ხალხი გაარჩევს. პატიოსანი ის კი არ არის, ვისაც ბოროტება აღაშფოთებს, მაგრამ ხმას არ იღებს. პატიოსანი კაცი ბოროტებას უნდა ებრძოდეს. მართო აღშფოთება არ კმარა!

— რას იზამენ, შენი აზრით, დამაპატიმრებენ? — გულგატეხილად იკითხა ლუკიმ.

— მე ნუ მეკითხები, კანონები თქვენც კარგად იცით.

ალექსანდრე წავიდა.

— მინადორა! — იყვირა ლუკიმ, — მინადორა, სად შემიძლია ციხეში ჯდომა, რადიკულიტი მკლავს!

— რას უყურებდი, თავი რატომ არ გაუტეხე, რატომ ხარ, ლაჩარი, ლუკაია!

— კოჭებამდე რომ გცემდა ნაწნავები, ტანს რომ მიაჩხევდი, რატომ არ წაგიყვანა იმ ოჯახქორმა, რატომ, რატომ, რატომ?!

— ვაი, უი! — კივის, ღრიალებს ცოლი.

— რა გაყვირებს, მინადორა! — მთელი ხმით იძახის ქმარი, — მიდი, დაუბრუნე, საწყობში ტიულპანი მოსულა!

— გაჩუმდი, ლუკაია, შე ლაჩარო! — ღრიალებს, მოსთქვამს მინადორა პროკოფიევნა.

— მეკუთვნის, მეკუთვნის, ყველაფერი მეკუთვნის! — თითქოს მდგომარეობას შერიგებია ლუკი ივანიჩი, — დამთავრდა ჩვენი ორი პარასკევი, უკვე ყველაფერი გვიანია!

ხ ი ლ ვ ე ბ ი

\* \* \*

ხედავ?!

კვარცხლბეკი მაღალია, ოქროცურვილი,

ამაყად, დინჯად, შორით ზვერავს ოკეანეებს.

ცა ადგას თავზე — ვით რძით სავსე თეთრი ცურები,

ხელით აწვდილით ებჯინება კოსმოსის კარებს.

მის ფეხთქვეშ ხედავ ფრთებდამსხვრეულ მგოდებელ ქარებს?!  
ალიზებებენ სულს ამ ცის ქვეშ კაცნი ცუდებიც.

ვინ არის იგი?

ვინ არის იგი?

ან მე ვინ ვარ მის წინ მდგომარე?

პირმშო მამა ვარ გრიგალებთან ქედლაუხრელის.

გული ვით მიცემს, მოდი, მკერდზე ყური მომადე,

ჩემს გულს რაიც ჰკლავს, იმ ვარამით შენც შეწუხდები,

მაგრამ არ ვნანობ,

დაჩეხილი თუმცა გვამი ვარ,

ზღვებთან, ქარებთან მორკენალმა ირგო ეს წილი,

და განადიდა ის სამშობლომ ძეგლად ამრიგად,

მე ლამის ღვარმა ქვიშასა და ღორღებს გამრია...

ნეტავ, ყმაწვილო, შენს სახელსაც ასე ებრწყინოს,

და მამაშენსაც სწვაგდეს ჩემებრ გულისა თუთქვა;

გაუძელ ჭირსო, მოკვდავთათვის ეს ხომ ბრძენს უთქვამს,

უნდა გავუძლოთ...

დიდ დიდებას ტკივილი ჰბადებს...

არარაობას მე რომ მალე უნდა ჩავბარდე,

ეს არის ჭირი უკურნელი, სულის გამხრწნელი.

თორემ...

ჰე, შვილო, კართან მყივან სიკვდილს ვინ უფრთხის.

ამად არ ვგოდებ და ბედს ჩემსას ამად არ ვწყევლი,

მარადიული სიცოცხლეა ქვეყნად ნაკურთხი.



შო, ჩემს საბუღალროს გადმოხედუე აი იმ მთიდან,  
 სული მშფოთვარე, სული ტკბილი დაგიმშვიდდება.  
 ვაჰმე, კინალამ აღიგავა მიწის პირიდან,  
     ამ ქუჩის მკვიდრმა იხსნა,  
     იმ ვაჟს მარად დიდება.

ვინ იყო იგი?

    ან რა მოხდა?  
     გიაგობობ ძმაო...

მზეთუნახავი აი აქ ჩემს ახლოს სახლობდა.  
 აქვე სახლობდა მოქანდაკე...  
     და მას ძალიან

მოსწონდა ქალი...

    და გულს გული დაუახლოვდა...

და ქვენა ქარმა გააჩაღა ცეცხლი ქურაში  
 და ღადარია მოტრფიალე სულეების ნდომა.  
 ქალიც და ვაჟიც პირველად რომ იყვნენ ბურანში,  
 შერე რაც მოხდა,

    მოდო, ჰკითხე იმ შემოდგომას,  
 როს ზღვამ ჩემს ქალაქს დაატეხა თავს დიდი წარღვნა.

რაისთვის?

    ზღვასაც შეუყვარდა თურმე ის ქალი.  
 დემონმა თურმე მოტრფიალე ზღვის გული დაღრღნა:  
 „ქალი გლალატობს და სხვა ვინმეს არის ტრფიალი,  
 და გაიძახის, — ვაჟი მიყვარს და არა წყალი!“.

და ზღვა გაშმაგდა,

    „— მომიყვანეთ მიჯნური ტურფა,  
 თორემ წავლეკავ ყველა ქუჩას...  
     და ვაქცევ ქვიშად!“

სდუმდა ყოველი...

    ზღვა აზმუვლდა უფრო და უფრო,  
 მოასკდა ქალაქს...

    შეაძრწუნა ყოველი შიშმა.

ჰყვირის ქალაქი:

— ჰე, ლამაზო, გამოდი გარეთ!

ის თუ კეკლუცობს მიჯნურთან და არავის უსმენს  
ჰყვირის ქალაქი...

მოქანდაკის ამტვრევენ კარებს.

ჰყვირის ქალაქი...

იმ ლამაზის ამტვრევენ კარებს...

გამდნარა კვალიც...

ბუღბუღი მათ ტრფიალზე უსტვენს.

ლამით სულ წვიმდა.

გუგუნებდნენ ტალღები ირგვლივ,  
გადარჩა იგი, ვინც მშობლიურ მთას შეეხიზნა.

რაც ნახეს დილით, —

ვით აღვწერო მგოსანმა იგი,  
არა, ცხადს არ ჰგავს, გეფიცებით,  
იგი ჰგავს სიზმარს.

ზღვისპირად იდგა

ო, მიჯნური ქალი ზღვისა და

ხელნი აღეპყრო...

თუ მგზნებარედ მიჯნურს უხმობდა  
ის ქვად შეიცნო შორიდანვე

ბრძენმა მისანმა,

მაგრამ არას თქვა...

ჩაიარა ბრძენმა უხმოდ,

ზღვამ რა იხილა ქალი,

უცებ აღსდგა აღსავლით,

მიეაღერსა,

მოეხვია ლალ-ზურმუხტებად.

ბუქს ქალის მადლი, —

ო, დიდება ჩემი სავანის,

ქალს კაბა თეთრი, ცისიერი,

რაზომ უხდება!

შფოთვენ უცნობნიც:

მიჯნურები ქვესკნელს ემსხვერპლენ?!  
ჰაუ, ეძებეთ, ნეტავ საით გაუჩინარდნენ?!

ჰაუ, ეძებეთ, ნეტავ საით გაუჩინარდნენ?!

ვერსად იპოვეს, თუმც ზესკნელიც;

ქვესკნელიც ჰკეპეს,

გლოვად მძვინვარებს

ხმა და თვალი გაუცინართა,



ნუ ჰგოდებთ მეთქი,

ცოცხალია ჩვენთვის ორთავე,

მათ ხომ დიდებად დაგვიტოვეს «უკვდავი ქალი» ?

გულმემზარავად დაკარგულთა კვალზე მოთქვამენ,  
თანაც აღიდებს დიად მიჯნურთ მუზა და ქნარი.

ო, ზღვას კი სჯერა...

ქალს მხურვალედ სურს მოეფეროს,  
თვალს აღარ ხუჭავს,

უკუნეთშიც უნდა ეზმანოს.

დემონი სძახებს;

— მოგატყუეს, აღელდი ზღვაო! —

ნუ მოაფხიზლებ არსს უგონოს წუთისოფელო!



## როგორ ბავშვები?

ძმებმა მამისეული ვენახი ვერ გაიყვეს  
და ერთმა მათგანმა ვაზი აჩეხა — არც  
მე და არც შენაო

სატელევიზიო გადაცემიდან

ვენახის კაცო, ეს რა გიქნია,  
რა ცოდვა-ბრალი დაგიტრიალებია,  
მამის ჩაყრილი ვენახი  
როგორ გაგიტრიალებია!

ვაზი სიყრმის შვილივით გიყვარდესო, —  
ასეთია მამა-პაპის ბრძანება.  
შენ კი ეს უღვთო საქმე  
რა ხელმა დაგანება,  
რა გულმა დაგანება?

თვალი რად არ დაგეშრიტა,  
მკლავი რატომ არ გაგიხმა,  
რად ვერ მიხვდი: ის გულისხმა  
იყო მხოლოდ ეშმაკის ხმა.

ვისი ჯილაგის ხარ,  
ვისი ნაშვიერი?  
რამ გაგზარდა ასე გულდრძო,  
ასე თვალმშვიერი!

ეს რამდენი დღეა,  
შენი ავკაცობა არ მასვენებს —

ვაზი მკერდზე მაცოცდება  
და საბრალოდ თავს მახსენებს:



„სად გაგონილო ქართველი კაცის  
ასე წახდომა და ასე დაცხედრება!“ —  
მუხლმოჭრილი ვაზი  
მუხლზე მეხვევა და  
შველას მევედრება.

დედას პური და პაპას ღვინო  
წინაპრების ოფლით ნაკურთხია,  
და ქართველ კაცს ფუძის ანგელოზი  
ჯერ არ დაუფრთხია.

ვაზი განა მარტო მარჩენალი,  
მარტო სახსარია?  
იგი ჩვენი ლოცვა არის,  
ჩვენი საყდარია!

ქართველი კაცი მაცილს და მაცდურს  
ასე როგორ უნდა დაემგვანო?!  
ეს რა საქმე გვიყავ,  
შე ღვთის გარეგანო!

გული რომ ასე დაგიბოღმა,  
მიტხარ ერთი, რა შხამია?  
შე ცოდვით სავსევე, რა თქვას იმან,  
ვისაც შენთან პური უჭამია?!

არ ვიცი, სასწორ-სამართალი  
როგორ განსჯის. — იყოს მისი ნება!  
ჩემდა თავად მე ეს მითქვამს,  
ასეთია ჩემი განჩინება:

ერთის ნაცვლად ასი დარგო?  
არა!  
უწმინდური ხელი ვაზს ვერ შეეხება!  
უბედურო, ვენახს უნდა,  
გულს კი არა,  
დანეხვება!



დღის ამას იქით  
 სადღეგრძელოს ვერვის ეტყვი!  
 სადღეგრძელოს არ გეტყვიან!  
 სხვა სასჯელად ის გეყოფა,  
 ნამუსი რომ დაგსეტყვია.

ჰაუ, შე მზე მკვდარო,  
 ცოდვის კითხვად  
 ეს რა დაგვიბედე —  
 ქართველმა ვაჟკაცმა ვაზი ასაჭრელად  
 როგორ გაიმეტე?!



გ ე მ ე ბ ი

მზეზე ამოაქვთ ზვიად ზვიგენებს  
ზღვის წიაღები და ედემები,  
ანძათ ჭრიალში, აფრათ შრიალში  
დგანან, ელიან თეთრი გემები.  
კვამლის კრაველი სივრცეს ედება,  
როგორც ცისფერი სიზმრის ფარდები.  
დგანან, ელიან, უკვე თენდება  
და არსად ჩანან არგონავტები.  
სილაში ლურჯი პალმა ირხევა,  
რტო უდაბნოსი და მარადისი,  
ტალღათ ტორტმანი ნაპირს მიჰყვება  
შორს, განთიადი ბადეს გადისვრის.  
გადიგუგუნებს როგორც უდაბნო  
ტალღის ტყეები და ედემები,  
დგანან, ელიან მზეს სამუდამოს,  
მზეს სამუდამოს თეთრი გემები.

\* \* \*

წვეთავს დაკეტილი ონკანიდან  
ტიკ,  
ტიკ,  
ტიკ.  
ახლა სახლის გარეთ ყოფნა მინდა  
და სადაც არა ვარ იქ.  
ახმაურეს სახლი წვეთებმა  
ტიკ,  
ტიკ,  
ტიკ,  
წვეთი ონკანში რად ვერ ეტევა,



რალაც ამბავია იქ.  
 ჰოი, სიყვარულო, მომკალი და, —  
 ვერ გამაშორე ფიქრს,  
 წვეთავს დაკეტილი ონკანიდან  
 ტიკ,  
 ტიკ,  
 ტიკ.

\* \* \*

ვარ მლოცველივით წელში მოხრილი,  
 და ცრემლებამდე გრძნობით ვივსები,  
 როცა ტყეებზე ჩნდება ქოხივით  
 ხეების ოხვრა — მძიმე ნისლები.  
 ბუნებასავით ხელებს გავურევ  
 ამ ზღაპარსა და ამ საოცრებას,  
 „ჰაი, დედასა“ — ამახმაურებს,  
 მინდიასავით ცრემლი მომწყდება.  
 მე ვინ დამჯაბნის,  
 ან რა დამჯაბნის,  
 ჩემი სიკვდილიც დროის ჟინია,  
 მუხლზე ვეცემი დიდშიშნაჭამი  
 და წამოდგომის არ მეშინია.

**შ ლ ე ბ ი**

ამ მინდორს მზე როგორ ენათება,  
 და როგორ ფიცხობენ ძნები,  
 სურვილებს წლები არ ემატება,  
 გრძნობებს კი აკლდება წლები.  
 ქვები ხმიანობენ ხავსეული,  
 წყნარად მოწყრიალებს წყარო,  
 ყვავილებს ფუტკარი დასევია,  
 მინდორი... მინდორი წყნარობს.  
 მზე დიდი, მზე მშვიდი გადავიდა  
 და ნამში ჩურჩულებენ ძნები,  
 არ ვიცი, რომელი სათავიდან  
 მოსკდნენ და გადმოსკდნენ წლები.



ბ გ უ ნ ა

ბედმა რამდენი რამე მარგუნა,  
მიწამ რამდენი რამე მარგუნა,  
ზეცამ რამდენი რამე მარგუნა,  
რამდენი რამე იგრძნო ამ გულმა,  
უხსოვარ დროთა გამოძახილი  
სულში გუგუნებს როგორც აგუნა.

სულში შრიალებს ვაზი კეთილი,  
მართლაც შეილივით ნაზარდი ვაზი,  
ხეზე ჩუქურთმად ამოკვეთილი,  
ამოკვეთილი ჩუქურთმად ქვაზე.

ვით მათრობელა ალადასტური,  
ფერგადასული პერგამენტები  
უცილობელი არის დასტური  
დასავიწყებლად ვერგამეტების.

შენ გქვია მიწის დიდი სიცოცხლე,  
შენ აუხილე თვალი წარმართებს,  
შენ ჩემს არსებას შეესისხლხორცე  
და ამ ღირსებას ვერვინ წამართმევს.

შენ უსასრულო სიმღერა გქვია,  
დაუსაბამო გქვია სურვილი,  
არა, არასდროს არ არის გვიან  
შენით მოიკლას კაცმა წყურვილი.

ყველა აკვაცის ზრუნვა ბოროტი  
ხის ფოთოლივით წაიღოს ქარმა,  
ჩვენ კი გვფარავდეს მუდამ ბოლომდის  
შენი მტევნების ლალი და ქარვა.

შენით გახშირდეს ლხინი, ქორწილი,  
სულ იჭრიალოს კარებმა მარნის,  
ძირდალოცვილო,  
რქადაკოცნილო,  
შენ აძლევ გემოს პურსა და მარილს.

ხარ უძველესი სიმღერა მიწის,  
გეთაყვანები როგორც წარმართი.  
შენი ფასი და ყადრი მე ვიცი  
და შენს წყალობას ვერვინ წამართმევს.

უკვდავებაა შენი სახელი  
და შენი მადლი ბედმა მარგუნა,  
უხსოვარ დროთა გამოძახილი  
სულში გუგუნებს როგორც აგუნა.

მამულო ჩემო,  
მამულო ჩემო,  
ვინც რა უნდა თქვას,  
ვინც რა უნდა ქნას,  
ხარობდეს შენი ვაზების ჩერო,  
ხარობდეს შენი სამამულე რქა.

შენი დიდება დამაქვს განძივით,  
ერთი უბრალო ქართველი ვარ და,  
მამულზე ზრუნვა ისე მამძიმებს,  
როგორც დასხმული ვენახი ხარდანს.

ვერ გაიხაროს მტერმა შენზედა,  
ვერ გაიხარა კაცმა ავგულმა,  
მტრის სიძულვილის გქონდეს შეძლება  
და მუდამ ქუხდეს შენი აგუნა.

---

აღმსახურებელი ჩხაიძე

## ზღვა ხმელეთიდან იწყება

ეს მყუდრო ქუჩა, ალბათ, ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე მოკლეა ბათუმში. ერთ მხარეს საზღვაოსნო სასწავლებლის შემინული კედლები აღმართულა, მეორე მხარეს კი, რკინის ღობურს იქით, ათიოდე დაბალი სახლია ჩადგმული.

ჩვენ ერთ-ერთ ეზოში ვზივართ ძელსკამზე და ვსაუბრობთ. ვცდილობ, ჩვენი საუბრის კომპასი როგორმე ზღვისაკენ მივმართო, მასპინძელი კი ხმელეთისაკენ მეწევა:

— შენ ერთი შეხედე, რა პალმებია! ეს, ცოლი რომ შევირთე, იმდროინდელია. მეორე კი ჩემი ქალიშვილის ტოლია. კალიფორნიასა და ფლორიდაში ვერ ნახავ ასეთს!

პალმები მართლაც დიდებულია. მარაოსავით გადაუშლიათ ვეება ტოტები, თითქმის მთელ ეზოს ავსებენ ჩრდილით. მაგრამ მე აქ მხოლოდ სტუმრად, პალმის ჩეროში სანებივროდ არა ვარ მოსული, საქმე მაქვს და სწორედ ამიტომ ვიღებ კურსს ზღვისაკენ, ყვავილნარში ჩატუტქული მასპინძელი კი თითებით აფხვიერებს მიწას, სარეველა ბალახებს ფესვიანად გლეჯს და მეუბნება:

— ერთი ყვავილის თესლს ვეძებ, იქნებ მიშოვო სადმე, — და ისეთ ყვავილს მისახლებს, ჩემდა სამარცხვინოდ, არც გამიგონია. — გამწვანების ტრესტში მივედი, აქეთ შემეხვეწენ, რაც შენ ქვეყნებში დადიხარ, იქნებ თესლი ჩამოგვიტანო.

თითქოს მივუახლოვდით ჩვენს მთავარ სასაუბრო თემას, მაგრამ მასპინძელი ახლა ახლადაფეთქებულ ატმის ხეს უტრიალებს.

— შენ შემოდგომაზე მესტუმრე, ისეთ ხილს გაგასინჯინებ...

შევყურებ ამ ძველ ბლუზა-შარვლიან კაცს, ისე ფრთხილად რომ ადგამს ფეხს გაფხვიერებულ მიწაზე, თითქოს გაპრიანებულ პარკეტზე და აბიჯებსო, და მესხიერებაში ცოცხლდება მსგავსი სურათი: იმ ზაფხულზე

ვაკიჯვარში ვისვენებდი. მასპინძლის ვაჟმა ამიყოლია, ნატანების წყალზე გავედით ანკესებით სათევზაოდ. ნაპირ-ნაპირ ავყევით მდინარეს. ბედო, მაინცა და მაინც, არ გვწყალობდა. მოშორებით ახოვანი კაცი დავლანდეთ. შარვალდაკარწახებული აღმა მიარღვევდა წყალს. საანკესე ბამბუკის ჯოხი ეკავა ხელში. ისე იყო გატაცებული თევზაობით, რომ ჩვენი მიახლოვება ვერც შენიშნა. უცებ მან ჯოხს ამოჰკრა და მზის სხივებზე აფარტქალდა ანკესზე ჩამოკიდებული კალმახი. ამასობაში გავუსწორდით ჩვენზე იღბლიან მეთევზეს და ვიცანი ის კაცი, — ჯუმბერ ინწყირველი იყო, ცნობილი ბათუმელი კაპიტანი, ვეშაპთმჭერი ფლოტილია „სლავას“ მრავალი ანტარქტიკული რეისის მონაწილე. უნდა გენახათ, რა ბედნიერი იყო ამ წუთას იგი, როცა თითის სიგრძე თევზს ხსნიდა ანკესიდან, იგი, რომელსაც ათასობით ასტონიანი ვეშაპი ჰყავდა დაჭერილი ოკეანეში.

ასეთივე სახე ჰქონდა ახლა აბესალომ ზენაიშვილს, სამხრეთ ყინულოვან ოკეანეში ექვსთვიანი ექსპედიციის შემდეგ მშობლიურ ქალაქში შვებულებით ჩამოსულ, მიწას მოწყურებულ მეზღვაურს, ბალღივით რომ ელოლიაგებოდა ყოველ ყვავილს, თითოეულ ხეს და დაკვირტულ ნერგს.

ბოლოს, როგორც იქნა, შემიბრალა, ახლა საქმეს მივხედოთო, თქვა, ხელები შარვალზე გლახურად შეიწმინდა, სივარეტი გააბოლა და ჩვენი საუბარიც დაიწყო, მაგრამ დაიწყო იგი ძალიან შორიდან.

— გახსოვს?

გასახსენებელი კი ბევრი გვქონდა. ორივენი ერთი უბნიდან ვიყავით, წინათ „ჭაობას“ რომ ეძახდნენ, იმ უბნიდან. გასაქანიც და გასართობიც მეტი გვქონდა მაშინ. ფეხშიშველი ვბურთაობდით მოუკირწყლავ ქუჩაში. კუკუდამალობანა და რიკ-ტაფელა, კოჭობანა და ლახტი, გრძელი ვირი და მოკლე ვირი, ჰაერში „ფრანების“ გაშვება... და კიდევ, ვინ მოთვლის, რამდენი აწმიდიწყებული თამაში იყო ჩვენს რეპერტუარში. კამფეტის შესახვევი ქალაღლი კამფეტზე უფრო მეტად ფასობდა, ხოლო კინოფირი, მაქს ლინდერისა და დუგლას ფერბენქსის გამოსახულებით, რემბრანტის ორიგინალს გვერჩივნა. თეატრში საღამოს სპექტაკლზე შედღწევა დიდი ბედნიერება იყო ჩვენთვის, ჩარლი ჩაპლინის სურათებში ნანახი ტელევიზორი კი — მერვე საკვირველება.

გაზაფხულის მობრძანებას სხვებზე ადრე ჩვენ ვტყობილობდით, რადგან გორაკებთან ყველაზე ახლოს ვცხოვრობდით. კვირაობით დილაადრიან გავდიოდით სახლებიდან, კალიებივით მოვედებოდით ფერდობებს, დავეძებდით ნაადრევ იებსა და ენძელებს, მუსრს ვავლებდით ალუჩას, თუთას და მუშმულას, შემდეგ ოდესღაც ქალაქის დასაცავად აგებულ საბატარეო კომპლექსამდე ავალწევდით და იქიდან გადავყურებდით ზღვას,

ჯერ კიდევ უკაცრიელ სანაპიროს, სადაც გველოდა ზაფხულის მცხუნვარე დღეების გატარება.

— გახსოვს?

37 თუ 38 წელი იყო, აბესალომი პირველად რომ გამოჩნდა ჩვენს უბანში საზღვაო ტექნიკუმის კურსანტის ფორმით. მაშინ იგი ბათუმის პლაჟსაც არ იყო გაცილებული, მაგრამ ბიჭები ხვდებოდნენ როგორც ნამდვილ მეზღვაურს, მისგან ელოდნენ საზღვაო რომანტიკითა და ფათერაკებით აღსავსე ამბებს. არ ვამხელდით, მაგრამ გუნებაში, ალბათ, ყველანი ერთნაირად ვოცნებობდით იმ დღეზე, როცა აბესალომი კაპიტანი გახდებოდა და დიდი, თეთრი გემით წაგვიყვანდა შორეულ ქვეყნებში, რომელთა შესახებ ჩვენ ვიცოდით გეოგრაფიის სახელმძღვანელოთი, ყიულ ვერნისა და მარკ ტვენის ჟრუანტელის მომგვრელი, დაქეპილი წიგნებით.

მაშინ ჩვენ წარმოდგენაც არ შეგვეძლო, რომ აბესალომის კაპიტნობამდე მოხდებოდა ძალიან დიდი ამბები, ძირფესვიანად შეიცვლებოდა ქვეყნის ცხოვრება, ჩვენი ცხოვრებაც, ბევრი ჩვენგანი ჩაიცვამდა ჯარისკაცის მაზარას, ხოლო ზოგიერთი ვეღარ მოესწრებოდა აბესალომის კაპიტნობას და, სხვა ბევრ აუხდენელ ოცნებასთან ერთად ვეღარ ეღირსებოდა შორეულ ზღვებში იმ დიდი, ლამაზი გემით მოგზაურობას, თვითონ აბესალომს კი ტექნიკუმის მესამე კურსიდან გაიწვევდნენ წითელ არმიამში, 22 ივნისს, განთიადისას, იგი იწვნევდა ფაშისტთა პირველი ბომბების ბათქს და თავისი ტანკით ჩაებმებოდა მტერთან ბრძოლაში. პირველ დღეებში წინაც წაიწიეს და ზურგი აქცევიანეს ჰიტლერელებს, მაგრამ შემდეგ, როცა თანდათან გაირკვა შექმნილი მდგომარეობა, ფაშისტური გერმანიის შემოსევის მასშტაბი და შემუშავდა სტრატეგიული გეგმა, ფრონტის ხაზის გასწორების მიზნით აუცილებელი შეიქნა უკანდახევა. სატანკო ნაწილი, რომლის ერთ-ერთ ეკიპაჟშიც იყო მძღოლი-მექანიკოსი აბესალომ ზენაიშვილი, იცავდა ლვოვს, დნეპროპეტროვსკს, ღონბასს, ხარკოვს... სტალინგრადში ტანკისტებმა დროებით სატრაქტორო ქარხნის სამაქროებში გადაინაცვლეს, შემდეგ თავისივე ხელებით აგებულ ტანკებში ჩასხდნენ და კვლავ გავიდნენ ბრძოლის ველზე. ხარკოვის მისადგომებთან დამთავრდა აბესალომ ზენაიშვილისათვის ფრონტული ცხოვრება. ერთ-ერთი იერიშის დროს იგი მძიმედ დაიჭრა, ოთხი თვე გაატარა ჰოსპიტალში, შემდეგ ბათუმში ჩამოვიდა და, რადგან სამხედრო სამსახურისათვის აღარ ვარგოდა, ისევ საზღვაო ტექნიკუმს დაუბრუნდა. ომი კიდევ გრძელდებოდა, ტექნიკუმი რომ დაამთავრა, კასპიაზე გაგზავნეს. ჩრდილოეთ ირანის სანაესადგურო ქალაქებიდან — ბენდერ-შაჰიდან და ფეჰლევდიდან ბაქოს, კრასნოვოდსკის, ასტრახანისა და მახაჩყალისაკენ გაჰყავდა რუკაზე კურსი ახალგაზრდა შტურმანს აბესალომ ზენაიშვილს. ეს გზა

იყო ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერია, რომლითაც საბჭოთა კავშირი უკავშირდებოდა მსოფლიოს. ამ გზით გადმოჰქონდათ კასპიელ მეზღვაურებს ტანკები, თვითმფრინავები, სხვა საომარი საჭურველი, პროდუქტები, რითაც მოკავშირეები ხელს უწყობდნენ საბჭოთა ხალხს საერთო მტერთან ბრძოლაში.

— კასპიასთან ბევრი რამ მაკავშირებს, — ამბობს აბესალომი, — პირველი საშტურმანო ვახტი, უცხოეთთან შეხვედრა... მაგრამ კასპიის ზღვას მაინც დიდ ტბას, ვარცლს ეძახიან მეზღვაურები. ბუნებრივია, მე და ჩემს თანატოლებს გვწყუროდა ოკეანეში გასვლა, ნამდვილი დიდი მეზღვაურული ცხოვრებით ცხოვრება. ამიტომ, ომის დამთავრებისთანავე, გამოვეთხოვე კასპიას, იქაურ მეგობრებს და შავ ზღვაზე გადმოვედი. ომს გადარჩენილი და გამარჯვების შემდეგ რეპარაციით მიღებული რამდენიმე გემი შეადგენდა შავი ზღვის მთელ ფლოტს. ერთ ხანს „მოლოდეცხე“, „ჩერნიახოვსკიზე“, „ვოროვსკიზე“ ვცურავდი მცირე კაბოტაჟში. მართალია, სახლთან, მშობლებთან ახლოს ვიყავი, მაგრამ მეზღვაურმა, ადმირალობაზე თუ არა, კაპიტნობაზე, შორეულ ზღვებსა და ქვეყნებში ნაოსნობაზე მაინც უნდა იფიქრო. ამიტომ ერთ დღეს რჩევისათვის მივედიო ალექსი დანჩენკოსთან. იგი მაშინ ოდესის ნავსადგურის უფროსი იყო. ძალიან მენანება თქვენისთანა ბიჭებთან დაშორებამ, გვითხრა, მაგრამ დიდ ნაოსნობაზე თუ ფიქრობთ, ამისათვის რეალურად, ჯერჯერობით, ერთადერთი საშუალებაა — ვეშაპთსაჭერი ფლოტილია „სლავა“; სპეციალისტები ძალიან სჭირდებათ; ამას წინათ სამმართველოს უფროსი ველიჩკო ჩიოდა ამაზე. თვითონ ფლოტილიის უფროსი სოლიანიკიც დაეძებს ხალხს. მე რეკომენდაციას მოგცემთ, დანარჩენი თქვენ იცითო. ვეშაპთ-მჭერი სამმართველოს კადრების განყოფილებაში ჩვენს გამოჩენას სიხარულით შეხვდნენ, მაშინვე ფლოტილიის გემებზე გაგვანაწილეს და მალე პირველ რეისშიც გავედით.

...უკან დარჩა ოდესა, შავი ზღვა, ბოსფორი, ხმელთაშუა ზღვა, აფრიკის ყვითელი სანაპირო... „სლავა“ ატლანტის ოკეანეში გავიდა და გეზი სამხრეთისაკენ აიღო. ოდესაში უკვე ყინვები იდგა, აქ კი, ტროპიკებში, სუნთქვა ჭირდა.

„სლავა-ექვსის“ კაპიტნის უფროსი თანაშემწე აბესალომ ზენაიშვილი ვახტზე იდგა. ოკეანე წყნარი იყო და ირგვლივ კარგად ჩანდა ფლოტილიის გემები და მათ შორის ყველაზე დიდი — ფლაგმანი, მცურავი ბაზა.

— ცხელა, — თქვა აბესალომმა და კიდევ ერთი დიდი შეიხსნა ხალათზე.

— დაიცათ, მალე კიდევ უფრო დაცხება, — ჩაილაპარაკა მეზღვაურ ალექსი ზოლოტოვმა.

აბესალომმა მისკენ მიიხედა და მიხვდა, ზოლოტოვი სულ სხვა სიტყვებს გულისხმობდა, უფრო სწორად, პირიქით, იმ სუსხს, აისბერგებს, შტორმებსა და ციკლონებს, ანტარქტიკაში რომ ელოდა მეზღვაურებს, და კიდევ, რაღა თქმა უნდა, ასეთ რთულ ვითარებაში — ვეშაპებთან შეხვედრას და მათ მონადირებას.

ეს პირველი რეისი იყო აბესალომ ზენაიშვილისათვის. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ იგი არ ჰგავდა შავი ზღვის და კასპიის რეისებს, როცა ნავსადგურიდან მეორემდე სამი-ოთხი დღის გზაა, არც აისბერგთან შეჯახება გელის და შტორმის შემთხვევაში სადმე შეაფარებ თავს. ანტარქტიკასა და ვეშაპებზე მთელი მისი ცოდნა, ჯერჯერობით, ლიტერატურით, კინოფილმებით და გამოცდილი ვეშაპთმჭერების ნაამბობით შემოიფარგლებოდა. მას ელოდა შეხვედრა მუდმივი თოვლითა და ყინულით დაფარულ მატერიკთან, რომელიც ტერიტორიით ევროპას აღემატებოდა, ზოგიერთი მთის სიმაღლე ექვსი ათას მეტრს აღწევდა, ხოლო ყინულის ქერქის სისქე — ორ კილომეტრს. უფრო ადრე კი მას ელოდა სახიფათო შეხვედრა ამ მატერიკიდან მომსკდარ ყინულოვან მთებთან — აისბერგებთან, რომელთანაც საფლაგმანო გემიც კი, ალბათ, ისე გამოიჩნდებოდა როგორც სპილოსთან კოდო. მაგრამ კიდევ უფრო ადრე მათ ვეშაპებთან ელით შეხვედრა, ამიტომ აბესალომ ზენაიშვილი ახლა ყურადღებით უსმენს ალექსი ზოლოტოვს, რომელსაც ვინ იცის რამდენი ვეშაპი განუგმირავს ყინულოვან ოკეანეში.

— ერთმა ვეშაპმა მაინც ძალიან გაგვიჭირა საქმე. რამდენიმე საათი ვსდევდით. არადა, ვხედავ, სხვებს არა ჰგავს, რაღაც დიდი ჩანს. ძალიან ეშაპი ვეშაპი იყო. როგორც კი მოვეშაადებოდი სასროლად, თითქოს გრძნობსო, მაშინვე ჩაყვინთავდა. აზარტმა შეგვიპყრო, — ვინ — ვის? ბოლოს, როგორც ჩანს, დაიღალა. სასროლ მანძილზე მივუახლოვდით და... ერთი სიტყვით, პირველივე გასროლამ მიზანს მიაღწია. უნდა გენახათ, რამოდენა სისხლიანმა შადრევანმა ამოხეთქა. ბევრი დრო დაკარგეთ, მაგრამ არ გვინანია, ოცდახუთი მეტრი იყო სიგრძით, ას ტონაზე მეტს იწონიდა.

ჯიხურიდან რადისტი გამოვიდა, უფროს თანაშემწეს ფურცელი გაუწოდა.

— რადიოგრამაა ფლაგმანიდან.

ფლოტილის უფროსი ალექსი სოლიანიკი ყველა გემიდან ითხოვდა მათი ადგილსამყოფელის ზუსტ კოორდინატებს. ზენაიშვილი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს. სოლიანიკმა შესანიშნავად იცოდა თითოეული გემის ადგილსამყოფელი, რადგან საფლაგმანო ხიდურიდან კარგად ხედავდა მთელ ფლოტილას, მაგრამ იგი პირადად არ იცნობდა ახლადმიღებულ შტურმანებს და ახლა ამ დავალებით მათ ცოდნას უფრო ამოწმებდა.

აბესალომმა სექტანტი აიღო და ხიდურზე ავიდა. განსაკუთრებული მონ-  
დომებითა და სიზუსტით გამოთვალა „სლავა-ექვსის“ კოორდინატები.

დაახლოებით ერთ საათში ყველა გემიდან მოსული რადიოგრაფები  
ფლოტილის უფროსს ედო მაგიდაზე. ალექსი სოლიანიკმა ყურადღებით  
გადაათვალიერა ისინი. ერთმა მათგანმა მიიქცია ყურადღება. „სლავა-  
ექვსის“ უფროსი შტურმანის ზენაიშვილის გამოთვლა სხვებისაგან განსხ-  
ვავდებოდა. თუკი იგი მართალია, მაშინ სხვები სცდებიან. სოლიანიკი  
პირადად არ იცნობდა ზენაიშვილს. საერთოდ, იგი პირველი ქართველი  
შტურმანი იყო მთელს ფლოტიაში. საინტერესოა!

— კეიპტაუნში „ექვსიანის“ კაპიტნის უფროს თანაშემწეს ზენაი-  
შვილს სთხოვეთ ფლავიანზე! — გასცა განკარგულება ფლოტილის უფ-  
როსმა.

სამხრეთ აფრიკის სანავსადგურო ქალაქი კეიპტაუნი, უკანასკნელი  
ბაზა იყო, სადაც ვეშაპთმჭერები, ჩვეულებისამებრ, პროდუქტებსა და  
სასმელ წყალს იმარაგებდნენ, ერთხელ კიდევ ამოწმებდნენ მზადყოფნას  
რამდენიმეთვიან ანტარქტიკულ რეისში გასვლამდე. აი, აქ შეხვდა პირვე-  
ლად აბესალომ ზენაიშვილი ვეშაპთმჭერთა თავკაცს ალექსი სოლიანიკს  
და დაარწმუნა კიდევ იგი, რომ სწორედ მისი გამოთვლა იყო სწორი.  
ფლოტილის უფროსს ახალგაზრდა შტურმანის ცოდნაზე უფრო მისი ნა-  
სიათის სიმტკიცე მოეწონა. მან იცოდა, ანტარქტიკაში საცურაოდ, უპარ-  
ველეს ყოვლისა, ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე იყო საჭირო. ალბათ,  
სწორედ მაშინ გადაწყდა აბესალომ ზენაიშვილის ბედი. რეისიდან დაბ-  
რუნებისთანავე იგი საფლავგამანო გემზე გადაიყვანეს ალექსი სოლიანიკის  
უფროს თანაშემწედ.

მაგრამ მანამდე, ბუნებრივია, მე მაინტერესებს აბესალომის შეხვედ-  
რა პირველ ვეშაპთან და ვაძლევ ამ კითხვას.

...ერთი კვირაა დატოვეს კეიპტაუნი. აფრიკის პაპანაქება ყინულოვა-  
ნი ანტარქტიკიდან მონაბერი სუსხით შეიცვალა. ზღვა აიქოჩრა. ზეცა  
ტყვიასავით დამძიმდა. ფლოტილია გუშინ დაიქსაქსა და ყველა გემმა მი-  
ჩენილი კვადრატისაკენ აიღო გეზი.

— აბესალომ მელიტონის ძევ, — უთხრა კაპიტანმა არკადი მორო-  
ზოვმა უფროს თანაშემწეს, — მეტეოროსამსახური ცხრა ბალს გვპირდება. ერ-  
თხელ კიდევ შევამოწმოთ ყველაფერი. მზად უნდა ვიყოთ შტორმთანაც  
და ვეშაპთანაც შესახვედრად.

აბესალომმა მოიარა სამანქანე განყოფილება, გემბანი, საგულდაგუ-  
ლოდ მოსინჯა სამაგრეები, დაგმანული ლუკები, ჯალამბრები და გემის  
ცხვირისაკენ გაემართა, სადაც ქვემეხთან უკვე იდგა მებარჯე ალექსი  
ზოლოტოვი.

— ალექსი ნიკოლოზის ძე, როგორ ფიქრობ, გავხსნით დღეს ანგარიშს?

— რამდენ ხანში გადავალთ მეორმოცე გრადუსს?

— ორ საათში მაინც.

იმავე წუთს, სულ ახლოს, ჯალამბართან შეჯგუფული მეზღვაურები-  
დან ძახილი გაისმა:

— შეხედეთ, შადრევანი!

მაგრამ ზოლოტოვს ამ თითქოსდა ყველაზე სასურველი სიტყვებისათვის ყურადღება არც მიუქცევია. სამხრეთის განედის 40 გრადუსის გადალახვამდე ვეშაპთმჭერებს არ შეეძლოთ რეწვის დაწყება. ასეთი იყო საერთაშორისო წესი, მაგრამ პირველი ვეშაპის დანახვა ყველას აინტერესებდა, განსაკუთრებით, ახალბედებს. აბესალომმა ჭოგრიტი მარჯვნივ მიამოვირა. ზღვის ზედაპირზე არაფერი ჩანდა. ესე იგი, ვეშაპმა ჩაყვინთა. მაგრამ დიდი-დიდი 6-7 წუთი გაძლოს წყალში. ვეშაპმა სულ სხვა ადგილას ამოჰყო თავი. მიმართულება შეუცვლია. მაშინვე მძლავრმა შადრევანმა იფეთქა რუხი კეფიდან. აი ისიც, დედამიწის უდიდესი ცხოველი. მის შესახებ თითქოს ყველაფერი იცოდა აბესალომ ზენაიშვილმა, — რომ ვეშაპი იმდენს იწონის, რამდენსაც ერთად აღებული 25 სპილო ან 130 ხარი, მარტო მისი გული შვიდასი კილოგრამია, ენა — სამი ტონა, ღვიძლი — ნახევარი ტონა; რომ ვეშაპის ხორცი, ქონი, ტყავი გამოიყენება მრეწველობის სხვადასხვა დარგში; განსაკუთრებით ძვირფასია მისი ღვიძლი, რომლისაგანაც ამზადებენ უძვირფასეს სამედიცინო პრეპარატს და რომელშიც იმდენი რაოდენობითაა ვიტამინი „ა“, რამდენიც ასი ათას ტონა კარაქში. ყოველივე ეს კარგად იცოდა აბესალომ ზენაიშვილმა, მაგრამ ცოცხალ ვეშაპს იგი პირველად ხედავდა, თანაც სულ ახლოს, მის გასაგმირავად ერთი გასროლაც საკმარისი იყო, მაგრამ ეს არ შეიძლება: ამიტომ ზოლოტოვი მშვიდად ეწევა სიგარეტს და ზოგჯერ მთავარი ანძისაკენ გაიხედავს, სადაც კასრში მეთვალთვალე ზის. მას პირველს უნდა დაენახა ის ვეშაპი, რომლის მოკვლაც შეიძლებოდა. ნაადრევად შეხვედრილმა „იბლიანმა ვეშაპმა“ კი წყლის მთელი მარაგი ამოაფრქვია, ისევ ჩაყვინთა და შემდეგ სულ გაუჩინარდა.

— მეორმოცე გრადუსს გადავდივართ, — მოახსენა მევახტე შტურმანმა უფროს თანაშემწეს.

აბესალომი კაპიტნის ხიდურზე ავიდა. აქედან კარგად მოჩანდნენ ქვემეხთან გაჩერებული ბრეზენტის ლაბადწამოსხმული ზოლოტოვი და მისი თანაშემწე. მთელი ეკიპაჟი გემბანზე გამოფენილიყო. აბესალომი ღელავდა. მან მხერა გააპარა მოროზოვისაკენ და მიხვდა, ისიც ღელავდა, თუმცა უკვე ორჯერ იყო ნამყოფი ამ მიდამოებში.

— მარჯვნივ ვხედავ შადრევანს! — გაისმა ზემოდან მეთვალთვალები  
მატროსის აღელვებული ხმა.

მოროზოვმა ჭოგრითში გახედა, ალბათ, გადაწყვეტილება მიიღო და  
გასცა განკარგულება:

— საჭე მარჯვნივ! სრული სვლით წინ!

გემი თანდათან უახლოვდებოდა ვეშაპს, გზა გადაუჭრა, მობრუნდა  
და პარალელური კურსი აიღო.

— ცისფერი ვეშაპია! — თქვა სიამოვნებით მოროზოვმა. — კარგად  
იწყება.

— ზოლოტოვმა თუ არ გვიღალატა... — აბესალომი თვალს არ აშო-  
რებდა მებარჯეს, რომელიც უკვე მზად იყო სასროლად.

— ზოლოტოვმა იცის თავისი საქმე, — ჩაილაპარაკა მოროზოვმა.

გემი სასროლ მანძილზე მიუახლოვდა ვეშაპს. ზოლოტოვმა დაუმი-  
ზნა ქვემეხი, მაგრამ სროლა ვერ მოასწრო, ვეშაპი გაუჩინარდა. აქ უკვე  
ყველაფერი კაპიტნის ხელოვნებაზე იყო დამოკიდებული, როგორ განსა-  
ზღვრავდა იგი ვეშაპის მოძრაობის მიმართულებას, მოსალოდნელი ამო-  
ყვინთვის ადგილს. ის ადგილი გუნებაში აბესალომმაც განსაზღვრა და ბა-  
უშვივით გაეხარდა, რომ არ მოტყუვდა. წყლის ზედაპირზე თავი და ზუ-  
რგი რომ გამოჩნდა, ზოლოტოვს მისგან სულ სამოციოდე მეტრი აშორე-  
ბდა. მანაც აღარ დააყოვნა... გაისმა ქუხილი და ტროსზე გამობმული ბა-  
რჯი გაფრინდა მიზნისაკენ.

— ყოჩაღ, ზოლოტოვ! — თუმცა მებარჯეს ეს არ გაუგონია, მაინც  
წამოიძახა მოროზოვმა.

ბარჯი ჩაერჭო ზღვის გოლიათის სხეულში, ყუმბარა აფეთქდა და  
წყლის შადრევანი სისხლით შეიღებდა. ვეშაპმა ერთი ისე გაიბრძოლა, რომ  
მთელი გემი შეაბარბაცა, აფართხალდა, სასიკვდილო იარაღის მოშორება  
სცადა, მაგრამ ამაოდ; ტყუილად კი არ შეაქო კაპიტანმა ზოლოტოვი, მისი  
ნატყორცი ბარჯი შიგ გულში გარჭობოდა „ზღვის მეფეს“. ვეშაპმა თან-  
დათან ძალა დაკარგა, მოძრაობა შეწყვიტა, შემდეგ სულ გაირინდა და  
გვერდზე დაწვა. იგი ჯალამბრებით გემთან მოზიდეს, რომ არ ჩაძირული-  
ყო, ჰაერით გაბერეს და ამოტივტივებულ ვეშაპს ბამბუკის ჭოკით ჩაარჭ-  
ვეს ალაში, რომელზეც ეწერა — „სლავა-6“.

როცა პირველი ვეშაპის მონადირებით გამოწვეული აზარტი განე-  
ლდა, ყველანი ცოტათი დაწყნარდნენ და მეთვალთვალე მატროსმა კვლავ  
მიიბჯინა ჭოგრითი თვალეზე მორიგი ვეშაპის აღმოსაჩენად. აბესალომმა  
პირველად ის გაიფიქრა, თუ როგორ ერთბაშად დაიმსხვრა ფედოსი ბე-  
ბიას მითი ზღაპრულ გველეშაპზე, მასთან მებრძოლ მამაც უფლისწულ-  
ზე, ზამთრის გრძელ ღამეებში რომ მოუთხრობდა პატარებს. მან ახლა  
მთელი სიცხადით წარმოიდგინა თავისი მომავალი ცხოვრება, რომელიც

მრავალი წლის მანძილზე უნდა დაკავშირებოდა ამ მკაცრ ყინულოვან სა-  
მყაროს, ვეშაპთმჭერთა დიდ ოჯახს, მოსალოდნელ თუ მოულოდნელ სა-  
ხარულსა და ფათერაკს. ათიოდე დღის უკან, ეკვატორი რომ გადასერეს,  
ტრადიციისამებრ, სხვებთან ერთად ისიც ააყურყუმაღავეს აუზში, ზღვის  
ღმერთის — ნეპტუნისაგან სათანადო საბუთიც მიიღო, მაგრამ ნამდვილი  
ნათლობა სწორედ ეს იყო და ამიერიდან იგი უნდა ზიარებოდა ასეთ ცხო-  
ვრებას, წლების მანძილზე ეტარებინა გემი შტორმიან ოკეანეში, აისბერ-  
გების ლაბირინთებში და ეძებნა ვეშაპები, რომელთაც, როგორც შემდეგ  
ხატოვანად თქვა ერთმა ყურნალისტმა, ზენაიშვილის სახელის გაგონე-  
ბაზე სლოკინი უფარდებოდათ.

პირველი რეისის დამთავრების შემდეგ აბესალომ ზენაიშვილი ფლო-  
ტილია „სლავას“ კაპიტან-დირექტორის ალექსი სოლიანიკის უფროს თა-  
ნაშემწედ დანიშნეს. ახალგაზრდა კაცისათვის ეს დაწინაურება და დიდი  
ნდობა იყო. უფროსი თანაშემწე გემზე საერთოდ და, კერძოდ, ისეთ გემ-  
ზე, როგორც ვეშაპთმჭერი ბაზაა, მნიშვნელოვანი ფიგურაა. ამ თავისე-  
ბურ მცურავ ქარხანაში, სადაც ვეშაპის ამოზიდვიდან პროდუქციის გა-  
მოშვებამდე, ყველაფერი მექანიზებულია, უფროსი თანაშემწე ამავე  
დროს მთავარი ინჟინერიცაა. მას ეხება ყველაფერი, ამ სიტყვის სრული  
მნიშვნელობით, ვახტზე დგომაა თუ პროდუქტების მომარაგება, ვეშაპთ-  
მჭერ გემებთან ყოველდღე დაკავშირება და რეწვის ორგანიზაცია, კრი-  
ტიკულ მომენტში ყველაზე მეტი სიმამაცისა და მოხერხებულობის გა-  
მოჩენა, რა თქმა უნდა, სიმკაცრეც, მომთხოვნელობაც, და, საჭიროების  
შემთხვევაში, ანეგდოტის მოყოლა და ხალხის გამხიარულება. საფლავმა-  
ნო ხომალდზე გატარებული ოთხი ანტარქტიკული რეისი დიდი სკოლა  
იყო ზენაიშვილისათვის, მით უმეტეს, ალექსი ნიკოლოზის ძე სოლიანიკის  
გვერდით, მაგრამ გულის სიღრმეში იგი მაინც არ იყო კმაყოფილი და,  
ცოტა არ იყოს, სინანულით აცილებდა ვეშაპების საჭერად ფლოტილიის  
გემებს. იმ წელს, „სლავამ“ თავისი ნადავლით უკან რომ ჩამოიტოვა ინგ-  
ლისის, ნორვეგიის, ჰოლანდიის, იაპონიის, კოსტა-რიკის, სხვა სახელმწი-  
ფოების ვეშაპთმჭერი ფლოტილიები და ამისათვის საერთაშორისო კონ-  
ვენციის სიმბოლური „ცისფერი ლენტი“ დაიმსახურა, აბესალომ ზენაი-  
შვილმა სოლიანიკს განუცხადა, ვეშაპთმჭერ გემზე მინდა დავბრუნდეთ.

...ამასობაში ჩვენ ეზოდან სახლში გადავინაცვლეთ და თითქოს პატა-  
რა მუხეუთში მოვხვდით. აქ ყოველი ნივთი, საზღვაო ბარომეტრია ეს თუ  
ხიდან გამოჩორკნილი ეკვატორის სიმბოლური გასაღები, ვეშაპის კბი-  
ლები, ფოტოები, რუკები, შეყვითლებული ყურნალ-გაზეთები მეტყვე-  
ლებს მასპინძლის პროფესიაზე, დიდ საზღვაო ცხოვრებაზე. ყოველი ნივ-  
თი და ფოტო აცოცხლებს ამა თუ იმ საინტერესო შემთხვევას, შეხვედ-  
რას, მოვლენას.



— ეს „სლავა-ხუთია“. ბაზიდან გადმოსვლის შემდეგ ამ გემით ჩავატარე ხუთი რეისი. ხომ ხედავ, რამდენი ვეშაპი გვყავს აკიდულნი რომ ვეღარ ვუთავდებოდით, ზღვაში ეტოვებდით; აი, ამ ფოტოზე რომაა, ასე დავასობდით ჩვენი გემის ნომერს ბამბუკის ჭოკით და ნადირობის დამთავრების შემდეგ ვბრუნდებოდით. სხვათა შორის, ეს ჭოკები ბათუმის ბამბუკის ფაბრიკაშია დამზადებული. ამ პატარა ბიჭუნას, ახლა იგი მოწიფული ვაჟკაცია და ცურავს კიდეც, პასპორტში სახელიც და დაბადების ადგილიც ერთნაირად უწერია — „ანტარქტიკა“. ეს ისტორიული აქტი მონდა 1948 წელს, როცა მისი მშობლები, ჩვენი თანაქალაქელი ემელიან კეშელავა და დედა ალექსანდრა ლეონოვა მორიგ რეისში იმყოფებოდნენ ანტარქტიდის ნაპირებთან. ამათ შენც და ბევრი ბათუმელი კარგად იცნობს, — ჯუმბერ ინწკირველი, გიორგი სვანიძე, ხალილ ფშანავა; ერთ დროს სახელოვანი ვეშაპთმჭერები იყვნენ, ახლა საქართველოს სანაოსნოში მუშაობენ; ინწკირველი და სვანიძე გემებს მეთაურობენ, ფშანავა ბათუმის ნავსადგურის კაპიტანია. — აბესალომი ფოტოების ახალ დასტას იღებს საქალაქიდან. — ნახე, რა ერთი ციციქნა ჩანს ჩვენი გემი ამ აისბერგის ფონზე. დღიან-ღამიან თვალი უნდა გეჭიროს. არ იცი, როდის და საიდან გამოტყვრება. სწორედ ასეთმა აისბერგმა იმსხვერპლა „ტიტანიკი“. ზოგჯერ ყინულის მთელ მოძრავ კუნძულებს შეხვდები ანტარქტიკაში, ზოგიერთის სიგრძე ას კილომეტრს აღწევს, აი, ის თორმეტსართულიანი სახლი რომაა, იმის სიმაღლეა. ხუთჯერ მეტი კი წყალშია. ასეთი აისბერგი რომ გააღწო, ბათუმისხელა ქალაქს რამდენიმე წელი ეყოფა. სხვათა შორის, ასეთი იდეაც არსებობს, სამხრეთ აფრიკამდე ბუქსირით მოაყურონ ეს ყინულის მთები და წყლად აქციონ.

ახლა აბესალომი სრულებით არა ჰგავს კაპიტნის ხიდურზე წამომდგარ, გულზე წვერდაფენილ კაცს. ფოტოებზე მის გარემომო სულ ასეთი წვეროსნებია.

— განა ეგზოტიკისათვის ვუშვებთ წვერს. — ილიმება იგი. — ფეხქვეშ გემბანი რომ ტორტმანებს და სახეს ყინულივით ცივი, მარილიანი წყალი გისერავს, აბა წვერის გასაპარსად ვის სცალია!

ერთ ფოტოზე თვითმფრინავი დასტრიალებს გემს.

— პოლარულ სადგურ „მირნიდან“ გვესტუმრა. ტომრით ფოსტა ჩამოგვიგდო დიდ მიწაზე ჩასატანად — შინაურებისათვის წერილების გაგზავნის ეს ერთადერთი საშუალება. — ყოველი ფოტო ახალ მოგონებას იწვევს. — ეს ზოლოტოვია. ჩვენ ისევ შევხვდით „ხუთიანზე“. თავისი საქმის ნამდვილი პროფესორია. ათასობით ვეშაპია მის ანგარიშზე. ერთ-ერთმა პირველმა მიიღო სოციალისტური შრომის გმირობა. ეს კი დერჟავინია, ჩვენი ცეცხლფარეში; ორჯერ დაბადებულს ეძახიან. ერთხელ შტორმის დროს ტალღამ ოკეანეში გადაისროლა. მთელი საათი ვეძებეთ

მაშხალეებითა და შუშხუნებით. თითქმის იმედი დავკარგეთ, მაგრამ ბოლოს მაინც მივაგენით. ეჰ, რამდენი ასეთი შემთხვევა ყოფილა! ისე როგორც ქუჩა, საოკეანო გზებიც აღსავსეა მოულოდნელობით, ფათერაკით.

...იმ დღეს „სლავა-ხუთის“ ეკიპაჟმა კიდევ ერთი ვეშაპი მოინადირა, ჯაჭვით მიაბა ქიმზე და მანამდე მოკლული ორი ვეშაპისაკენ აიღო გეზი. შუაღამე გადასული იყო, მაგრამ შტურმანებს არ ეძინათ, რიგ-რიგობით ზვერავენენ აქოჩრილ, ჩანისლულ ოკეანეს ლოკატორებით. მეთვალთვალე მატროსებიც განსაკუთრებით ფხიზლობდნენ. აბესალომ ზენაიშვილმა კაპიტნის ხიდურიდან ერთხელ კიდევ გულმოდგინედ გაჰხედა ზღვას ჭოგრიტით. ყველაზე ახლობელი აისბერგი მათგან ხუთიოდე მილზე მოჩანდა. ყინულის მთა თითქოს არც იძროდა ადგილიდან, ოკეანის ჭირვეულობას, მაინცა და მაინც, არ ებუებოდა. თითქოს საფრთხე არსაიდან ემუქრებოდა გემს, მაგრამ ზენაიშვილმა მაინც გადაწყვიტა, ერთხელ კიდევ ჩასულიყო სამტურმანო ჯიხურში და რადიოლოკატორით დაეზვერა მიდამო. ის იყო ეკრანი ჩართო, რომ ფეხქვეშ თითქოს მიწა იძრა, გემის კორპუსი დარტყმისაგან შეიწყა, სიჩუმე გაჰკვეთა ფოლადის შემაზრხენმა ხრჭიალმა და იმავე წამს გაისმა საგანგაშო სიგნალი:

— ყველანი ზევით!

გემბანზე გამოცვივდენ. პროექტორების შუქი გემის ცხვირისაკენ მიმართეს და მარცხენა მხარეს წყლის ქვეშ დაინახეს მოლურჯო ყინულის ვეებერთელა ზოდი. მანქანა შეჩერდა და გემი ღრეიფში დაწვა. მალე ცნობილი გახდა, რომ ყინულს ქიმი შეენგრია და ცხვირის ნაწილში წყალი შემოდიოდა. ეკიპაჟი კაპიტანს შესცქეროდა. ახლა მასზე იყო დამოკიდებული ადამიანების, გემის ბედი, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა იგი: შესძლებდა თუ არა ასეთ დროს ყველაზე დიდი საშიშროების — პანიკის თავიდან აცილებას. ზენაიშვილს სჯეროდა თავისი ეკიპაჟისა, მრავალგზის ჰყავდა გამოცდილი იგი და ამიტომ არც დაუმაღავს შექმნილი მდგომარეობა, თან დაუმატა, ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელთააო. მაშინვე შეუდგნენ წყლის ამოქაჩვას. ერთდროულად ნახვრეტის დასაგმანავად გადაუშვეს პლასტიკი, ყველანაირი იალქნები და ნავებზე გადაფარებული ბრეზენტები. წყალი მაინც ვერაფრით ვერ შეაჩერეს. უკვე კაიუტებიც დაიტბორა. რადგან ცხვირი სულ უფრო ღრმად ეშვებოდა წყალში, წინა ნაწილზე მოთავსებული ქვემეხი, ვეშაპის დასაბმელი ჯაჭვები, სხვა მძიმე ნივთები ერთდოზე გადმოიტანეს. ამანაც რომ ვერ უშველა, თვრამეტი ტონა სასმელი წყალი გადაუშვეს ოკეანეში. შემდეგ ორმოცდაათი ტონა მახუთიც გაიმეტეს. შექმნილი მდგომარეობის შესახებ განუწყვეტლივ ეგზავნებოდა ცნობები საფლავმანო ხომალდზე ფლოტილიის უფროსს. ამასობაში მეგობრების დასახმარებლად წამოსულმა სამმა გემმაც მოაღწია შემთხვევის ადგილზე. ისინი შორიახლო იდგნენ და მზად იყვნენ საჭიროების შემთხ-

ვევაში დახმარებოდნენ თანამოსაქმეებს. ეს მომენტი შეიძლება დამდგარიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გემი ჩაიძირებოდა, მაგრამ „სლავა-ხუთის“ ეკიპაჟმა ყველაფერი გააკეთა, რომ ეს არ მომხდარიყო. როგორც კი შეწყდა წყლის დენა, გემმა გეზი აიღო საბაზო ხომალდისაკენ, სადაც მყვინთავების დახმარებით საიმედოდ დაგმანეს ნახვრეტი. ავარიიდან სამი დღის შემდეგ „სლავა-ხუთი“ კვლავ მწყობრში იდგა. კაპიტან აბესალომ ზენაიშვილისა და მებარჯე ალექსი ზოლოტოვის მოხერხებულობით გაცდენილი დრო აინაზღაურეს.

— აი, ეს სწორედ იმ რეისიდან დაბრუნების დროსაა გადაღებული ოდესის ნავსადგურში, — მეუბნება აბესალომი და მიჩვენებს ფოტოსურათს, რომელზეც მთელი სიგრძე-სიგანით მოჩანს ფლოტილია „სლავა“. აქ ცოტათი რიგი არეულია. მართალია, ჩვენს გემს „ხუთიანი“ აწერია, მაგრამ ნავსადგურში პირველი შევდივართ. ამას იმსახურებს ხომალდის ეკიპაჟი, რომელიც ყველაზე მეტ ვეშაპს დაიჭერს რეისში.

ასეთი პატივით ოდესის ნავსადგურში ბევრჯერ შესულა გემი, რომლის ხიდურზეც იდგა კაპიტანი აბესალომ ზენაიშვილი. ბედი წყალობთო, მებარჯე ჰყავთ მარჯვეო, კარგი რაიონი შეხვდათო, ამბობდნენ ხოლმე ასეთ დროს „ხუთიანის“ ვეშაპთმჭერებზე, ბოლოს მაინც ამით დაამთავრებდნენ, ზენაიშვილს ისეთი ყნოსვა აქვს, ქვესკნელში მიაგნებს ვეშაპსო. რა თქმა უნდა, ვეშაპი არც ზღაპრული ურჩხულია და არც გველეშაპი, ქვესკნელშიც არ ბუდობს, სულ რაღაც ათიოდე მეტრის სიღრმეზე ჩადის წყალში, მაგრამ მის მიგნებას მართლაც სჭირდება მახვილი თვალიც, გამოცდილებაც, ინტუიციაც და, შეიძლება, ყნოსვაც. კაპიტანს არ უნდა გამოეპაროს არც ერთი წვრილმანი, რაც ოკეანის ზედაპირზე ხდება. თუ წყალმა მოულოდნელად იცვალა ფერი და მწვანიდან მოყავისფრო გახდა, ესე იგი, ამ რაიონში დიდი რაოდენობითაა კიბოები — ვეშაპის საყვარელი საკვები; მამასადამე, მოსალოდნელია მათი გამოჩენა. პირველივე შადრევნის ამოფრქვევისთანავე კაპიტანმა უნდა განსაზღვროს ვეშაპის ჯიში — ცისფერია ის თუ ბისკაიური, ბრტყელი თუ კუზიანი, ხოლო ამის მიხედვით — მისი მოძრაობის მიმართულება და სისწრაფე. ყოველივე ეს ჩინებულად იცის აბესალომ ზენაიშვილმა. სწორედ ესაა მისი ხელოვნების მთელი საიდუმლოება. ამის წყალობით ბევრჯერ გამოსულა „ხუთიანის“ ეკიპაჟი გამარჯვებული, თვით კაპიტნის მკერდი კი საბრძოლო ჯილდოებთან ერთად 1959 წელს ლენინის ორდენმა დაამშვენა.

მაგრამ ასეთი კაცი მაინც „გაიმეტა“ ალექსი სოლიანიკმა. ოდესაში, მორიგი ანტარქტიკული რეისისათვის რომ ემზადებოდნენ, ფლოტილიის უფროსმა „ხუთიანის“ კაპიტანი საფლავმანო ხომალდზე მიიწვია და უთხრა:

— შენს მშობლიურ რესპუბლიკაში იქმნება თევზსაჭერი ფლოტი.

გერმანიაში დამთავრდა პირველი საოკეანო ტრაულერის მშენებლობა. სახელიც შეურჩევიათ — „შოთა რუსთაველი“. ერთი სიტყვით, ყველაფერი, კაპიტნის გარდა. ბუნებრივია, ამ გემის მეთაური ქართველი მეზღვაური უნდა იყოს, თანაც თევზჭერის სპეციალისტი. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა შენ გითხოვს. რას იტყვი?

აბესალომ ზენაიშვილისათვის ეს წინადადება რამდენადმე მოულოდნელი იყო. რა თქმა უნდა, გუნებაში გაეხარდა, რომ პირველ გემს საქართველოში იგი ჩაიყვანდა, ეს დიდი პატივისცემა და ნდობა იყო, მაგრამ „სლავას“ მიტოვებაც არ შეეძლო ასე ადვილად, რაც არ უნდა იყოს, თითხმეტი წელი გაატარა ამ კოლექტივში.

სოლიანიკი მიხვდა, რატომ შეუგვიანდა პასუხი ზენაიშვილს და თვითონვე გამონახა გამოსავალი:

— მე თანახმა ვარ, შენც არ უნდა იყო წინააღმდეგი. საპატიო საქმეა. მაგრამ ამას მე მივიღინებას ვარქმევ. „სლავაზე“ უნდა დაბრუნდე. შენთვის გემი ყოველთვის იქნება.

...აი ისიც, ჯერ კიდევ ქათქათა „შოთა რუსთაველი“. გემის სიგრძე 80 მეტრია, სიგანე — 13 მეტრი, წყალწყვა — 3.300 ტონა, ძრავის სიმძლავრე — 2.652 ცხენისძალა. აბესალომ ზენაიშვილი საფუძვლიანად გაეცნო ამ გემ-ქარხნის საექსპლოატაციო თვისებებს, აგებულებას, როცა ორი თვის განმავლობაში იმყოფებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სანავსადგურო ქალაქ შტრალზუნდში, მონაწილეობდა საქარხნო გამოცდაში. რამდენიმე დღეს გემზე ორი კაპიტანი იყო — გერმანელი და საბჭოთა. ერთად ჩამოიყვანეს გემი კალინინგრადში, სადაც ოფიციალურად გაფორმდა ჩაბარება-მიღება, ტრადიციისამებრ დაიღია შამპანური. საქმეს სათავეში ჩაუდგა ქართული საოკეანო ტრაულერის პირველი კაპიტან-დირექტორი აბესალომ ზენაიშვილი.

კალინინგრადში შემოუერთდათ ბათუმიდან ჩამოსული ეკიპაჟის ნაწილი კაპიტნის პირველი თანაშემწის ლევან მაჩაიძის მეთაურობით. მაჩაიძე პროფესიით ჟურნალისტი იყო და „ზარია ვოსტოკისათვის“ უნდა მიეწოდებინა მასალები „შოთა რუსთაველის“ პირველი რეისის გარშემო.

1963 წლის 1 აპრილს კალინინგრადელმა ლოცმანმა გემი რეიდზე გაიყვანა, კაპიტანს გამოეთხოვა და ტრაპით დაეშვა კატარაზე. „შოთა რუსთაველი“ საყვირის გუგუნით გამოეთხოვა სტუმართმოყვარე ქალაქს და გეზი ღია ზღვისაკენ აიღო. ასე დაიწყო „შოთა რუსთაველის“ პირველი საოკეანო რეისი, რითაც დასაბამი მიეცა საქართველოს თევზსაჭერი ფლოტის ისტორიას. პირველი რეისი გაგრძელდა 141 დღე-ღამე, გემმა შემოუარა ევროპას და აფრიკას — კეთილი იმედის კონცხამდე, გაიარა

ხუთი ზღვა და ოკეანე, დაფარა 32 ათასი კილომეტრი, დაიჭირა ნავარაუდ-  
ვზე გაცილებით მეტი—17.530 ცენტნერი თევზი და 1963 წლის 3 სექტემ-  
ბერს ღუზა ჩაუშვა ბათუმში, სადაც მას ელოდა ზღვა ხალხი ახლობ-  
ლები, მეგობრები, თანამოსაქმეები, მათ შორის ძსინიც, ყოველთვის რომ  
სჯეროდათ, ერთ მშვენიერ დღეს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდოდა  
დიდი, თეთრი გემი, რომლის კაპიტნის ხიდურზეც იქნებოდა მათი  
ძმაცაი აბესალომ ზენაიშვილი.

ქართველ მებაღურთა ისტორიით დაინტერესებულ პირებს დიდ დახ-  
მარებას გაუწევს დოკუმენტური ფილმი, რომელიც ეკრანზე აცოცხლებს  
„შოთა რუსთაველის“ 141-დღიან ეპოპეას. იგი გადაიღო საქართველოს  
ქრონიკალური და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ოპერატორმა ალ-  
ქსანდრე აჯიბეგაშვილმა.

— აჯიბეგაშვილი ეკიბაჟში პირველი კლასის მატროსად იყო გაფორ-  
მებული, — იღიმება აბესალომი. — მეზღვაურების ამბავი მოგეხსენება,  
ახალბედების გათამაშება უყვართ ხანდახან. განგამის შემთხვევაში საშას  
მეთვალყურეობა ევალეობდა. ეს რას ნიშნავსო, იკითხა. აი, იმ კასრში  
უნდა ჩაჯდე, ყურადღებით უნდა იყურო წინ და ნისლი ცოცხით გაფან-  
ტო. საშას ეს არ ვაკვირვებია, მხოლოდ იკითხა, ცოცხი ვისგან უნდა მი-  
ვიღოო. ერთხელ ბოცმანმა დაავალა, ღუზა დაიბლაგვა და ცოტა გაქლი-  
ბეო. შემდეგ საშა მთელი დღე დაეძებდა გემზე ქლიბს. მეზღვაურობისა  
რა მოგახსენო, მაგრამ თავისი საქმე შესანიშნავად იცოდა აჯიბეგაშვილმა.  
როცა რაიმე საინტერესო კადრს იღებდა, სად არ აძვრებოდა, ვერც რწე-  
ვას გრძნობდა და არც ტალღებს ეპუებოდა. მხოლოდ ნისლი არ უყვარ-  
და, გადაღებას მიშლისო. აუცილებლად ნახე ეს ფილმი, კინოსტუდიაში  
ექნებათ. საერთოდ, ნუ დაიკარგება. ალბათ, ბათუმში ოდესმე შეიქმნება  
საზღვაო მუზეუმი და ასეთი ექსპონატები სანთლით საძებარი გახდება.

უხვ ნადავლთან ერთად ამ რეისში ქართველმა მეთევზეებმა დიდი  
გამოცდილება შეიძინეს, ოკეანეში თევზჭერის ხელოვნებას საფუძვლიან-  
ნად დაეუფლნენ. ასე რომ, მეორე რეისში, ინდოეთის ნაპირებისაკენ, ისი-  
ნი გადიოდნენ, როგორც ნაცადი ზღვაოსნები და მებაღურები.

შემდეგ აბესალომ ზენაიშვილმა მეორე ტრაულური „ლებედი“ ჩა-  
მოიყვანა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ქართველი მეთე-  
ვზეები სულ უფრო ფართოდ გადიოდნენ მსოფლიო სარბიელზე. ამაში  
დიდი იყო ზენაიშვილის დამსახურება. მაგრამ მას არ ავიწყდებოდა ალ-  
ქსი სოლიანიკის სიტყვები, მივლინებაში გიშვებ, ჩვენთან შენთვის გემი  
ყოველთვის იქნებაო. მე ვნახე ალექსანდრე აჯიბეგაშვილის გადაღებული  
ფილმი. ჩემი ყურადღება მიიბყრო ერთმა ეპიზოდმა: „შოთა რუსთავე-

ლის“ ხიდურზე მდგომი აბესალომი გასცქერის ოკეანეს, იქითკენ, სადაც მოჩანს ვეშაპიდან ამოფრქვეული შადრევანი. რეისში ზოგჯერ ხვდებოდათ ვეშაპები და კაპიტანი ნანობდა, რომ გემზე არ ჰქონდათ გარპუნი, სროლა კი თვითონაც ჩინებული იცის. აბესალომ ზენაიშვილს ენატრებოდა ვეშაპებთან შეხვედრა. ამიტომ მან მივლინება დამთავრებულად ჩათვალა და ერთ მშვენიერ დღეს ოდესაში გამოეცხადა მორიგი ანტარქტიკული რეისიდან დაბრუნებულ ალექსი სოლიანიკს.

— ასე რომ, ახლა კვლავ ვეშაპთმჭერ ფლოტილიაში ვარ, — ამბობს აბესალომი. — მხოლოდ სხვა პროფილით, ერთ-ერთ სამეცნიერო-საძიებო გემს ვმეთაურობ. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვეშაპთმჭერი ფლოტილის „სოვეტსკაია უკრაინის“ მეწინავე რაზმი ვართ, მზვერავები, როგორც ზოგჯერ გვეძახიან, თვალი და ყური. ჩვენთვის ანტარქტიკული რეისი ორი-სამი კვირით აღრე იწყება. ჩავდივართ სამხრეთ ყინულოვან ოკეანეში და ვიწყებთ საძიებო სამუშაოებს. გემზე იმყოფებიან მეცნიერი მუშაკები. მათთან ერთად ვადგენთ ვეშაპთა ჯოგების განლაგების რაიონებს, ვუმზადებთ გემებს სარეწ ბაზებს. გარდა ამისა, ვსწავლობთ თევზების გავრცელების მდგომარეობას, მეტეოროლოგიურ პირობებს, მით უფრო, რომ ანტარქტიკა ამ მხრივ ნაკლებად შესწავლილი რაიონია. მაგრამ ჩვენი ძირითადი საქმე მაინც ვეშაპების აღმოჩენაა. ამის შესახებ ვაცნობებთ ბაზას, ჩვენ კი სხვა რაიონებისაკენ მივემართებით და განვაგრძობთ კვლევა-ძიებას.

...ჩვენი საუბარი მცირე ხნით შეწყვიტა ტელეფონის ზარმა. ოდესიდან რეკავდნენ. აბესალომ ზენაიშვილს თევზჭერის სამმართველოში იხმობდნენ. ეს მისთვის რამდენადმე მოულოდნელი იყო. საუბრის დროს მას როგორღაც წამოცდა, ალბათ, წლევანდელი რეისი ჩემთვის უკანასკნელი იყო, მეც, ისე როგორც სხვა ქართველი ვეშაპთმჭერები, ჩვენი რესპუბლიკის სანაოსნოში ვაპირებ გადმოსვლასო. ამჟამად მივლინებით კი არა, სამუდამოდ.

ამას წინათ რადიოთი გამოვედი. კორესპონდენტმა, სხვათა შორის, ეს კითხვა მომცა, ხომ არ აპირებთ საქართველოს სანაოსნოში გადმოსვლასო. დავუდასტურე, კი-მეთქი. ის გადაცემა დედაჩემს მოუსმენია. თითქოს ხელმეორედ დაიბადა მოხუცი, ამდენ ხანს სულ მპირდებოდი, შვილო. სახლთან ახლოს ვიქნებო, ახლა მთავრობასაც ხომ არ მოატყუებო. ოდესაშიც იციან ეს ჩემი გადაწყვეტილება და, ალბათ, ამიტომ მეპატიებებიან სამმართველოში.

...ჩვენ დროებით ვემშვიდობებით ერთმანეთს. ხვალ აბესალომი ოდესაში მიფრინავს. ეზოდან გამოვედი, ჭიშკარი მივკეტე და ერთხელ კიდევ

მოვიხედე უკან. რკინის ლობურს იქით ყვავილებს დაფუსფუსებდა ტროპი-  
კულ პაპანაქებასა და შტორმებში გამოჯეკნილი, მიწას მონატრებული კა-  
ცი. ამ დროს საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტებმა ჩაიარეს და პატა-  
რა, მყუდრო ქუჩა აახმაურეს. მათ ყურადღება არ მიუქცევიათ ეზოში მო-  
ფუსფუსე კაცისათვის, რომელიც საშინაო ტანსაცმელში სრულებით არ  
გავდა სახელოვან კაპიტანს, ვისი სახელის გაგონებაზეც ყინულოვან ოკე-  
ანეში ვეშაპებს ასლოკინებდათ, მაგრამ ეს ჯანსაღი, პირტიტველი ბიჭები,  
ალბათ, გუნებაში ფიქრობდნენ, გამოსულიყვნენ ისეთი ზღვაოსნები, რო-  
გორიც აბესალომ ზენაიშვილია.

---



დოქ. მ. ჩავჭავჭავაძე

## პარმონიული ურთიერთობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობამ მიუთითა, რომ „პარტია კვლავაც აღზრდის ყველა მშრომელს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, ეროვნული შეზღუდულობისა და ყოყოჩობის, მათი ყოველგვარი ფორმის გამოვლინებისადმი შეურაცხველობის სულისკვეთებით, ყველა ერისა და ხალხის ღრმა პატივისცემის სულისკვეთებით“.<sup>1</sup> ხოლო მოხსენებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი“ ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნა: „პარტიამ მიაღწია იმას, რომ ინტერნაციონალიზმი მცირერიცხოვან კომუნისტთა იდეალიდან იქცა ყველა ერისა და ეროვნების მილიონობით საბჭოთა ადამიანის ღრმა რწმენისა და ქცევის ნორ-

მად. ეს საზოგადოებრივ შეგნებაში ნამდვილი რევოლუციური გადატრიალებაა“.<sup>2</sup>

სსრ კავშირის პრაქტიკამ დადასტურა ვ. ი. ლენინის წინასწარხედვა, რომ ნამდვილი ინტერნაციონალური ერთიანობა მიღწეული იქნება მხოლოდ სოციალიზმის პირობებში, სოციალისტური იდეის ფორმირების შედეგად. დამართლაც, ერთობლივ შრომაში, სოციალიზმის აშენებისათვის და მისი დაცვისათვის ბრძოლებში წარმოიშვა კლასებისა და სოციალური ჯგუფების, ერებისა და ეროვნებების ახალი, პარმონიული ურთიერთობა — მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, შეიქმნა ისტორიაში უმაგალითო ურთიერთობა, რომელსაც ხალხთა ლენინური მეგობრობა ეწოდება.

<sup>1</sup> სკკ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 97.

<sup>2</sup> ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი, თბ., 1972 წ.

ერთიან ძმურ ოჯახში სსრ კავშირის ყველა ერთა და ეროვნებამ ეკონომიკისა და კულტურის ნამდვილ აყვავებას მიაღწია. დაძლეულ იქნა ეროვნული შეზღუდულობა და განკერძოებულობა, გაფართოვდა და გაღრმავდა ყველა ერისა და ეროვნების ინტერნაციონალური ურთიერთობა. სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის წლებში, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების, ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, მუშათა კლასის ინტერესებისა და კომუნისტური იდეალების ბაზაზე მსოფლიოში პირველად შეიქმნა ადამიანების ახალი ინტერნაციონალური ერთობა — საბჭოთა ხალხი. კლასებისა და ჯგუფების, ერებისა და ეროვნებების ასეთი პრინციპულად ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ურთიერთობა კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რომ ერებისა და ეროვნებების შემდგომი აყვავების საფუძველზე განხორციელდეს მათი თანდათანობითი დაახლოება.

პარტია წარმართავს რა ერებისა და ეროვნებების აყვავებისა და დაახლოების პროცესებს, ქმნის ხელსაყრელ პირობებს ჩვენი ცხოვრების შემდგომი ინტერ-

ნაციონალიზაციისათვის, სადაც სულ უფრო მეტად იჩენს თავს საერთო საბჭოური ტრადიციები, ინტერნაციონალური თვისებები. მრავალეროვან საბჭოთა ხალხს ჩამოუყალიბდა და განუმტკიცდა ეკონომიური ცხოვრების, ტერიტორიის, კულტურის ერთობა, ხოლო სულიერი ცხოვრების მხრივ ჩამოყალიბდა საბჭოთა ადამიანის ისეთი შესანიშნავი თვისებები, როგორცაა: კომუნისმის საქმისადმი ერთგულება, სოციალისტური პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, მაღალი შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, შეურიგებლობა ექსპლოატაციისა და ჩაგვრისადმი, ეროვნული და რასობრივი ცრურწმენობისადმი, კლასობრივი სოლიდარობა ყველა ქვეყნის მშრომელებთან.


სოციალისტური ერებისა და ხალხების მშრომელებს ჩამოუყალიბდათ ისეთი საერთო ტრადიციები, როგორცაა: სამშობლოსა და კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარული, ურთიერთდახმარება, ინტერნაციონალური სოლიდარობა, კოლექტივიზმი, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება, შრომითი საჩუქრები რევოლუციური დღესასწაულებისადმი. ყველა საბჭოთა ხალხს ერთნაირად აღელვებს და ახარებს ისეთი საერთო ტრადიციული დღესასწაულები, როგორცაა: პირველი მაისი, დიდი ოქტომბრის წლისთავი, ახალი წლის შეხვედრა, საბჭოთა კონსტიტუ-

ციის დღე და სსრ კავშირის შექმნის წლისთავი, საბჭოთა არმიის დღე და ა. შ.

ახალი საერთო საბჭოური ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი ყველა ერისა და ეროვნებისათვის ნამდვილი ეროვნული, მათი სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, ისინი სისხლსა და ხორცში გაუჯდათ მათ. ამავე დროს ეს ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი თავისი შინაარსით ღრმად ინტერნაციონალურია, ვინაიდან ეროვნული ჩარჩოებით არ არის შემოფარგლული. მათ ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნებისათვის ერთნაირი ძალა აქვთ, მათი სულიერი სახის საერთო ინტერნაციონალურ თვისებებს გამოხატავენ.<sup>3</sup>

ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ პროლეტარიატი „მხარს უჭერს ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას, ეროვნული ზღუდეების დანგრევას, ყველაფერს, რაც უფრო მჭიდროს ხდის კავშირს ეროვნებათა შორის“.<sup>4</sup>

კომუნისტური პარტია წინააღმდეგია იმ მცდარი შეხედულებებისა, რომელიც ქადაგებს არა ერების დაახლოებას, მათი კულტურების ურთიერთგავლენასა და ურთიერთგამდიდრებას, არამედ ეროვნული ტრადიციებისა და თა-



ვისებურებების გაზვიადებას, ეროვნულ კარჩაკეტილობას. მეორე მხრივ, გმობს ყოველგვარ მოწოდებას, რომელიც მოითხოვს ეროვნულ განსხვავებათა წაშლის ხელოვნურად დაჩქარებას, ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარების მნიშვნელობის დამცირებას. სოციალისტური ერების დაახლოების პროცესი ვერ ითმენს ვერავითარ ადმინისტრაციულ ჩარევას. ერების დაახლოების ბუნებრივი პროცესის ხელოვნურ წაბიძგებას, ისევე როგორც შის შეკავებას, შეუძლია მხოლოდ აერიოზული ზიანი მიაყენოს საქმეს.<sup>5</sup>

ჩვენი ქვეყნის ერებისა და ეროვნებების შემდგომი დაახლოება ობიექტური პროცესია. ლ. ი. ბრეჟნევიმ ამასთან დაკავშირებით თქვა: პარტია წინააღმდეგია იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ერებისა და ეროვნებების შემდგომი დაახლოების ობიექტური პროცესი ხელოვნურად დავაჩქაროთ. „ამის არავითარი საჭიროება არ არის, ამ პროცესს გვიკარნახებს ჩვენი საბჭოთა ცხოვრების მთელი მსვლელობა. ამასთანავე პარტიას შეუწყნარებლად მიაჩნია ყოველგვარი ცდა შეფერხდეს ერთა დაახლოების პროცესი, ამა თუ იმ საბაბით დაბრკოლება შეექმნას მას, ხელოვნურად განმტკიცდეს ეროვნული განკერძოებულობა, რადგან ეს ეწინააღმდეგება ჩვე-

3 სსრ კავშირის შექმნა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმა. ქ. პიატიგორსკი, 1972, გვ. 530-531.

4 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 24.

5 ვ. მერკვილაძე. თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური, 1972, გვ. 83.

ნი საზოგადოების განვითარების გენერალურ მიმართულებას, კომუნისტთა ინტერნაციონალისტურ იდეალებსა და იდეოლოგიას, კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს“.<sup>6</sup> ლ. ი. ბრეჟნევმა იქვე აღნიშნა, რომ პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქის მუღმივი, სისტემატური და ღრმა აღზრდის საქმეს, რომ „ეს ორი ცნება ჩვენთვის განუყოფელი მთლიანობაა“, რომლებსაც „თვით საბჭოთა ცხოვრება, მთელი ჩვენი სინამდვილე უნერგავს მშრომელებს“.

ინტერნაციონალური ერთობა თითოეული საბჭოთა ერისა და ეროვნების განვითარების მძლავრი წყაროა.

ინტერნაციონალური შეკავშირება ერთიანი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების საწინდარია. ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს მშენებლობის ისტორია მოწმობს, რომ ეროვნული საკითხის გადაჭრა მშრომელთა ინტერესებისათვის შესაძლებელია მხოლოდ ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ჩვენი პარტია, რომელიც ყველაზე მკაფიოდ განასახიერებს სსრ კავშირის მშრომე-

ლთა საბრძოლო ამხანაგობასა და მეგობრობას, მთელი საბჭოთა ხალხის ურღვევ ერთიანობას, ინტერნაციონალისტ - ლენინელთა პარტია, როგორც თავისი იდეოლოგიითა და პოლიტიკით, ისე შემადგენლობითა და წყობით, ყოველთვის ითვალისწინებდა ამ ჭეშმარიტებას. ჯერ კიდევ 1898 წელს, თავის პირველ ყრილობაზე, მართალია, პარტია მაშინ არ შექმნილა, მაგრამ მან დაირქვა არა რუსული, არამედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი 1905 წელს წერდა: „პარტიის ნაციონალური ხასიათის შესახებ ყოველივე ფიქრი რომ მოესპო, პარტიამ დაირქვა არა რუსული, არამედ რუსეთის პარტია“.<sup>7</sup> ამის თაობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ ჩვენში ყველა კომუნისტი, რა ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს, ერთიანი ლენინური პარტიის წევრია. მათ აქვთ თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი, თანაბარი პასუხისმგებლობა აკისრიათ ქვეყნის ბედისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის მზადების შესახებ“ ნათქვამია, რომ თითოეული კომუნისტის ვალია ყველა ღონისძიებით განამტკიცებდეს მასებში იმის შეგნებას, რომ ეკუთვნიან ერთიან სოციალისტურ სამშობლოს, ახალი საზოგადოების

<sup>6</sup> ლ. ი. ბრეჟნევი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი. თბ., 1972 წ. გვ. 32-33.

<sup>7</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 588.

მშენებელთა დიად ინტერნაციონალურ არმიას, რომ საჭიროა კვლავაც ბეჯითად ვეწოდეთ მუშაობას მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის ყველა ერისა და ეროვნების ღრმა პატივისცემის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამომწვევებისადმი, კუთხურობის გამოვლენებისადმი შეუთრგებლობის სულისკვეთებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე 1972 წ. 22 დეკემბერს ერთხმად მიღებულ მიმართვაში „მსოფლიოს ხალხებს“, ნათქვამია: „თუ მთელი ჩვენი წყობილება და მთელი ჩვენი ცხოვრების წესი გამსჭვალულია ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ეს იმის შედეგია, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია და საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა, ხალხთა მეგობრობის ლენინურმა პოლიტიკამ“.<sup>8</sup>

მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა კომუნისტური აღზრდის შემადგენელი ნაწილია. როდესაც ვლაპარაკობთ მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაზე, არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ მისი ამოცანაა შექმნას სხვადასხვა ერებისა და ეროვნებების მშრომელთა ერთიანი რევოლუციური ფრონტი.

ვ. ი. ლენინი ეხებოდა მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას და ამბობდა, რომ ინტერნაციონალური აღზრდა დიდ და პატარა ერებში კონკრეტულად ერთნაირი არ შეიძლება იყოსო, მაგრამ გზა ერთი მიზნისაკენ: ყველა ერის სრული თანასწორფლებიანობისაკენ, მათი უაღრესად მჭიდრო დაახლოებისა და შემდგომი შეერთებისაკენ, აშკარააო.

უნდა აღინიშნოს, რომ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ინტერნაციონალიზმზე კი არ უარყოფს ეროვნულ შეგნებას, ეროვნულ გრძნობებს, ეროვნულ ინტერესებს, არამედ ჰარმონიულად უთავსებს მათ ყველა ერის, ხალხის ერთობლივ ბრძოლას ახალი საზოგადოების აშენებისათვის.<sup>9</sup> სწორედ ასეთ ძმობას უმღეროდა აკაკი წერეთელი თავის საქვეყნოდ ცნობილ ლექსში:

იმას არ ეთქმის „აღამიანი“,  
ვინც აღიარებს მარტო თავის ერს,  
და სხვა ტომებს კი ისე შეჰყურებს  
ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტეოს.

ხალხთა ასეთ ძმობასა და მეგობრობას უმღეროდა ჩვენი საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტი ვალაკტიონ ტაბიძე, როდესაც ამბობდა:

ჩვენ ავაშენეთ ქვეყანა ძმობის,  
იგი ეყრდნობა ამ ქვეყნად პირველს —  
ხალხთა ერთობის და მეგობრობის,  
ურთიერთ ნდობის ურყევ საძირკველს.

9 ვლ. მაჭავარიანი. ინტერნაციონალური კავშირის ძალა, გაზ. „კომუნისტი“, № 102, 1972 წ., 30 აპრილი.

8 გაზ. „კომუნისტი“, № 300, 1972 წ., 24 დეკემბერი.

ასეთი გულმხურვალე ინტერნაციონალიზმის იდეებითაა გაუღენთილი იოსებ გრიშაშვილის ცნობილი სტრიქონები:

თბილისი, ბაქო და ერევანი! —  
რა კარგი თქმაა, რა დიდებული,  
ეს ერთი ვაზის სამი მტევანი  
ერთ მარანშია დაკიდებული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სსრ კავშირის მშრომელებს ზრდის ინტერნაციონალიზმის, მეგობრობის, ყველა ერისა და ეროვნების ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის სულისკვეთებით. ინტერნაციონალური აღზრდა მიმართულია იქითკენ, რათა ეროვნული თავისებურებანი საბჭოთა ხალხის ცხოვრების ინტერნაციონალურ ხასიათს არ დაუპირისპირდნენ, რომ საბჭოთა ადამიანის ეროვნულ სიამაყეში ყოველთვის პირველ ადგილზე იყოს სოციალისტური შინაარსი, ერთიანი სამშობლოსადმი ერთგულება და სხვა ხალხების საუკეთესო ტრადიციებისადმი პატივისცემა. გამოჩენილი დაღესტანელი სახალხო პოეტი, ლენინური პრემიის ლაურეატი რასულ გამზათოვი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ ჩემთვის სამყარო მშობლიური აულიდან იწყება და შემდეგ დიდ საბჭოეთში გადავდივარო. 1972 წ. 3 ივნისს გაზეთმა „იზვესტიამ“ სათაურით — „ჩემი სიმღერაც მშობლიური ქვეყანაა“ გამოაქვეყნა რასულ გამზათოვის სტატია, რომელშიც პოეტი შენიშნავდა: წერო შენს

ხალხზე, ხაზი გაუსვა მის რიგებში ყოფნას — ეს იმას არ ნიშნავს, რომ უსასრულოდ იფიცო მისდამი სიყვარული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენი ყორნები მიიჩნიო ბულბულებად, ხოლო სხვა ქვეყნების ბულბულები ყორნებადო.<sup>10</sup>

1972 წ. 1 ნოემბერს გაზ. „პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილში სათაურით — „საბჭოთა კავშირის ვარ მოქალაქე“ თურქმენეთის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე რახიმ ესენოვი წერდა: „ჩემი ვაჟი მიდიოდა პასპორტის ასაღებად. „რა ეროვნება ჩავწერო? — შემეკითხა იგი. — შენ — თურქმენი ხარ, დედა — რუსი, მე კი?“ ჩემთან იმ მომენტში იყო სტუმარი ტყეენიდან — ძველი ბოლშევიკი აშირ-ალა კაპეკოვი, რომელმაც მე რეკომენდაცია მომცა პარტიაში შესასვლელად. მან ჩემს მაგივრად უპასუხა კითხვას: „რა მნიშვნელობა აქვს, შვილო, რუსად დაგწერენ თუ თურქმენად? ორივე ენა შენთვის ერთნაირია, ორივე ხალხი თანაბრად ახლობელია. მთავარია — ადამიანი იყო, შენი სამშობლოს მოქალაქე“.<sup>11</sup> ამ პასუხში, შენიშნავს რ. ესენოვი, „წინაპართა საფლავის“, მათი ისტორიის, კულტურის, მშობლიური მიწისადმი გულგრილობა კი არ იმალებოდა, არამედ იყო ღრმა შინაარსი, სიბ-

<sup>10</sup> გაზ. „იზვესტია“, 1972 წ. 3 ივნისი.

<sup>11</sup> გაზ. „პრავდა“, 1972 წ., 1 ნოემბერი.

რძნე ადამიანისა, რომელსაც ეს-  
მონა ცხოვრება, ეპოქა; სოცია-  
ლური წყობის თავისებურებანი,  
როდესაც არც ერთი ერი არ არის  
განკერძოებული, ვინაიდან მთელ  
ცხოვრებას, შრომას, განვითარე-  
ბას, იდეოლოგიისა და კულტურ-  
ის ერთიანობას მაჰყავს ისინი  
უფრო და უფრო მჭიდრო დაახ-  
ლოებისა და ძმური თანამშრომ-  
ლობისაკენ.

ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, რო-  
მელი ერის წარმომადგენელიც არ  
უნდა იყოს ის, სიამაყით თვლის  
თავისთავს უპირველეს ყოვლისა  
საბჭოთა ადამიანად, ახალი, კო-  
მუნისტური საზოგადოების მშე-  
ნებელთა დიადი ინტერნაციონა-  
ლური არმიის წარმომადგენლად.  
ლ. ი. ბრეჟნევიმ საქართველოში  
საბჭოთა ხელისუფლების დამყა-  
რების 50 წლისთავისადმი მიძღვ-  
ნილ საზეიმო სხდომაზე თბილის-  
ში თქვა: „ალბათ, არ არის კაცი,  
რომელსაც ძვალ-რბილში არ ჰქო-  
ნდეს გამძდარი მამა-პაპათა მამუ-  
ლის, მშობლიური კულტურის,  
თავისი ენის, თავისი ტრადიციე-  
ბისა და ზნე-ჩვეულებების სიყვა-  
რული. მაგრამ სოციალისტურ  
საზოგადოებაში ეს გრძნობა —  
პატრიოტიზმის გრძნობა — სცი-  
ლდება ეროვნული კუთვნილების  
საზღვრებს, ახალი შინაარსით ივ-  
სება. ჩვენ ყველანი, რომელ რეს-  
პუბლიკაშიც უნდა ვცხოვრობ-  
დეთ, საბჭოთა პატრიოტები, ერ-  
თი სოციალისტური სამშობლოს  
შვილები ვართ“.

სსრ კავშირში დაძლეულია ერ-  
ოვნული შეზღუდულობა და გან-  
კერძოებულობა, გაფართოვდა და  
განმტკიცდა ყველა საბჭოთა ერი-  
სა და ეროვნების ინტერნაციონა-  
ლური ურთიერთობა. ახლა არც  
ერთი დიდი თუ მცირე ხალხი არ  
გრძნობს თავის თავს მარტოდ,  
ყველა საბჭოთა ერს დედასამშო-  
ბლოდ მიაჩნია როგორც თავისი  
რესპუბლიკა, ისე დიდი საბჭოთა  
კავშირი. ერთიანმა სოციალისტურ-  
რმა სამშობლომ ყოველმხრივ  
აამაღლა საბჭოთა მშრომელების  
პორიზონტი და ფართო გზა გაუ-  
ხსნა მათ საერთაშორისო ასპარე-  
ზზე გამოსვლისათვის.<sup>12</sup>

ერთიანმა სოციალისტურმა სამ-  
შობლომ — სსრ კავშირმა ახალ,  
მაღალ დონეზე აიყვანა ყველა  
ერის პატრიოტიზმი და ინტერნა-  
ციონალიზმი. ყოველი საბჭოთა  
მოქალაქე თავისი შემოქმედებითი  
შრომით, მეცნიერული აღმოჩე-  
ნით, რაციონალიზატორული წი-  
ნადადებებით თუ შესანიშნავი  
ნაწარმოების შექმნით, სსრ კავ-  
შირის საშუალებით შორს გასც-  
დება თავის ეროვნულ ფარგ-  
ლებს, სახელს მოიხვეჭს მსოფ-  
ლიო მასშტაბით.<sup>13</sup>

მ. ი. კალინინმა თავის გამოსვ-  
ლაში თბილისის ინტელიგენციის  
შეკრებაზე 1940 წ. 27 მაისს ამა-

12 „სსრ კავშირის შექმნის 40 წელი“;  
სტ. კრებული, თბ., 1963, გვ. 7-8.

13 გ. ბრეჟნევი. მოძმე ერებთან სპა-  
რადისო კავშირში, გაზ. „კომუნისტი“;  
№ 261, 1972.

სთან დაკავშირებით აღნიშნა: „უწინ, მაგალითად, ქართველი მწერალი წერდა ქართულად მხოლოდ ქართველი ხალხისათვის. თვით უაღრესად ნიჭიერი მწერლისათვისაც კი ფართო სარბიელზე გამოსვლა, არა მარტო ევროპულ, არამედ თუნდაც რუსულ ლიტერატურაში გამოსვლა, წარმოადგენდა უდიდეს სიძნელეს თვით პოლიციის მიერ აკრძალვამდე. მაგრამ ფაქტიურად იგი მაშინ არც თავისი ხალხისათვის ქმნიდა. ახლა კი იგი ნამდვილად ქმნის ქართველი ხალხისათვის, და მასთან ერთად მთელი... საბჭოთა ხალხისათვის. სწორედ ამაში გამოიხატება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც თვით თავისი ბუნებით ღრმად ინტერნაციონალური ა... ჩვენს დროში ქართველი, სომეხი, ბელორუსი, უკრაინელი და ყოველი სხვა ნაციონალური მწერლის არც ერთი ძვირფასი მხატვრული ნაწარმოები არ დაჩიება უქმად, იგი მაშინვე გამოჩნდება სრულიად საკავშირო ასპარეზზე, მას გამოეხმაურება არა მარტო რუსი ხალხი, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებიც. აი რაშია ახალი მდგომარეობა.“<sup>14</sup>

მხოლოდ სსრ კავშირის მეშვეობით, საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახის მეშვეობით გამოვიდა ქართული მწერლობა ფართო საკა-

ვშირო და საერთაშორისო სარბიელზე, მსოფლიოს მრავალი ხალხის ენაზე ამეტყველდა. მ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რუსისა თუ უკრაინელის კულტურული სიმდიდრის განუყოფელი კუთვნილება გახდა მისი უძველესი და მარად ახალგაზრდა ეპოსი, ვილის ლაცისის, აბაი კუნანბაევის, ჩინგიზ აიტმატოვის შესანიშნავი ნაწარმოებები, იანკა კუპალას, სამედ ვურლუნის, რასულ გამზათოვის, ედუარდას მეჟელიატიცის, მუსტაი ქარიმისა და მრავალი სხვ. მშვენიერი ლექსები.<sup>15</sup> ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების უმრავლესი ქმნილებანი თარგმნილია სსრ კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე. ქართულ ენაზე კი თარგმნილია მოძმე ხალხთა ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ინტერნაციონალური აღზრდა მიჩნეულია, როგორც მიზანმიმართული სისტემატური ზემოქმედება ადამიანთა შეგნებასა და გრძნობებზე იმ მიზნით, რათა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეები გადაიქცნენ ადამიანთა ქცევის მტკიცე რწმენად და ზნეობრივ ნორმად. მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა, როგორც კომუნისტური აღზრდის შემადგენელი ნაწილი, მიზნად ისახავს გამოუმუშაოს ადამიანებს ისეთი პოლიტიკური და მორალუ-

14 „სსრ კავშირის შექმნის 40 წელი“, სტ. კრებული, თბ., 1963 წ., გვ. 8.

15 ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისათვის, თბ., 1972, გვ. 28.

რი თვისებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშრომელთა შემკიდროებას, კლასობრივ, ეროვნულ და სხვა განსხვავებათა მოსპობას. ის მოწოდებულია პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეები და პრინციპები გადააქციოს ადამიანთა რწმენად, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ფაქტორად.

ინტერნაციონალური აღზრდა მოწოდებულია, ერთის მხრივ, ყოველნაირად განუმტკიცოს მშრომელებს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის იდეები, მეორე მხრივ, გაათავისუფლოს მათი შეგნება წარსულის გადმონაშთებისაგან ეროვნულ ურთიერთობათა სფეროში, რაც ძირითადად ვლინდება ეროვნული შეზღუდულობისა და ყოყოჩობის, სხვა ეროვნებებისადმი უპატივცემულობის, ეროვნული ეგოიზმის, კუთხურობის, ეროვნული განკერძოებულობის ქადაგების, თავისი ეროვნული სპეციფიკის გადაჭარბებულად აღნიშვნისადმი მისწრაფებაში, თავისი ხალხის დრომოჭმული, რეაქციული ზნე-ჩვეულებების, ხასიათისა და ტრადიციების შელამაზებისა და შენარჩუნების მისწრაფებაში, თავისი ხალხის ისტორიული წარსულის იდეალიზაციაში და ა. შ.

ლ. ი. ბრეჟნევი ამასთან დაკავშირებით მიუთითებს: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეროვნული ცრურწმენები, ეროვნული გრძობების გადამეტებული თუ დამახი-

ნჯებული გამოვლინება მეტად სიცოცხლისუნარიანი მოვლენაა, რომელიც გამჯდარია პოლიტიკური თვალსაზრისით კლასობრივ მომწიფებულ ადამიანთა ფსიქოლოგიაში. ეს ცრურწმენანი ცოცხლობენ ისეთ პირობებშიც, როცა ერთა შორის ურთიერთობაში რაიმე ანტაგონიზმებისათვის ობიექტური წანამძღვრები დიდი ხანია აღარ არსებობს. მხედველობაში უნდა გვქონდეს ის ვითარებაც, რომ ნაციონალისტური ტენდენციების გამოვლინება ხშირად ერწყმის კუთხურობას, რომელიც ნაციონალიზმს ენათესავება“.<sup>16</sup> ნაციონალისტურ გადმონაშთებს აგრეთვე „ყოველნაირად აქეზებენ გარედან ბურჟუაზიული სამყაროს პოლიტიკოსები და პროპაგანდისტები“.<sup>17</sup>

ვ. ი. ლენინმა პროლეტარულ სოციალიზმს ინტერნაციონალური სოციალიზმი უწოდა. ეს ლენინური დებულება რევოლუციური პროლეტარიატის ბრძოლის მთელი მსვლელობით, სსრ კავშირისა და სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული გამოცდილებით მტკიცდება.

ლენინური ეროვნული პოლიტიკა მიმართულია არა მარტო ხალხთა სახელმწიფო-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებისაკენ, არამედ მათ შორის ყოველმხრივი ეკონომიური და კულტურული

16 იქვე, გვ 31-32.  
17 იქვე, გვ. 32.

თანამშრომლობისაკენ, სსრ კავშირის ყველა ხალხისათვის ერთიანი ეკონომიკისა და ინტერნაციონალური კულტურის შექმნისაკენ. სსრ კავშირის არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე შეიქმნა სსრ კავშირის ყველა ხალხისათვის არა მარტო ერთიანი ეკონომიკა, არამედ ერთიანი საბჭოთა სოციალისტური კულტურა, რომელიც შეიცავს სსრ კავშირის თითოეული ხალხის კულტურისა და ყოფის საუკეთესო თვისებებსა და ტრადიციებს. „ამავე დროს ყოველ საბჭოთა ეროვნულ კულტურას ასაზრდოებს არა მარტო საკუთარი წყაროები, არამედ სხვა მოძმე ხალხების სულიერი სიმდიდრე და თავის მხრივ იგი კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს მათზე, ამდიდრებს მათ.“<sup>18</sup> ასე იქმნება კომუნისტური კულტურა.

ვ. ი. ლენინი ახასიათებდა სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ისტორიულ წანამძღვრებს და მიუთითებდა, რომ კაცობრიობის მთელი სამეურნეო, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრება უკვე კაპიტალიზმის დროს სულ უფრო ინტერნაციონალური ხდებაო, სოციალიზმი კი მას მთლიანად ინტერნაციონალურს ხდისო.<sup>19</sup> მაგრამ კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი თვისებები: კერძო საკუთრება, ექსპლოატატორული იდეოლოგია, განსაკუთრებით მი-

სი ნაციონალისტური ფორმა და სხვა, სხვადასხვა ეროვნებების ადამიანებს კი არ აერთიანებს, არამედ თიშავს მათ.

საზოგადოებრივი საკუთრება და სოციალისტური იდეოლოგია, მისთვის დამახასიათებელი ინტერნაციონალიზმი აახლოებენ ხალხებს, მათ ეკონომიურ და სულიერ ცხოვრებას აინტერნაციონალიზებენ.<sup>20</sup>

სოციალისტურ კულტურაში ჰარმონიულად არის შერწყმული სხვადასხვა ერებისა და ხალხების ინტერნაციონალური და სპეციფიკური ინტერესები. მრავალეროვანი სოციალისტური კულტურის განვითარების საერთო პროცესმა განაპირობა სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნებების კულტურის ზრდა-განვითარება. სსრ კავშირის სხვადასხვა ერისა და ეროვნების მწერლები თავიანთ ნაწარმოებებს ამდიდრებენ ურთიერთ შემოქმედებითი გამოცდილებით, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ლიტერატურისა და მსოფლიოს პროგრესულ მწერალთა შემოქმედებითი გამოცდილებით.

ეროვნული კულტურის გარეშე ინტერნაციონალური კულტურა არ არსებობს. ინტერნაციონალური კულტურა, როგორც მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, უშუალოდ აღმოცენდება თითოეული ეროვნული კულტურიდან. მაგრამ არ უნდა მივიჩნიოთ, რომ ინტერნა-

18 იქვე, გვ. 27.

19 ვ. ი. ლენინი თსკ., ტ. 23, გვ. 313.

20 „ხალხთა საბჭოური თანამეგობრობა“, დოკ. კრ., მოსკოვი, 1972, გვ. 6.

ციონალური კულტურა უბრალო  
ჯამი იყოს ნაციონალური კულ-  
ტურებისა. ინტერნაციონალური  
კულტურა დებულობს ყოველივე  
საუკეთესოს, პროგრესულს, რაც  
კი გამოძეუშავებული არის ეროვნული  
კულტურის ნიადაგზე. ეროვნული  
კულტურა ინტერნაციონალური  
კულტურის შემადგენელ  
ნაწილს წარმოადგენს. სსრ კავშირის  
მწერალთა IV ყრილობის რეზოლუციაში  
ნათქვამია: „საბჭოთა  
ლიტერატურა მრავალეროვანი და  
ინტერნაციონალურია“.<sup>21</sup>

საბჭოთა საზოგადოებაში სოციალისტურ  
ერებს შორის კულტურული ურთიერთობის  
დარგში მოქმედებს ორი ურთიერთშეპი-  
რობებელი, ურთიერთდაკავშირე-  
ბული ტენდენცია.

ერთი ტენდენცია მოქმედებს  
ეროვნული კულტურის ყველა  
სახისა და მხარეების ყოველმხ-  
რივი, ფართო და ღრმა განვითარების  
მიმართულებით, ხოლო მეორე—  
განაპირობებს მათ დაახლოებას.  
ვითარდებიან რა ყოველმხრივ,  
ეროვნულ კულტურებს არ შეუძლიათ  
არ დაახლოვდნენ. ერთსაც და მეორესაც  
სოციალისტური ეროვნული კულტურები  
მიჰყავთ გაფურჩქვნისაკენ.

როდესაც ხაზს ვუსვამთ ტერიტორიის,  
მშობლიური ენისა და თავისი  
ხალხისადმი სიყვარულის გრძნობის  
მნიშვნელობას, როგორც პატრიოტიზმის  
სტრუქტურულ ელემენტებს, არ უნდა  
ვისწრავდეთ ამ გრძნობების  
აბსოლუტიზირებისაკენ. ხომ პატრიოტიზმის  
კლასობრივი შინაარსს არ ხსნიან.  
უფრო მეტიც, ამ გრძნობებს გარკვეულ  
პირობებში შეუძლიათ მიიღონ ნაციონალისტური  
ხასიათი.

მშრომელთა პატრიოტიზმი გამოხატავს  
არა მარტო „მშობლიური მიწის“, მშობლიური  
ენისა და თავისი ხალხისადმი სიყვარულს,  
არამედ აგრეთვე სხვა ხალხების  
ღირსებათა პატივისცემას. ამიტომ  
მაა, რომ საბჭოთა ხალხებისათვის  
პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის  
ცნება განუყოფელი მთლიანობაა,  
რასაც თვით საბჭოთა ცხოვრება,  
მთელი საბჭოთა საზოგადოების  
სინამდვილე უნერგავს მშრომელებს.

ამიტომ, რომ მშრომელთა ინტერნაციონალური  
აღზრდა მოწოდებულია გადაწყვიტოს  
ორი ურთიერთდაკავშირებული ამოცანა:  
ერთის მხრივ, მშრომელებს განუვითაროს  
და განუმტკიცოს პროლეტარული,  
სოციალისტური ინტერნაციონალიზმის  
იდეები, ხოლო მეორე მხრივ,  
გაათავისუფლოს მშრომელთა შეგნება  
ბუროკრატიული ნაციონალიზმის  
იდეოლოგიისა და ფსიქოლოგიის  
ნარჩენებისაგან. მეორე ამოცანის  
ძირითად შინაარსს წარმოადგენს  
ბრძოლა წარსულის გადმონაშთებისადმი  
ეროვნულ ურთიერთობათა სფეროში.

საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობის,  
მისი ზნეობრივი

21 „ლიტერატურნია გაზეთა“, 1967 წ.,  
31 მაისი.

მრწამსის, სულიერი კულტურის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვთ ლიტერატურასა და ხელოვნებას, რომლებიც ნაკოფერად ვითარდება ყველა რესპუბლიკაში, სსრ კავშირის ხალხთა ათობით ენაზე, ეროვნული ფორმების მკაფიო მრავალფეროვნებით.<sup>22</sup> მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ამიტომაც, რომ პარტია მოუწოდებს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, ისევე როგორც სხვა დარგის მუშაკებს, ყოველმხრივ უჩვენონ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი, საბჭოთა რესპუბლიკების ერთ მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოში გაერთიანების ისტორიული მნიშვნელობა, სოციალისტური ერების განვითარებისა და დაახლოების კანონზომიერებანი, ხალხთა მეგობრობა, რომელსაც ყველა საბჭოთა ადამიანი სიამაყით ლენინურ მეგობრობას უწოდებს, საბჭოთა ხალხის მიღწევები კომუნისტურ მშენებლობაში, საბჭოთა ხალხისა, რომლის მონოლითურმა შეკავშირებამ თვალსაჩინო როლი შეასრულა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნაში.

როგორც მიუთითა საქართვე-

22 სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 112.

ლოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის თებერვლის პლენუმმა „შემოქმედებითს ინტელიგენციას უნდა ახსოვდეს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების იდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები, ეს „სულიერი ტყვია-წამალი“, დღეს ისევე გვჭირდება, როგორც გვჭირდებოდა სამშობლოს მკაცრი ვასაყდელის წლებში“.<sup>23</sup>

პლენუმზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში „დაშვებული შეცდომების შედეგად იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას მნიშვნელოვანი ზიანი მოსდიოდა. რესპუბლიკაში აქა-იქ იჩინა თავი პრიმიტიულმა ნაციონალიზმმა... იმ წლებში ეკონომიკაზე მეტად ევნო საზოგადოებრივ ფსიქიკას, ადამიანის შინაგან სამყაროს, მის რწმენას ნათელი იდეალებისადმი... უფრო ძნელია გარდატეხა მოახდინო ადამიანის შეგნებაში, ვიდრე ეკონომიკაში“.<sup>24</sup> აღინიშნა ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ სახელი მოიხვეჭეს ქართველი მწერლები-სა და რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების სხვა მოღვაწეთა მხატვრულმა ნაწარმოებებმა, ამავე დროს ითქვა, რომ ჩვენს „ყველა მეცნიერს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეს როდი აქვს ნათლად წარმოდგენილი, თუ როდენ მავნეა სოციალისტური

23 გაზ. „კომუნისტი“, № 50, 1973 წ., 28 თებერვალი.

24 იქვე

ინტერნაციონალიზმის პრინციპი-საგან თუნდაც უმნიშვნელო გადახვევა“.<sup>25</sup> აქედან გამომდინარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის თებერვლის პლენუმმა რესპუბლიკის იდეოლოგიის დარგის ყველა მუშაკს მოუწოდა, რათა ყოველდღიურად ვიმუშაოთ „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის, გადაჭრით ვებრძოლოთ ნაციონალისტური ყაიდის ცალკეულ გამოვლინებებს“,<sup>26</sup> რომ ინტერნაციონალისტი უნდა იყო ყოველთვის, დიდსა და პატარა საქმეში, უნდა გახსოვდეს, რომ უმცირესმა შეცდომამ ამ დარგში შეიძლება ჩრდილი მიაყენოს მთელ იდეოლოგიურ მუშაობას რესპუბლიკაში, რომ „ლენინური ეროვნული პოლიტიკა და კადრების დარგის ლენინური პოლიტიკა სწორედ იმიტომ არის მეცნიერული, რომ გამორიცხავენ კარიერიზმის, ნაციონალიზმის, შოვინიზმის გამოვლინებებს და არავის არ აძლევენ შესაძლებლობას დემაგოგიური ფრაზეოლოგიით შეინიღბონ ამა თუ იმ თანამდებობის მენარჩუნების მიზნით“.<sup>27</sup>

25 იქვე  
26 იქვე  
27 იქვე

ყველა საბჭოთა ადამიანს სამშობლო ერთი აქვს — საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირის წესისმიერი მოქალაქე, რომელ რესპუბლიკაშიც არ უნდა ცხოვრობდეს და რომელ ერსა და ეროვნებას არ ეკუთვნოდეს, — ის უპირველეს ყოვლისა საბჭოთა ადამიანია, ის უპირველეს ყოვლისა ამაყობს სსრ კავშირის მოქალაქის წოდებით.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, ინტერნაციონალური შეგნება აკეთილშობილებს, ამაღლებს ადამიანს, დედამიწის ყველა ერსა და ხალხს უჩვენებს ერთიანობისა და ძმობის მიღწევის რეალურ შესაძლებლობებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 30 დეკემბრის მიმართვაში საბჭოთა ხალხისადმი სსრ კავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ კვლავაც უნდა განვაძლიეროთ ჩვენი ინტერნაციონალური ძმობა, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ და განვაფართოოთ ხალხთა დიადი ლენინური მეგობრობა, რევოლუციის უძვირფასესი მონაპოვარი, ჩვენი ძალის წყარო და მომავალ გამარჯვებათა საწინდარი!

დოც. კ. ნახვილიძე

## ვარდისა და ბულბულის სიმბოლიკა ძველ ქართულ მწერლობაში

ვარდისა და ბულბულის, განსაკუთრებით ვარდის, სიმბოლური დანიშნულება საკმაოდ არის გარკვეული ლიტერატურისმცოდნეთა ცალკეულ კრიტიკულ ნარკვევებში. მას ეხებიან როგორც საზღვარგარეთელი, ისე საბჭოთა მეცნიერები. მათ შორის აღსანიშნავია ა. ნ. ვესელოვსკის სტატია „13 ПОЭТИКИ РОЗЫ“, გ. ნადირაძის „ვარდის სიმბოლიკა“, და სხვ., რომლებშიც განხილულია ვარდის სიმბოლიკის ისტორიული საკითხები, რამ განაპირობა ვარდის სიმბოლოს წარმოშობა და რა ფუნქციით გვევლინებოდა იგი მსოფლიო ლიტერატურაში. ამიტომ ამ საკითხს არ შეევეხებით; მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო პრობლემის უკეთ გარკვევისათვის ვზადაგზა მოვიშველიებთ მათ შეხედულებებს.

ვარდის სიმბოლიკა ირანსა და ამიერ-კავკასიაში იშვა და პირვე-

ლად სწორედ ამ ქვეყნების მხატვრულ ქმნილებებში გამოიხატა. მაგრამ, როგორც საყოველთაო მოვლენა, იგი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. „ვარდის სიმბოლიკის“ თეორიიდან ირკვევა, რომ თავდაპირველად იგი „შემოვიდა პოეზიაში, როგორც სილამაზისა და სიყვარულის სიმბოლო“, ამიტომ ძალაუვნებურად დაუკავშირდა „სისხლსავსე მიწიერ სიცოცხლეს“. გ. ნადირაძის ცნობით, „შუა საუკუნეებში ქრისტიანული ეკლესია თავდაპირველად წინ აღუდგა ვარდის სიმბოლიკას“, მაგრამ მალე იგი ქრისტიან მორწმუნეთა საყვარელ სიმბოლოდ იქცა. მათ ვარდის სიმბოლიკა დაუკავშირეს თვით ქრისტე ღმერთს, ღვთისმშობელს და ასკეტური უმანკოების ფუნქცია შესძინეს. ამ შემთხვევაში მკვლევარები სამართლიანად მიუთითებენ იტალიელი ჰუმანისტის დანტე ალიგიერის

„ღვთაებრივ კომედიაზე“, სადაც პოეტს სამოთხე წარმოდგენილი აქვს „გიგანტურ მისტიურ“ ვარდად.

ბულბულის სიმბოლიკა ორგანულად არის დაკავშირებული ვარდათან. ჩანს, დასავლეთში, კერძოდ რუსეთში, მსგავსი თემები ნაკლებადაა გავრცელებული; იგი უმთავრესად აღმოსავლეთის საკუთრებას წარმოადგენს. მაგრამ ისიც ნათელია, რომ ირანში ვარდალისა და ბულბულის სიმბოლიკა დაკავშირებულია უიმედო სიყვარულის პესიმისტურ განცდასთან და სუფისტურ მისტიკას შეესაბამება: „ათარის „ბულბულ-ნამეში“ ვარდალსადმი ბულბულის სიყვარულია გადმოცემული. პოეტი, რომლის შემოქმედება ძირითადად სუფიზმის საფუძველზე დგას, აქ ღვთისადმი ალეგორიულ სიყვარულს გულისხმობს“,<sup>1</sup> შენიშნავს პროფ. დ. კობიძე.

უძველეს ქართულ ლიტერატურაში ვარდალისა და ბულბულის ტრფიალების სიმბოლიკას თითქმის სრულებით არ ვხვდებით. ქრისტიანულმა ეკლესიამ ამ მხრივ მძიმე დაღი დაასვა ქართულ მწერლობას. მიუხედავად ამისა, ვარდალის სიმბოლიკამ მაინც ჰპოვა გამოხმაურება ისეთ სასულიერო ძეგლებში, როგორიცაა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ („თქვენ ხართ სიწმინდისა ნაყოფნი, მცენარენი

სულნელი, ვარდნი მშვენიერი“) და არსენ ბერის „მეფესა დავითს“ (სარ „შუენიერ, ვითარცა ვარდალი ყვავილთა შორის“).

პირველ შემთხვევაში გ. მერჩულე ვარდას სილამაზის სიმბოლოდ სახავს, ოღონდ ეგ სილამაზე დაკავშირებულია ქრისტიანულ მორალთან, სიწმინდესთან, ხოლო მეორე შემთხვევაში არსენ ბერი ვარდას იყენებს როგორც შედარებას დავით აღმაშენებლის მშვენიერების, სილამაზის წარმოსახავად. „შვენიერში“ არსენ ბერი სიმბოლოურად ალბათ რელიგიურ შინაარსს აქსოვს, რადგან იგი შემკრებლობითი ცნებაა და მიუთითებს უფრო ფართო მნიშვნელობაზე, ვიდრე ფიზიკური სილამაზეა.

ეს ფაქტიც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი ხალხი ყოველთვის ცდილობდა ვარდას ბუნებრივი მშვენიერება გამოეყენებინა როგორც ესთეტიკური ფენოქენი. საკმარისია დავასახელოთ ქართული ხალხური პოეზიის შედეგური „ეთერიანი“, სადაც ვარდასა და იის სიმბოლიკით გამოხატულია მარადიული სიყვარულის უძლეველობა.

ვარდი როგორც პოეტური სახე მრავალგზის არის გამოყენებული შავთელისა და ჩახრუხაძის ხოტბებში. „აბდულმესიანში“<sup>2</sup> ვკითხულობთ: „ნერგად ვარდასად“.

1 დ. კობიძე, სპარსული ქრესტომათია, I, 1963, გვ. 10.

2 მაგალითები ვარდას სიმბოლიკაზე მოტანილია „ჩვენი საუნჯედან“, ტ. II, 1960.

„ფერობს ვით ვარდი თვით დაც-  
ვარული“, „ვარდო ფურჩქენილო,  
ცვრით განბანილო“; ასევეა „თა-  
მარიანში“: „ვარდგაწეული ლაწვი  
უმწყაზრობს განბრწყინებულად“,  
„ვარდ-შამბნარი“, „რომელ ჩანს  
ვარდი თოვნებად“, მაგრამ ვარდი-  
სა და სხვა ყვავილნარის სიმბო-  
ლიკა ჩახრუხადისა და შავთელის  
მიერ განსაზღვრულია, გაერთფე-  
როვანებული (ისინი ძირითადად  
გამოიყენებიან თამარისა და და-  
ვითის ფიზიკური სილამაზის დასა-  
ხასიათებლად) და, როგორც სავ-  
სებით სწორად შენიშნავს გ. ნა-  
დირაძე, „მოკლებულნი არიან აზ-  
რის სიღრმესა და გაქანებას“.

მთელი თავისი დიდებულებით,  
მრავალფეროვნებითა და აზრის  
სიღრმით არის ვარდის სიმბოლიკა  
წარმოდგენილი შ. რუსთაველის  
„ვეფხისტყაოსანში“. ეს საკითხი  
სრულმნიშვნელოვანადაა გაშუქე-  
ბული გ. ნადირაძის „რუსთაველის  
ესთეტიკაში“. მხოლოდ შევნიშ-  
ნავთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“  
კონცენტრირებულია ვარდის სიმ-  
ბოლიკის ყველა ის სახეობა, რომ-  
ლებიც უკავშირდებიან სიცოცხ-  
ლეს, მიწიერ სიხარულს და სიტყ-  
ბოებას... რუსთაველის ფაქიზმა  
ესთეტიკურმა გემოვნებამ შეიწო-  
ვა ვარდის პოეზიის მთელი სურ-  
ნელება და მიანიჭა მას პოეტური  
გამოთქმის მომხიბვლელი კრის-  
ტალური ფორმები“.<sup>3</sup> და ყოვე-  
ლივე ამას რუსთაველი აღწევს

იმით, რომ „ვეფხისტყაოსანში“  
ვარდის სიმბოლიკას დაკისრებუ-  
ლი აქვს იდეებისა და ემოციების  
გამოხატვა“.<sup>4</sup>

რეალური განცდების საფუძვე-  
ლზე აღმოცენებული ვარდის მომ-  
ხიბვლელი სახეები მრავალმნიშვნ-  
ნელოვნად ახასიათებს ადამიანის  
სულიერ სამყაროს. ასევე ახალი  
ნიუანსებით ამდიდრებს სიტყვის  
ბრწყინვალე ოსტატი ვარდისა და  
ბუღბუღის ტრფიალებით გამოხა-  
ტულ თვალსაზრისს. იგი ამ შიშა-  
რთებით სრულიად სცილდება  
შუასაუკუნეებში გაბატონებულ  
ვარდისა და ბუღბუღის პოეტიკას  
და დასაბამს აძლევს მსოფლიო  
ლიტერატურაში ჯერ კიდევ უც-  
ნობი, ახალი, პროგრესული იდე-  
ების განვითარებას. აქვე შევნიშ-  
ნავთ, რომ სიმბოლოების მსოფ-  
ლმხედველობასთან დაკავშირება  
რუსთაველს სრულებითაც არ ბო-  
ჭავს, არ ამუხრუჭებს. პოეტი თა-  
ვისი მრწამსის შესაბამისად ისე  
უშუალოდ და ბუნებრივად აყა-  
ლიბებს სახეებს, რომ ერთი წუთი-  
თაც არ იქმნება ხელოვნურობის  
შთაბეჭდილება, პირიქით, აზრი  
საოცარი სიზუსტით შეესატყვი-  
სება ფორმას და ფორმა შინაარსს.  
რუსთაველის სახე-სიმბოლოები  
ზუსტად შეესატყვისება ჩანა-  
ფიქრს, ნათელია და გასაგები, ფა-  
ქიზად გამოჩუქურთმებული და  
ემოციური ბრწყინვალეობით აჯა-  
დოებს მკითხველს.

<sup>3</sup> გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტი-  
კა, თბ., 1958, გვ. 352.

<sup>4</sup> იქვე.

აღორძინების პერიოდის მწერ-  
ლობაში რუსთაველი „პოეტურ  
მუზად“ დასახეს და თითქმის ყვე-  
ლა მხატვრული ქმნილება „ვეფ-  
ხისტყაოსნის“ სალაროდან ეზიდე-  
ბოდა ძვირფას სამკაულებს. ამი-  
ტომ, ბუნებრივია, რუსთაველის  
ლიტერატურული ხერხები ტრა-  
დიციულ მოვლენად იქცა.

ვარდ-ბულბულის სიმბოლიკა  
დაუდო საფუძვლად თავის შემოქ-  
მედებას აღორძინების ეპოქის  
ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმო-  
მადგენელმა თეიმურაზ პირველმა.  
ამ მხრივ იგი გაჰყვა რუსთაველის  
გზას.


თეიმურაზ პირველი, მსგავსად  
რუსთაველისა, ვარდის სიმბოლი-  
კით გამოხატავს საერთოდ სილა-  
მაზეს, ადამიანურ, ფიზიკურ და  
სულიერ სილამაზეს, სიყვარულს  
და მასთან დაკავშირებულ განც-  
დებს, მიწიერი ცხოვრების საა-  
მურ განცდებს. ადამიანთან დაკავ-  
შირებული სიმბოლოები გვხვდე-  
ბა „ლეილმაჯუნნიანში“.<sup>5</sup> „ერთ  
ღამეს იშენეს ორნივე, ჯერ ვარ-  
დი გაუშლელები“ (ლეილი, ყაი-  
სი); „რამეცა ეცოდნეს ყმაწვილ-  
სა ჯერ ვარდსა გაუშლილებსა“  
(ლეილი); „ქალი ნახეს, თქვეს თუ:  
— „ჟამად ვარდი გაშლად მოწიუ-  
ლა“ (ლეილი). ანდა — პოემაში  
„მიჯნურთ ამბავი იოსებისა და ზი-  
ლიხანისა“: „ვარდნი ნამთევნი გა-  
იფრჩქვენეს, რა დაენერგნეს ბა-  
რესა“ (ტარიელი, ნესტანი). „იძახ-

და: — „მოკვდი მიშველეთ!“  
ვარდი ზაფრანად ჰფეროდლა“  
(ზილიხანი).

ყველა შემთხვევაში ვარდი  
მშვენიერების, სილამაზის, სიცო-  
ცხლის ეპითეტია. როდესაც მწუ-  
ხარების გრძნობაა გამოხატული,  
ვარდს ფეროვნება აკლდება: „ვა-  
რდსა დაზრულსა მოასწროს მზის  
შუქი დასათბობელი“ (მიჯნურთ  
ამბავი). „ეტყოდეს თუ: „მზე არ  
მიხვდეს ყმასა ვარდი და ეზრო-  
და“ (ლეილმაჯუნნიანი). „ბაღსა  
შიგან ბანოვანნი ვარდსა თანა გა-  
ვარდდების“ (მიჯნურთ ამბავი). აქ  
მშვენივრადაა ასახული ვარდის გა-  
მაკეთილშობილებელი ბუნება, მი-  
სი სიტურფე და მომხიბვლელობა.

როგორც ვთქვით, თეიმურაზ  
პირველს ეხერხება ვარდის სიმ-  
ბოლიკით მრავალმნიშვნელოვანი  
ქვეტექსტით დატვირთული სახე  
ჩამოაყალიბოს: „გაშლილიყო თო-  
ვლზედ ვარდი ზროდ ჰგავს ალვად  
დანერგულსა“ (ლეილმაჯუნნიანი).  
თოვლი და ვარდი სრულიად სა-  
პირისპირო განცდათა აღმძვრელი  
სიმბოლოებია. თოვლთან დაკავ-  
შირებულია სიცივე, არარაობა,  
ვარდი კი სილამაზის, სიყვარუ-  
ლის, სიცოცხლის სიმბოლოა. ასე  
აქვს გაგებული ამ სიმბოლოთა  
მნიშვნელობა თეიმურაზსაც, მაგ-  
რამ იმისათვის, რომ ხატოვნად  
წარმოადგინოს ლეილისა და მაჯ-  
უნის სიყვარულის ტრაგიკული  
განცდები, სიყვარულისა და სი-  
ცოცხლის მშვენიერების სიმბო-  
ლო პოეტმა სიცივეს, არარაობას  
დაუკავშირა და შექმნა ღრმა აზ-

<sup>5</sup> მაგალითები მოტანილია წიგნიდან,  
თეიმურაზ პირველი, 1934.



რით დატვირთული მაღალმხატვრული სახე. ანდა რა მშვენივრადაა მწუხარების განცდა წარმოდგენილი ფრაზაში — „მზემან მიმრიდა ხელმქნილსა, მეწვივნეს ვარდთა ზრობანი“ (ლეილმაჯნუნიანი). ვარდი წარმოდგენილია სიცოცხლის სიმბოლოდ: „მას ასხამდენ ვარდის წყალსა, უნდათ სულად მოეყვანა“; ვარდი სახე-ბავის სიმბოლო: „პირად მზე და ბაგე ვარდი, ჩვენთვის ღზინად ეს გვეყოფის“; „დედა ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა დანამიანდეს“; ახალგაზრდობის, ქაბუჯობის სიმბოლო: „რამცა ეცოდნეს ყმაწვილსა ჯერ ვარდსა გაუშლილებსა“ (ლეილმაჯნუნიანი).

როგორც ვხედავთ, ვარდის სიმბოლო თეიმურაზ პირველთან ალეგორიული სახეებისთვისაა გამოყენებული და თითქმის ყოველთვის მიწიერი გრძნობების წარმოსახვას ემსახურება. ასეთივე ფუნქციას აკისრებს თეიმურაზი ვარდს, როცა მას განიხილავს ბუღბუღის სიმბოლიკასთან მიმართებაში. თეიმურაზ პირველის პოეზიაში ვარდი და ბუღბუღი ლამაზია, მიმზიდველი და სამიჯნუროდ ურთიერთისათვის საფერი. მაგრამ, როგორც ცალკეულ გამონათქვამებში, ისე სპეციალურად ამ თემაზე შექმნილ თხზულებაში თეიმურაზი იჩენს ერთგვარ თავისებურებას.

აკად. აღ. ბარამიძემ თეიმურაზ პირველის „ვარდბუღბუღიანი“ „სუფისტური მისტიციზმის“ გამომხატველ ნაწარმოებად მიიჩნია.

პოემაში გამოხატული სიმბოლიკა, საბოლოო ჯამში, როგორც დავინახავთ, მართლაც შეესაბამება სუფისტურ იდეას ამ ქვეყნად დაუკმაყოფილებელი სიყვარულის თვალსაზრისით. მაგრამ ეგ დასკვნა ძალიან განყენებული, ზოგადი მსჯელობით კეთდება. პოემაში გამოყენებული სიმბოლოები, მათ შორის ვარდი და ბუღბუღი, არც ერთხელ არ გამოხატავენ სასულიერო შინაარსს და მხოლოდ ამ ქვეყნიური სიცოცხლისადმი სიყვარულის გრძნობით არიან ფორმულირებულნი. სახეები გასაგებია და აზრი ნათელი.

გაზაფხულის, სიცოცხლის, ცხოვრების გარიჟრაჟის ფონზე თეიმურაზი „ვარდბუღბუღიანი“ იძლევა ყვავილთა დახასიათებას: იას წარმოადგენს როგორც ლამაზს, სურნელოვანს, მაგრამ თავმდაბალსა და კეთილს („არ თავი გაიზვია მან“). ასეთივე თვისებების არიან იასამანი, ზამბახი, სუმბუღი, ნარგიზი, ყაყაჩო, არღავანი, სოსანი, რეჰანი. მათი ნიშანთვისებაა სიკეთე და არა ბოროტება („არ თუ მზგავსი ეკალნართა“).

მოელიან ვარდს, ტურფასა და ლამაზს, ხელმწიფედ აღიარებულს: „ბაღა, ბაღჩა და წალკოტი შეამკო, დააშვენა მან, იგ მონად შექმნა ყოველნი თეთრ-წითლად შუქთა მფენამან“. ვარდი სურნელოვანია, მზე — ბრწყინვალე და ნათელი. ყვავილთა მეფე, შეუღარბელი სილამაზისაა — ასე ჰყავს დახასიათებული თეიმურაზს

ვარდი და ეგ შეესაბამება სახის რეალისტური ხატვის ბუნებას. ასევე რეალისტურადაა დასურათებული ბულბულის ვარდზე გამიჯნურება („იგ, მისთვის ხელი, ბულბული თავს ევლებოდა, მღეროდა“; „ბულბულისა რაღა გითხრა მრავალგვარად ყეფა, მღერა“).

შემდეგ ბულბულისა და ვარდის კამათში თეიმურაზ პირველი სიმბოლოთა მეშვეობით ნათლად წარმოადგენს მათ დამახასიათებელ თვისებებს. ბულბული მკითხველის წინაშე წარმოდგება, როგორც უზომოდ შეყვარებული, თავდადებული („აწ გაახშირებს ბულბული ტირილსა, სულთქმა, უშებსა“; „აწ მომკლა შენმა სურვილმან, საკვდავად შემომიტია“).

ვარდი ამაყია, მწყურალი, მიუკარებელი („შენ ვინ და მე ვინა“; „უფრო სხვა გვარი უნდოდა ჩემთვის გაჭრილი ველადო“; „მე ვარ ყვავილთა ხელმწიფე, ვის ხედავ ჩემისთანადო?“ „ვიც ვაწყენ, მაგრა არ ღირსხარ პირისპირ ჩემსა მხერასა“. „მე ბრძანებითა ღვთისათა სამოთხით მოვივლინეო“; „დაგწერეს ჩემად მიჯნურად — არ მიმაჩნიხარ ჩირადო“).

ნაწარმოები ალეგორიულ-სიმბოლური შინაარსისაა. სიუჟეტიც ამ ხერხითაა ფორმულირებული და ღრმა ქვეტექსტები მოეპოვება; დაუკმაყოფილებელი სიყვარულის ტრაგიკული განცდაც ამ საერთო იდეის გამოვლენას ემსახურება, თორემ სინამდვილეში თითქოს თეიმურაზ პირველის მი-

ერ ამ პოემაში გატარებული დედააზრი კიდევ ეწინააღმდეგება სუფისტურ-მისტიკურ გაგებას. ბულბული უსულოდ დაეცა. სუფისტური თეორიის თანახმად მოსალოდნელი იყო ბულბულისა და ვარდის სიკვდილი და საიქიოს სასუფევლის პოვნა. მაგრამ თეიმურაზთან ეს ასე არ ხდება. ვარდს შეებრაღა ბულბული, ცრემლიც გადმოსცვივდა, გულზე წყალი ასხურა, მოასულიერა. აქ ირკვევა, რომ სიყვარული ცალმხრივი აღმოჩნდა; ბულბული მიხვდა და სიამოვნებით დამორჩილდა ბედს — შორიახლოს დაჯდეს და უცქიროს სატრფიალო საგანს. კიდევ უფრო ამაღლდა ვარდი მის თვალში. პირიქით, ბულბული სიხარულით ეუბნება სატრფოს „შენს ჭკრეტაზედ სამოთხეში ყოფასაცა მე არ გავსცლი“. საინტერესოა, რომ „ვარდი“ მისტიკოს დოგმატიკოსების მსგავსად თეიმურაზის პოეზიაში საიქიო სილამაზის სიმბოლო კი არ არის, ვარდი იმიტომ კი არ ეუბნება ბულბულს სიყვარულზედ უარს, რომ მას ქრისტიანიზმის სამსახურში დგომის გამო არა აქვს ამ ქვეყნად მიჯნურობის უფლება, როგორც ეს „სანთელისთვისაა“ დამახასიათებელი „შამ-ფარვანიანში“, არამედ პირიქით, თეიმურაზის ვარდი ამქვეყნიური ტრფიალებისთვისაა დაბადებული და იგი სილამაზის მიუწვდომელი, დაუკმაყოფილებელი გრძნობის სიმბოლოა დასახულებული. მორწმუნე პოეტი სიმბოლურად მაინც ამქვეყნიური ცხოვრე-

ბის უპირატესობაზე მიუთითებს. ამასვე გამოხატავს ლექსში „გაბა-ასება ღვინისა და ბაგისა“, სადაც ღვინო და ბაგე ავტორს სიმბოლურად წარმოდგენილი აქვს როგორც ამ ქვეყნად სევდა-ვარამისაგან თავის დაღწევის საშუალება.<sup>6</sup>

ნათელმა სიმბოლო-ალეგორიებმა, რუსთველური ხერხით სახეების ფორმულირებამ, საერო მოტივების ერთგულებამ და ზოლოს ხალხის სიყვარულმა, მისი მოთხოვნილების გათვალისწინებამ თავისუფალი გახადა თეიმურაზის პოეტური ტალანტი და სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ მისი პოეტური სიტყვის მიმზიდველობის საიდუმლოება.

თეიმურაზ პირველს რომ თავისი პოეტური ტალანტი მთლიანად შეეზღუდა იმ მსოფლმხედველობრივი იდეებით, რასაც იმ პერიოდში სქოლასტიკოსი ქრისტიანული რელიგიის მესვეურები ქადაგებდნენ, ალბათ ვარდულებულიანისებური ემოციით გამსჭვალულ სტრიქონებს ვერ შექმნიდა. საერთოდ დებულებას, რომ თეიმურაზ პირველი ღრმა მორწმუნეა, საგანგებო მტკიცებაც არ სჭირდება. ეს გასაკვირიც არ არის, მოცემულ ეპოქაში მეფე-პოეტი სხვაგვარი მსოფლმხედველობით ალბათ წარმოუდგენელი იქნებო-

<sup>6</sup> სუფისტური იდეები უფრო რელიგიურად არის წარმოდგენილი „შამისა“ და „ფარვანის“ სიმბოლიკით პოემაში „შამ-ფარვანის“.

და.<sup>7</sup> თეიმურაზ პირველის ქრისტიანული რელიგიური გრძნობებრივლინდება თავისსავე თხზულებებში, რომლებიც ძირითადად სატრფიალო მოტივებზეა აგებული. პოეტი თვით გრძნობს უხერხულობას საეკლესიო დოგმატიკოსების წინაშე და სიმბოლური მითითებით ერთგვარ ბოდიშს იხდის.

პოეტი მოითხოვდა, ერთის მხრივ, აღორძინებულიყო საერო პოეზია, განვითარებულიყო და გაფურჩქვნილიყო იგი, მეორე მხრივ კი, რელიგიური მოტივების პოპულარიზაციის საჭიროებასაც აღიარებდა და ამ მხრივ ერთგვარი წვლილიც გაიღო. თეიმურაზს უხვად აქვს გამოყენებული რელიგიური დოგმატიზმის სფეროში შექმნილი სიმბოლური მეტაფორული სახეები, რომლებითაც მისტიკური იდეების პოპულარიზაციას ეწევა. ასეთი სახე-სიმბოლოები დამასასიათებელია პოემისათვის „შამ-ფარვანისი“. პოეტმა მაჰმადიანურ სამყაროში აღმოცენებული „შამი“ — სანთლის სიმბოლო ქრისტიანული სულით გამსჭვალა. „შამ-ფარვანისი“ მას „გარდმოულია“ სპარსულიდან. მიუხედავად ამისა სანთლის როლს და დანიშნულებას ის ვადმოსცემს ქრისტიანული თვალსაზრისით,

<sup>7</sup> ამ ეპოქაში პოეტმა ღრმა ქრისტიანულ რწმენას მაჰმადიანური სახელმწიფოების მუდმივი შემოსევებიც განაპირობებდა.

რაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო სპარსულ დედანში.

როგორც ვხედავთ, თეიმურაზ პირველმა „შამის“ და „ფარვანას“ სატრფიალო თავგადასავლის სიმბოლიკა განგებ, ტენდენციურად დაუკავშირა ქართულ ეკლესიას და ტრაგიკული სიყვარულის ფონზე (სანთელს როგორც ღვთის მსახურს სიყვარული არ შეუძლია. შეადარეთ ვარდს ამაყსა და მკაცრს, მიუკარებელს) ამტკიცებს ამქვეყნად მტკიცე მიჯნურული გრძნობის განცდის შეუძლებლობას. სახე-სიმბოლოებიც ამ იდეის შესაბამისად არის ფორმულირებული. აი ისინი: „შენ შემოქმედი ვერ გიცნა, ვერ მისწვდა მიუწვდომელსა“; „მას ადიდებენ, ვით ეგრეთ ტურფად და ნათლად შემოსა“; „ბრძანება ღვთისა ეს არის ამ ნივთზე დავიბადეო“ და სხვ.

ასეთი ქრისტიანული დოგმებით ჩამოყალიბებული სახე-სიმბოლოები ვერ მალდებიან ესთეტიკურ ფენომენამდე. ლამაზი სიტყვებით ფორმულირებულ სახე-ტროპებში ერთგვარი სიცივე იგრძნობა. ადარებს რა ურთიერთს მხატვრულობის თვალსაზრისით „ვარდბულბულიანსა“ და „შამ-ფარვანიანს“, მკვლევარი გ. ჯაკობია შენიშნავს: „რომ არა ორი-სამი მოულოდნელად სუსტი კონსტრუქციის ხანა, „ვარდ-ბულბულიანი“ თამამად ჩაითვლებოდა ჩვენი პოეზიის თვალმარგალიტად. და ეს იმ დროს, როდესაც „შამის“ მრავალი ლექსი ნაძალადევი ხელოვნების თვალსაზრისით, უხეშია მუსიკალობით

და ბლაგვია ლირიული განჭვრეტის მხრივ.“<sup>8</sup>

ქეშმარიტი თვალსაზრისით ამ ქვეყნიური ცხოვრების პრობლემათა შთაგონებული „ვარდბულბულიანი“ აღმოჩნდა თეიმურაზის ბრწყინვალე პოეტური ინდივიდუალობის გამოვლინების საშუალება. სქოლასტიკურმა ქრისტიანულმა დოგმატიზმმა კი ჩაახშო მასში პოეტური აზროვნების გამოვლინების უნარი და ამ თემებზე დაწერილი ლექსებიც უგემური და არაფრისმთქმელი აღმოჩნდა.

დასკვნა ერთია: იქ სადაც თეიმურაზი გაჰყვა რუსთაველის გაქვალულ გზას, ამქვეყნიურ ცხოვრებაზე დაყრდნობით სიმბოლოთა ფორმულირების თვალსაზრისით ბრწყინვალე შედეგები შექმნა, ხოლო სადაც აცდა ამ გზას და თავისი გულისთქმა ქრისტიანულ დოგმატიზმს დაუმორჩილა, საწინააღმდეგო შედეგი მიიღო.

ვარდის და ბულბულის სიმბოლიკა, როგორც იდეების წარმოსახვის ერთგვარი თავისებური ხერხი, მთელი ქართული აღორძინების პერიოდის მწერლობისათვის არის დამახასიათებელი. მაგრამ ისინი ძირითადად რუსთაველისა და თეიმურაზ პირველის მიმბაძველებად რჩებიან და ახალს არაფერს ქმნიან. ეგ პრობლემა ერთგვარი სიახლის ინტერპრეტაციით წარმოადგინეს დავით გურამიშვილმა და ბესარიონ გაბაშვი-

<sup>8</sup> თეიმურაზ პირველი, 1934, გვ. 267-268.

ლმა. ამ პოეტებმა ვარდისა და ბუ-  
ლბულის სიმბოლოები თავიანთი  
წინაპრების მსგავსად ამქვეყნიუ-  
რი წარმოსახვის საშუალებად და-  
სახეს. მაგრამ მათ სიმბოლოს ფუ-  
ნქცია ზნეობრივ სფეროში გადა-  
იტანეს და ამით კიდევ უფრო გა-  
ზარდეს მათი იდეური და ესთეტი-  
კური ზემოქმედების ძალა. დ. გუ-  
რამიშვილმა ვარდისა და ბულბუ-  
ლის სიმბოლიკა მეუღლეობრივი  
სიყვარულის ფონზე გაშალა. ბე-  
სიკმა კი ვარდი სატრფიალო-სამი-  
ჯნურო საგანს, ხოლო ბულბული  
მწერლის ლირიკულ გმირს დაუკა-  
ვშირა.

დ. გურამიშვილმა ამ თემას ძი-  
რიტადად ორი ლექსი უძღვნა „სი-  
მღერა“ („ვსტყვათ, რაც ვარდ-  
მან“) და „სიმღერა“ („საყვარელ-  
მან სიტყვა ავი მითხრა“).

პირველი ლექსის მიხედვით ბუ-  
ლბულს ვარდი შეჰყვარებია (მისი  
ცოლად შერთვა განუზრახავს), სა-  
წადელისათვის მიუღწევია, მაგრამ  
მაღე სიმდიდრის მოყვარულ,  
მსუბუქი ხასიათის ვარდს შეუძუ-  
ლებია ბულბული (ღირსეული მე-  
უღლე, მაგრამ ღარიბი), შეუყვა-  
რებია საერთოდ ბოროტებისა და  
გაუმადლობის სიმბოლოდ აღიარ-  
ებული, ვარდისათვის შეუფერე-  
ბელი, ფიზიკურად და სულიერად  
გონჯი ყვავი. ბულბულმა შეიგნო  
ვარდის ღალატის მიზეზი, თავი  
შეურაცხყოფილად ჩათვალა, დაგ-  
მო უღირსი ვარდი და შეიყვარა  
ასკილი, არა მისი საფერი, მაგრამ

მორალურად ჯანსაღი არსება (შეა-  
დარეთ: თეიმურაზთან ბულბული  
უზომოდაა შეყვარებული ვარდზე  
და ის ვერც კი ამჩნევს ვარდის  
უარყოფით თვისებებს). ასეთი  
მსუბუქი ხასიათის, მოღალატე ვა-  
რდი ბულბულისათვის არც არის  
ლამაზი. „შენი კარგი სილამაზე  
არს ჩემთვის ურგი“. — მიმარ-  
თავს იგი ვარდს. ვარდი კი გაკვი-  
რვებულია ბულბულის საქციე-  
ლით. კეკლუცი ვარდი ბულბული-  
საგან ამას არ მოელოდა.

დ. გურამიშვილის აზრით, ვარდ-  
ბულბულის ტრფიალების ტრაგი-  
კული მიზეზი მათ პირად კაპრი-  
ზებში არ უნდა ვეძებოთ. იგი გა-  
პირობებულია სოციალური მოვ-  
ვლენებით: „მე გაჭმევდი, მე გას-  
მევდი, მე გაცმევდი ტანთ, შენ  
დახარბდი მცირეს ძღვენთა სხვის-  
გან მონატანთ“ — ეუბნება ბულ-  
ბული ვარდს და აქ სიმბოლურად  
ფრთხილად არის მინიშნებული,  
რომ სოციალური მდგომარეობა  
(სიმდიდრე - სიღარიბე) განსაზღვ-  
რავს სიყვარულს. მოცემულ შემ-  
თხვევაში დ. გურამიშვილმა ალე-  
გორიულ - სიმბოლური ხერხით  
კლასობრივ-სოციალურ დაყოფა-  
ზე მიუთითა. ეგ რომ ასეა, ცხა-  
დად ჩანს სიტყვებში: „ფუ შენ  
ცრუო საწუთროო, ხარ არაფერი!  
ვარდს ყვავს შერთავ, ასკილს ბუ-  
ლბულს, არს რა საფერი?!“

კომენტარები ზედმეტია. რელი-  
გიური, ქრისტიანული რწმენით  
გამსჭვალულმა ქართველმა პოეტ-  
მა ვარდბულბულიანურ თემა-  
ტიკას ჩამოაცილა ყოველგვარი

რელიგიური საბურველი, მისტიკურ-სუფისტური მირაჟები და ამ ქვეყნად ცხოვრების მოწესრიგებისა და უზადო სიყვარულის ქადაგებისათვის ბრძოლა დაუსახა მიზნად. ამ მხრივ დავით გურამიშვილი ნოვატორია არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც.

ვარდ-ბულბულის სიყვარულის მორალურ-ზნეობრივი ტენდენციები აქვს წარმოდგენილი დ. გურამიშვილს ლექსში „საყვარელმან სიტყვა ავი მითხრა“. თუმცა ხსენებულ ლექსში გურამიშვილი თემატურად სცილდება ვარდ-ბულბულის მიჯნურობას. ამ ლექსის მიხედვით ვარდი, ბულბული პოეტის წარმოდგენით სინონიმური ცნებებია, სიტურფის, სილამაზის, მშვენიერების, მაღალზნეობისა და ყოველმხრივ სრულყოფილი არსების განსახიერებაა. ეს „ვარდი, ბულბულთ მრთავი“ — უმაღლესი მშვენიერება, შეჰყვარებია „ყვავის“ სიმბოლოდ დასახულ ლექსის ლირიკულ გმირს. ვარდმა, ბულბულმა (მშვენიერების სიმბოლომ) არ მიიღო ყვავი (ლექსის ლირიკული გმირი). სცემა, გარეთ გააგდო, გასწირა „საგლახაოდ“.

ყვავი — ლირიკული გმირი კიდევ უფრო გახელდა, მოედო ტრფიალების ცეცხლი: „ჩემზედ აიღო ხელია, მამიდვა ცეცხლი ცხელია!“

დ. გურამიშვილი სიმბოლურად ქვეტექსტით წარმოადგენს, რომ ყვავია დამნაშავე, ვარდ-ბულბული კი მართალი. ლექსის მეორე

ნაწილში ამ თვალსაზრისს ამყარებენ პოეტი, მკითხველს მოუთხრობს იმ დანაშაულის შესახებ, რაც ყვავმა ჩაიდინა ვარდის წინაშე.

სატრფომ ყვავს — ლექსის ლირიკულ გმირს მოსთხოვა, იყოს მისი ერთგული, არ თქვას ავი სიტყვა, არ იყოს „გულ-მზაკვარი“, ბოროტი, ყოველთვის თან ახლდეს გულმართლობა და იყოს სამართლიანი, დაიცვას ყოველმხრივ სიწმინდე“.

ეს ზნეობრივი კოდექსი ლირიკულმა გმირმა ვერ შეასრულა, სწორედ ამიტომ იქცა ყვავად — უღირსად. პოეტი პირდაპირ დაასკვნის:

რაც მე იმან შემიკვეთა,  
მე ის არ მეკეთა;  
მომიხხრა რაც საქნელადა,  
ყველა მეჩვენა ძნელადა.  
შენც დამგმობდი, თუ იცოდე,  
რაც მე იმას ვსცოდე;  
შევიქმენ მისი ურჩია,  
მე აუბზუე ტუჩია.

დ. გურამიშვილის დასკვნით აქაც სიყვარულის დაუქმყოფილებლობის მიზეზი ამ ქვეყნად საზოგადოებრივი ზნეობის შელახვაა და არა მისტიკური არარაობისაკენ სწრაფვის სურვილი.

ამ ლექსში ყურადღებას იპყრობს ბოლო სტრიქონები:

მკვიდრს საყვარელს გავყვარე,  
წუთი შევიყვარე;  
შემემთხვა დიდი ცოდვანი,  
მითვის მაქვს შფოთვა-ბორგვანი.

ამ ფრაზებში მოთავსებულ სიმბოლურ აზრს თუ ამოვხსნით, შე-

იძლება მკითხველმა „მკვიდრ საყვარელში“ მართლაც შეიძინოს ქრისტე ღმერთი, რომლის საგალობელი ასე მრავლად გვხვდება პოეტის შემოქმედებაში. მაშინ „წუთი“, რომელიც შეუყვარებია ლირიკულ გმირს, გულისხმობს ხორციელ, ქვენა გრძნობას, სიძვას და მაინც ამ შემთხვევაშიც ლექსს დაკარგული აქვს მისტიკური ხასიათი, რადგან მიზნად ისახავს ამ ქვეყნად, საწუთროში ადამიანის მორალურ-ზნეობრივ გაჯანსაღებას.

ვარდბულბულიანური თემატიკა თავისი შემოქმედების ქვაკუთხედად გაიხადა აგრეთვე ქართული ლექსის ისეთმა უებრო ოსტატმა, როგორცაა ბესარიონ გაბაშვილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვარდისა და ბულბულის სიმბოლოები ბესიკმა თავისებურად გაიხაზა და ამ მიმართებით ახალი სიტყვა თქვა ქართულ ლიტერატურაში, ვარდბულბულიანური სიყვარული ზნეობრივ-მორალურ-დიდაქტიკურ საკითხებთან დააკავშირა და სიმბოლოს ფუნქცია ზნეობრივი პოზიციებიდან განიხილა.<sup>10</sup> ბესიკის ქალები შემკობილია ქართული ყვავილნარისა და განსაკუთრებით ვარდის ძვირფასი თვისე-

10 ამ მხრივ ბესიკს თითქოს წინამორბედიც ჰყავდა გურამიშვილის სახით. მაგრამ აქვე შევნიშნავთ, რომ დავითო, როგორც პოეტი-შემოქმედი, თითქმის ბესიკის თანამედროვედ ითვლება. ამავე დროს, ჩვენი აზრით, ისინი ასეთ იდეაში დამოუკიდებლად მივიდნენ.

ბებით. პოეტს თითქმის არა აქვს ლექსი, სადაც სილამაზის ეს სიმბოლო ნახსენები არ იყოს. ვარდისა და ბულბულის სიმბოლიკის სწორად ამოხსნას, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბესიკის პოეზიის მართებული გაგებისათვის. ამ სიმბოლიკით ბესიკმა ძველი ქართული პოეზიისათვის საჭირობოროტო საკითხები, ზნეობრივ - მორალურ-დიდაქტიკური პრობლემები გადაწყვიტა, და გადაწყვიტა თავისებურად.

დიდაქტიკურ - ზნეობრივი მოტივები ძირითადად ბესიკის იმ ლექსებში გამოვლინდა, რომლებითაც პოეტი კრიტიკამ ეროტიული სიყვარულის აპოლოგეტად მიაჩნია. ესენია „ტანო ტატანო“, „დედოფალს ანაზედ“, „სევდის ბალი“. მართალია, ამ ლექსებში ჩანს ქალის გარეგნული სილამაზით მოჯადოებული ადამიანის განცდები, ლექსების ლირიკულ გმირს იზიდავს „ნარინჯნი ორნი, ტოლნი, სწორნი“, „წარბ-წამწამ-თვალნი, მისათვალნი, შემაზარები“, „ძოწლალ ბაგე-სულთწამარები“ და მართლაც ეს ლექსები ქალის გარეგნული მშვენიერების საგალობელია, მაგრამ ჩვენი აზრით, ამ ლექსების ღირსება მხოლოდ მხატვრული სამკაულებით არ ამოიწურება; მათში ღირსსაცნობი და მრავალმნიშვნელოვანი შინაარსია.

საერთოდ „სევდის ბალად“ კრიტიკოსები მიიჩნევენ ერეკლე მეორის სასახლის მიდამოებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ბესიკის „სევდის

ბალი“ კონკრეტული ვითარებით შთაგონებული ალეგორიულ-სიმბოლური მხატვრული სახეა, რომელშიც პოეტი საერთოდ ცხოვრებას უნდა გულისხმობდეს. ცხოვრების განჭვრეტის ფონზე „სევდის ბალში“ პოეტის ლირიკული გმირი ზოგადი განსახიერებაა ერთიანი მიჯნურობით მოჯადოებული პიროვნებისა, რომელიც დაისაჯა თავისი მგრძნობიარე თვისებებისა გამო.

„სევდის ბალის“ ციკლის ლექსებში ბესიკს წარმოდგენილი აქვს ვარდბულბულიანური სიყვარულის თემა, რომელიც ქართულ ლიტერატურაში თეიმურაზ პირველიდან მომდინარეობს. ამ თემას ბესიკი ერთგვარი სიახლის ელფერიით იხილავს. იგი სავსებით თავისუფალია ტრადიციული, აღმოსავლურ სუფისტურ-მისტიკური გაგებისაგან და უაღრესად კონკრეტული სახითაა წარმოდგენილი, თუმცა ეს კონკრეტული სახე სიმბოლურად ამაღლებულია ზოგადის შეგრძნებამდე.

„სევდის ბალში“ (ცხოვრებაში) პოეტის ლირიკული გმირი ეძებს სიხარულსა და ბედნიერებას, მოხიბლულია ვარდის მშვენიებით, რომელმაც დაატყვევა მისი გული:

„სევდის ბალს შეველ შენაღონები:  
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები.  
ვარდმან შემრისხა თავმომწონები,  
ისარი მტყორცნა დასამონები,  
სრულად მიმიღო ყოვლი ღონები“.

ბესიკის ვარდი არ არის მარტო-

ოდენ თავისი სილამაზით მოჯადოებული კადნიერი პიროვნება, ამაყი, უკარება, სასტიკი და უღმრთო მობელი, როგორც ეს თეიმურაზ პირველთან გვხვდება. პირიქით, იგი ადამიანია, მგრძნობიარე არსება, მაგრამ ზნემაღალი და სინდისიერი.

„სევდის ბალის“ მიხედვით ტრაგედიის მიზეზი ზნეობის შელახვაა. მწვავეა მისი განცდა და ამაღლევებული. დიდი აღმზრდელობითი ფუნქციის მატარებელია სიტყვები:

„ვინცა განხვიდენ დამაშვრალები,  
შეიქნებოდნენ ჭირნაკრძალები“.

ეს სიტყვები უნებლიეთ გვაგონებს დ. გურამიშვილის ზემოთმოტანილ სტრიქონს. მსგავსი გრძნობები არ უნდა გამოააშკარაოს ადამიანმა, უნდა ეკრძალოს, თორემ ისევე სავალალო მდგომარეობაში ჩავარდება, როგორც მგოსანი.

მეც მომხვდა სოფლის მკვლელი  
ბრჭყალები:

ბესიკი სიკვდილს არ ვემალები,  
თავი მაქვს მისთვის შენაწონები.

შედეგი ნათელია. პოეტი გმობს თავისი ლირიკული გმირის მოქმედებას და მოუწოდებს ახალგაზრდობას, თუ სურთ თავი დააღწიონ ცხოვრებაში ტრაგიკულ მდგომარეობას, იბრძოლონ ამ ქვეყნად ამაღლებული სიყვარულის დამკვიდრებისათვის. ამით ბესიკი თითქმის სრულიად გაემიჯნა აღორძინების ეპოქაში გაბატონებულ თვალსაზრისს, რომ მიჯნურობა

მხოლოდ საიქიოშია შესაძლებელი.

ასეთივე იდეაა აგრეთვე ლექსში „ბულბული მოდის მწუხარებით“, სადაც დიდაქტიკური დამოძღვრებით ქვეცნობიერად, სიმბოლურად არის შეგრძნობილი; ძნელია აღადგინო ერთხელ შელაზული ავტორიტეტი, საჭიროა თავიდანვე არ დაკარგო იგი, იყო ფრთხილი და მოკრძალებული, წინაღმდეგ შემთხვევაში ადამიანის ხვედრი არის ტრაგიკული განცდა.

„სიკვდილო, მოდი,

მიიბარე სული.

მებადემ დასწყლა და დაპკოდა

ბულბულის გული!

მკვდარი ბესიკი, მოდი, მნახე,


ჩამიდგი სული,

თუ გინდ მიწასაც მიმბარე

მოყვრის ენითა!“

ასეთივე გაგებაა მოცემული ლექსში „მე მივხვდი მაგას შენსა ბრალეზსა“, სადაც თვალნათლივ არის ნაჩვენები, რომ საჭიროა ადამიანმა თავიდანვე გამოიჩინოს გონიერება, თორემ შემდეგში ვერავითარი მონანიება ვერ უშველის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე დავასკვნით, რომ ბესიკმა დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი საკითხები ძირითადად ზნეობრივ სფეროში გადაიტანა. პროტმა თავისი ლექსებით ამაღლებული მიჯნურობის, სულიერი სილამაზის გრძნობისაკენ მისწრაფებაც გამოამყლავნა და იქადაგა ზნეობრივ-მორალური განსპეტაკებისაკენ ლტოლვის აუცილებლობა, რითაც ახალი ქართული ლიტერატურის დიდ წინამორბედად მოგვევლინა.



დალო შაკაშიძე

# მხატვარი და მანამედროვეობა

## საიუბილეო გამოფენის დარბაზიდან

კარგა ხანია ბათუმის მხატვრულ ცხოვრებაში სამხატვრო გამოფენებმა თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა, რაც ძირითადად განაპირობა ჩვენს ქალაქში გახსნილმა საგამოფენო დარბაზმა.

შარშან აქ მოწყობილ ხუთ სამხატვრო გამოფენას ასი ათასამდე დამთვალიერებელი ეწვია. ორი თვე მოქმედებდა და ყველაზე მეტი წარმატება ხვდა აჭარის მხატვრების ნამუშევართა გამოფენას, მიძღვნილს სსრ კავშირის 50 წლისთავისადმი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სახვითი ხელოვნების ყველა ჟანრის 110 ნაწარმოები, რაც აჭარის მხატვრების ძლიერ შემოქმედებით პოტენციულზე მიუთითებს.

მრავალფეროვანი იყო გამოფენის თემატიკა, მაგრამ ნაწარმოებთა უმრავლესობა ხალხთა ლენინური მეგობრობის, პროლე-

ტარული ინტერნაციონალიზმის იდეებს გამოხატავდა.

გამოფენაზე საკმაოდ მდიდრულად გამოიყურებოდა ფერწერა. ჩანს, ჩვენს მხატვრებს კარგად ესმით დაზგური ფერწერის მნიშვნელობა სახვით ხელოვნებაში და ამ სახის ნაწარმოებთა შექმნისას მაღალ პროფესიულ ცოდნასთან ერთად ახალ შემოქმედებით ძიებასაც ამკლავებენ.

ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის შ. ხოლუაშვილის „ხალხური შემოქმედნი“. ის გამოფენის ექსპონატთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. არც თუ ისე რთული კომპოზიციის თემად აღებულია ჩვენში საკმაოდ გავრცელებული ხის საოჯახო ჭურჭლის მკეთებლის სახელოსნო, სადაც ორი ფიგურაა წარმოსახული. ჩვენი ხელმარჯვე

თანამემამულე უკრაინელ ოსტატს მასპინძლობს. ეს სტუმრობა უბრალო მონახულება არ არის. მხატვრის მიერ გააზრებული და პერსონაჟთა მიგნებულად გადმოცემული ფსიქოლოგიური დახასიათება იმაზე მიუთითებს, რომ ისინი კარგად იცნობენ ერთმანეთს, მეგობრობენ და თავიანთ გამოცდილებას სიყვარულით უზიარებენ ურთიერთს. მნახველი კარგად გრძნობს, რომ მასპინძელი ისეთი მარჯვე გერგილია, რომლითაც მოხიბლულია სტუმარი.

სურათი ყურადღებას იქცევს ფერწერული ტექნიკის თვალსაზრისით; მსუბუქი, თავისუფალი, მსუყე მონასმები, მუქი ყავისფერი და თბილი ტონები, კოლორიტის შეგრძნების უნარი ამ ქმნილებას მეტ შთამბეჭდავს ხლის.

ბოლო წლებში შ. ხოლუაშვილმა შექმნა დაზგური ფერწერის რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც ექსპონირებული იყო რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე. ამათგან მოწონება დაიმსახურა სურათებმა: „ფიროსმანი, ბათუმში“, „1921 წელი აჭარაში“, „ბათუმელი მეზღვაურები“, „ქართული მილიცია დიდ სამამულო ომში“. აღსანიშნავია, რომ მისი ფერწერული ტილო „1924 წ. 21 იანვარი“ სოციალისტური ქვეყნების რამდენიმე ქალაქში მოწყობილი საბჭოთა მხატვრების ნამუშევართა მოძრავი გამოფენის მნიშვნელოვან ექსპონატს წარმოადგენდა. სურათში თავისებურად არის გადმოცემული ვ. ი.

ლენინის გარდაცვალებით გამოწვეული დაძაბული დრამატული სიტუაცია. სამგლოვიარო განწყობილების შექმნას ხელს უწყობს სურათის ნოვატორულად გააზრებული კომპოზიცია.

აჭარის ასსრ დამსახურებულმა მხატვარმა შ. ზამთარაძემ ექვსი ფერწერული ნამუშევარი გამოაფინა. ორი მათგანი რთულ კომპოზიციას წარმოადგენს, ხოლო ოთხი ეტიუდური ხასიათისაა.

ისტორიულ რევოლუციურ თემაზე დაწერილი „დიადი განთიადი“. იგი ერთგვარად ყურადღებას იქცევს კომპოზიციის ექსპრესიულობით და ისეთი ფერთა გამით, რომელიც ერთბაშად იზიარებს დამთვალეირებელს და დიდი ხნით ცქერის სურვილს აღუძრავს. ცოცხალი, მოძრავი, მტკიცე რწმენის ადამიანების დახატვით მხატვარი კარგად გვაგრძნობინებს განზრახული თემის მთელ სიუჟეტს. ეს ადამიანები — მეზღვაურები — იმ ისტორიული შტურმის მონაწილენი არიან, რომელმაც მსოფლიოს ახალი ერის დასაწყისი აუწყა.

დაზგური ფერწერის მეორე ნიმუშს, რომელსაც მხატვარმა უწოდა „დიდება შრომას, სწავლას!“ ჩვენ არ მივიჩნევდით ავტორის მნიშვნელოვან გამარჯვებად. მრავალფიგურიანი კომპოზიცია უფრო მოიგებს, თუ მხატვარი მას დამთავრებულად არ მიიჩნევს, განსაკუთრებით ყურადღებას მიიქცევს გამოსახული პერსონაჟების სრულყოფილად დახატვას,

მათ ფსიქოლოგიურ დახასიათებას.

არ შეიძლება პატივი არ მიეზღოს მხატვრის ინდუსტრიულ თემებზე შესრულებული ფართო პლანის ეტიუდებს. ისინი გვხიბლავენ წარმოსახული თემების თავისებური გააზრებით და წერის იმ ფაქტურით, რასაც მხატვარი ოსტატურად ფლობს.

გამოფენაზე გამორჩეული საკუთარი ხელწერით ყოველთვის სიამოვნებას გვგვრის აჭარის ასსრ დამსახურებული მხატვარი ნ. იაკოვენკო. იგი უფრო დაზგურ ფერწერას დებს პატივს და მეტწილად ცდილობს ნაკლებად მრავალფეროვანი კომპოზიციების შექმნისას ყოველთვის იპოვოს თავისი თავი. ამჯერად მხატვარი გამოფენაზე სხვადასხვა ზომის ოთხი ნახელავით წარსდგა ფერწერისა და გრაფიკის ტოლფარდობით.

ნ. იაკოვენკო ყურადღებას იმითაც იქცევს, რომ დიდი მონდომებით ეკიდება აჭარის მხატვრების „საკუთარ თემებს“. აბა ვინ უკეთ, თუ არა ბათუმელი მხატვარი, უნდა იცნობდეს მეზღვაურთა ხიფათიან, მაგრამ პოეტური ბუნების ცხოვრებას, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრს ჩვენი ქალაქი წარმოადგენს.

ნ. იაკოვენკოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ასეთ თემებზე მუშაობის დროს მარტო სურვილებით კი არ იფარგლება, არამედ ღრმად სწავლობს მეზღვაურ-

თა ცხოვრებას. ამის ნათელი დადასტურებაა მხატვრის საკმაოდ მოზრდილი ფერწერული ტოლფარდობა „რეისიდან“. შორეული ნაოსნობის შემდეგ, შეღამებისას შინ ბრუნდება რიგითი მეზღვაური. მისი სიხარული უსაზღვროა—დასახვედრად საყვარელი მეუღლე მოსულა და ჩვილი ბავშვიც თან მოუყვანია. ასეთი ლირიკული სცენის გადმოსაცემად მხატვარმა ნავსადგურთან ახლო მდებარე ვიადუკი გამოიყენა, საიდანაც ღამის ბნელ ფონზე კარგად მოჩანს გაჩირაღდნებული ქალაქის სანაპირო და თვით გემსადგომი. გვხიბლავს პერსონაჟთა პლასტიკური ნიუანსები, კარგად შეხამებული, მეტწილად ცივი ტონები.

აკვარელის ფერებში შესრულებული მეორე სურათი დაზგური გრაფიკის შესანიშნავი ნიმუშია. მიგნებული სახელი „შვილის ამხანაგი“ ნათლად გვაუწყებს სურათის სიუჟეტს. სამამულო ომში დაღუპული შვილის დედა სასოწარკვეთილებას მოუტაცავს, მაგრამ ეს არ არის აგონია. მას შეატყობინეს, რომ შვილი გმირის სიკვდილით დაეცა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. სწორედ ამიტომ იგი ვალდებულია ძალები მოიკრიბოს და ვაჟაკურად გადაიტანოს მწვავე სულიერი ტკივილი. ასევე დამაჯერებლად არის გააზრებული შვილის ამხანაგის იერსახე. პირისახის გამომეტყველება მის დიდ შინაგან მწუხარებაზე მიუთითებს. მას ძლიერ გაუჭირდა ცუ-

დი ამბის გამხელა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. სურათში დახატული ორი დანარჩენი ფიგურა ხელს უწყობს მძაფრი სიუჟეტის გახსნას.

საკმაოდ რთული ამოცანა დაისახა მხატვარმა თ. ჯალაღანიამ. მან ხელი მოჰკიდა ბათუმელ მეთევზეთა შრომის თემაზე მრავალფიგურიანი ფერწერული კომპოზიციის შექმნას. ბათუმის თევზჭერის ფლოტი რამდენიმე ბრიგადას ითვლის, მაგრამ ის სეინერი, რომელსაც სახელმძღვანელო მეთევზე გ. უკლება ხელმძღვანელობს, გამოირჩევა და დამსახურებულად ატარებს კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდებას. ამ ბრიგადამ უკვე შეასრულა მიმდინარე ხუთწლედის გეგმები და ამჟამად 1976 წლის ანგარიშში მუშაობს. მხატვარი საკმაოდ დროის მანძილზე აგროვებდა მასალებს, სწავლობდა მეთევზეთა ხიფათით სავსე შრომას და სასურველი ნაყოფიც მიიღო.

მორიგი რეისიდან დაბრუნებული სეინერი, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც უხვი ნადავლით დატვირთული უახლოვდება სანაპიროს. შრომაში გამარჯვებულ მეთევზეთა ბრიგადას მოხეიმე განწყობილება დაუფლებია.

თითქმის ფრონტალურად გადაწყვეტილ კომპოზიციას ღირსებას ანიჭებს მხატვრის მიერ გააზრებულად და საკმაოდ დამაჯერებლობით დაყენებული ფიგურები, რომელთა პირისახის გამომე-

ტყველება კარგად გადმოგვცემს მათს ეროვნულ კუთვნილებას.

გამოფენის თვალსაჩინო ადგილას, ერთმანეთზე მიჯრით, თითქმის ერთნაირი ზომის სამი ფერწერული სურათი იყო წარმოდგენილი. მათი ავტორები ს. ართმელაძე, ლ. სეიდიშვილი, ა. ბაკურიძე ძიების გზაზე დგანან. ისინი მეტნაკლები მონდომებითა და შემოქმედებითი ალტყინებით ქმნიან ჩვენი კუთხისათვის დამახასიათებელ თემებზე ისტორიული და საყოფაცხოვრებო-ჟანრული სიუჟეტების შემცველ ნაწარმოებებს.

ს. ართმელაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთიანი აჭარის მეტად მიმზიდველი და კოლორიტული პეიზაჟი, იქაური ვაკე-ცური შემართების ადამიანები ასე სრულყოფილად ფერწერულ ტილოებზე ჯერ არავის აუშეტყველებია. ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მხატვარმა თავისი თავი ამოსწურა. ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ს. ართმელაძე სწორ შემოქმედებით გზას ადგას და იგი ყოველმხრივი მხარდაჭერისა და შექების ღირსია. ჩვენი რჩევაა პეიზაჟის მისეული შეგრძნების ფონზე წარმოსახული ფიგურების ხატვას მეტი ყურადღება დაუთმოს.

ბათუმელ მწერალთა და მხატვართა წრეში კარგი სახელითაა ცნობილი პოეტი და მხატვარი ლ. სეიდიშვილი. ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც შემოქმედი შესანიშნავად ახ-

ამებს ერთმანეთში პოეტისა და მხატვრის ნიჭს. თუმცა ისიც მოსატანია, რომ ბევრჯერ თავის მტვრევა დასჭირვებია იმის გამოკვევას, თუ რომელ დარგში ავლენს იგი მეტ ტალანტს. აქ ტ. შევჩენკოს მაგალითის დასახელებაც საკმარისია.

ლ. სეიდიშვილის მიმართ ასეთი მსჯელობა ჯერჯერობით ნაადრევია. ფერწერული ტილო, რომელსაც ავტორმა „უმაღო ოჯახი“ უწოდა, კარგად არის ჩაფიქრებული, მიმზიდველია კომპოზიციის თვალსაზრისითაც, მაგრამ მხატვარი რატომღაც დაუმთავრებელ ფიგურებს გვთავაზობს.

ახალგაზრდა ფერმწერმა ა. ბაკურიძემ არც თუ ისე დიდი ხანია სამხატვრო აკადემია დაამთავრა. მაგრამ ყველა გამოფენაზე ახალი ნაწარმოებები გამოაქვს. უწინარეს ყოვლისა საკითხავია, რამდენად სწორ შემოქმედებით გზაზე დგას ახალგაზრდა მხატვარი? უნდა შევნიშნოთ, რომ ეს გზა ფრიად მოსაწონი და გამართლებულია, ოღონდ ვურჩევ დით ჯერჯერობით თავი შეიკავოს მრავალფიგურიანი, რთული ფერწერული ამოცანებით დატვირთულ ნაწარმოებთა შექმნისაგან. ამის დროც დადგება. ამის ნათელი დადასტურებაა ფართო პლანის სურათის — „წითელი არმიის შემოსვლა აჭარაში“ — გვერდით მოთავსებული მხატვრის დიდი გემოვნებით და ოსტატობით შესრულებული აჭარისა და სვანეთის პეიზაჟები.

დამთვალეიერებელთა ინტერესს გამოიწვია ახალგაზრდა მხატვრების ზ. წულაძისა და ზ. ხაბაძის მოზრდილმა ტილოებმა. ისინი ყურადღებას იქცევენ თავისებური ფერწერული ტექნიკით, კომპოზიციის ექსპრესიული აგებით და პერსონაჟთა სიმბოლური გამოხატვით.

ზ. წულაძემ თავის ნაწარმოებებს „მოსავლის კურთხევა“ და „თემიდა“ უწოდა, ხოლო ზ. ხაბაძემ „კოსმონავტები“, „მშენებლები“ და „წყურვილი“. როგორც ვხედავთ, ძირითადად თემები რეალური სინამდვილიდანაა აღებული, მაგრამ რეალისტური ხელოვნების მოთხოვნებს ნაკლებად აკმაყოფილებენ. ამ ორი ხალასი ნიჭის მხატვარს უნდა ვურჩიოთ თავი დააღწიონ გამოსახვის სიმბოლური ფორმებით გატაცებას და რეალისტური ფერწერის პოზიციას დაადგენ. მაშინ მათი ნაწარმოებები მიწიერ ნიმუშებს უფრო დაემსგავსება.

ნათქვამი ისე არ უნდა გაგვიგონ, თითქოს ამ ორი მხატვრის შემოქმედებაში დადებით ელემენტებს ვერ ვპოულობდეთ. თუმცა ვუწუნებთ დეკორაციულობით ზედმეტად გატაცებას და ცხოვრებასთან ნაკლებ სიახლოვეს, სამაგიეროდ მოხიბლული ვრჩებით ფიგურებში გაცნაურებული დინამიურობით და ბუნებისადმი თავისებური სიყვარულით. აქ არც შაბლონით შებოჭვასა და უხეშ სქემატიზმს ვამჩნევთ. ისინი კარგად გვაგრძნობი-

წებენ მხატვრულ სიფაქიზესა და ფერთა ტონების ჰაეროვნებას.

ასეთ შენიშვნებს იმსახურებს აგრეთვე ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის გ. ტულუშის „დასვენება მინდვრად“. ამ მხატვრის ბოლო წლების ნამუშევრები ჰოლონებას იმსახურებენ საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებზე. ზოგიერთი მათგანის („ახალგაზრდა“) რეპროდუქციები ბევრმა ჟურნალმა და რესპუბლიკურმა გაზეთმა გამოაქვეყნა, ხოლო ჟურნალმა „დრუჟბა ნაროდოვ“ ფერად ამონაბეჭდთან ერთად პატარა შესაქები წერილიც მიუძღვნა. დასაინანია, რომ მისი ბოლო დროის ნაწარმოებნი მხატვრის წინვლაზე არ მეტყველებს. გაცილებით მოსაწონია გ. ტულუშის მეორე ლითოგრაფიული წესით ამონაბეჭდი გრაფიკული ფურცელი „ცისარტყელა“.

გამოფენის დამთვალეირებულთა ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა ფერმწერის ხასან ინაიშვილის მომცრო ზომის ტილოებმა. მეხსიერებაში ყოველთვის გვრჩება ხ. ინაიშვილის მისეული ორიგინალური ფერწერის ტექნიკით შესრულებული ნაწარმოებები. იგი კარგად გრძნობს ფერების სინატიფეს, დიდ ყურადღებას უთმობს შუქჩრდილებს, კოლორიტს და თავისებური ფაქტურით გვხიბლავს. როდესაც უცქერთ მის ნახატებს, უნებლიეთ გებადებათ აზრი — ნუთუ დრო არ არის მხატვარმა ხელი მოჰკიდოს რთული სასურათო ამოცანებით

დატვირთული კომპოზიციების შექმნას? ისიც უნდა ითქვას, რომ ხ. ინაიშვილის ფართო პლანის ეტიუდები დამოუკიდებელი სიუჟეტის მატარებელია.

ფერმწერელი კოჩიეგი პეიზაჟებით არის გატაცებული, ყოველთვის კმაყოფილების გრძნობა გვიაყრობს მისი ცოცხალი და ხალისიანი ფერწერის გაცნობისას. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის თქმა არ შეიძლება მის ბოლო ნამუშევარზე, ახლახან დამთავრებულ ტილოზე „სოციალისტური შრომის გმირი ქ. გოგიტიძე“. იგი ფართო ხედის გორაკზე გაშენებული ჩაის პლანტაციის ფონზეა წარმოსახული. ავტორის ჩანაფიქრს მნახველი კარგად გრძნობს, მისთვის მთავარია გვიჩვენოს ბუნებაზე ადამიანის გაბატონების ნაყოფი. მაგრამ მხატვარმა ვერ შესძლო ასეთი რთული ჩანაფიქრის მხატვრულ ენაზე დასაჯერებლად ამეტყველება.

ფერწერის განყოფილებაში ე. კვერნაძისა და ნ. მგელაძის ნამუშევრებსაც ვეცნობით. ზოგიერთი მნიშვნელოვანი ელემენტის მიუხედავად (განსაკუთრებით ე. კვერნაძის „მეგობრობა“), ეს ნაწარმოებები ფერწერული თვალსაზრისით დიდ ყურადღებას ვერ იმსახურებენ, რადგან მათი ავტორები სახვითი ხელოვნების სხვა სფეროდან „მოსული სტუმრები“. ერთიც და მეორეც პროფესიული განათლებით მხატვარი-კერამიკოსია, მაგრამ ჩვენს პირობებში ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა

ადგილობრივი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების სისტემაში მოწყობილიყო მხატვრული კერამიკის საამქროები, სადაც შეიძლებოდა მხატვრების აქტიურად დასაქმება. ამიტომაც ისინი იძულებული ხდებიან მათგან „შორს მდებარე“ უანრის ნაწარმოებები შექმნან.

ისიც აღსანიშნავია, რომ ვ. კვერნაძისა და ნ. მგელაძის წინა გამოფენებზე ექსპონირებული სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული ნიმუშები მოწონებას იმსახურებენ.

ი. მარტინოვის სახელი ხშირად გვხვდება გამოფენებზე. მას უყვარს აჭარის მთიანი პეიზაჟის, განსაკუთრებით კი ზღვის სანაპირო ხედების სიუჟეტურად გააზრებული ეტიუდების წერა. აქ ავტორი მაღალ გემოვნებასთან ერთად იმასაც ამყლავნებს, რომ კარგად იცის ნატურის ფასი. მარტინოვის მიერ წარმოდგენილი არცთუ ისე მოზრდილი ზომის სურათი „ხულოში გამოფენა გაიხსნა“ ყურადღებას იქცევს მხატვრული გააზრებით და კომპოზიციით. სურათში ხულოელთა ის აღტაცება აღბეჭდილი, რაც გამოიწვია აჭარის მხატვართა ნამუშევრების მოძრავმა გამოფენამ. ჩვენი სურვილია მხატვარმა ეს ნამუშევარი მომავალი დიდი სურათის ესკიზად ჩათვალოს და მის ხორცშესასხმელად დრო დაენერგა არ დაიშუროს.

აჭარის ასრ ხელოვნების დამ-

სახურებული მოღვაწე მ. ბოლქვაძე ქართველ მოქანდაკეთა შორის საკმაო პოპულარობით სარგებლობს. იგი ერთნაირი მოწონებებით მუშაობს ბრტყელი და მრგვალი ქანდაკების დარგში. მან აჭარის მოქანდაკეთა შორის პირველმა დანერგა მრავალფიგურიანი კომპოზიციური ქანდაკების სახე, აგრეთვე მკვირვ მასალაში ნიმუშების გადატანის ტექნიკა.

საგამოფენო დარბაზში მის ორ ახალ ნამუშევარს გავეცანით. სამი, ნატურალური ზომის თბავირში ჩამოსხმული, ვ. ი. ლენინის თავი, უთუოდ არის მოქანდაკის წინსვლის მაჩვენებელი.

მ. ბოლქვაძეს დიდი ბელადის მრავალი იერსახე აქვს გამოქანდაკებული. ვ. ი. ლენინის სახის მხატვრული გახსნა, განსაკუთრებით ქანდაკებაში ადვილი არ არის, მით უფრო, რომ ამ თემაზე სახელმოხვეჭილ მხატვრებს და მოქანდაკეებს მრავალი შედეგო აქვთ შექმნილი. მ. ბოლქვაძე ტოლს არ უდებს ბევრ საბჭოთა ოსტატს. მის მიერ გამოძერწილი ბელადის არაერთი იერსახე და მხატვრულ ღირსებებს შეიცავს და მიუთითებს მოქანდაკის ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიების სასიხარულო შედეგებზე. ეს ახალი ბიუსტიც ამის ნათელი დადასტურებაა. მოქანდაკემ მოახერხა სახის ცალკეული ნაკვთების, განსაკუთრებით ტუჩების ჭრილის, ცხვირის ნიუანსების ოსტატური დამუშავება, პლასტიკური და რბილი გადასვლების მოხდე-

ნილი შერწყმა ისე, რომ მოდელი ანფასსა და პროფილშიც შთამბეჭდავად გამოიყურება.

მნიშვნელოვანია მოქანდაკის მყარ მასალაში (ბაზალტი) დამუშავებული აჭარლის პორტრეტი, რომელიც მნახველს ხიბლავს ეთნოგრაფიული ნიშნების მქონე პირისახის პლასტიკური გამოსახულების ოსტატური დამუშავებით.

ორივე ეს ქმნილება ლაპიდარული კომპოზიციის ნიმუშებს წარმოადგენს.

გამოფენის სკულპტურის განყოფილებაში ორი ახალბედა მოქანდაკის ე. გურგენიძისა და ო. დარჩიას სახელები გვხვდება. აქ წარმოდგენილი ნაწარმოებებით ისინი არა დამწყები, არამედ საკმაოდ ჩამოყალიბებული მოქანდაკის შთაბეჭდილებას სტოვებენ.

ო. დარჩია გვთავაზობს სხვადასხვა ზომის ოთხ ქანდაკებას, რომლებშიც ნათლად ჩანს ავტორის განზრახვა არაკონკრეტულ პიროვნებათა განზოგადებული სახეები გამოძერწოს. პატარა ზომის ერთფიგურიან კომპოზიციას მოქანდაკემ „ჩემი თანამედროვე“, ხოლო მეორეს „ჭაბუკი“ უწოდა. აქვეა თავი ორი ნატურალური ზომის მუშისა და ფიგურა ათლეტური აღნაგობის სპორტსმენი ქალისა. მოდელების შერჩევისას ავტორი დაინტერესებულია ზომიერი პლასტიკური ფორმების ძიებით და შინაგანი განწყობილების გადმოცემით.

ახალგაზრდა მოქანდაკის ე. გუ-

რგენიძის არჩეული გზა შედარებით სხვა მიზნებისაკენ მიემართება. იგი თითქმის არ ცდილობს მოდელის ცალკეული ნაწილების პლასტიკური ანატომიის ზუსტი მოთხოვნის დამუშავებას. მისთვის უფრო მთავარია ადამიანის სქემატური იერსახის გამოძერწვა, რომელიც დატვირთული იქნება ნებისმიერი, ავტორისათვის მოსაწონი, ხშირად მომეტებული ზომის ფორმებითაც და შორიდან აბსტრაქტული სილუეტის წარმოსახვად აღიქმება.

ე. გურგენიძე ავტორია იმ ქანდაკებისა, რომელიც ქ. ბათუმის კინოთეატრ „თბილისის“ წინ სკვერში იდგა და ბევრი მნახველის გაოცებას იწვევდა. გაზეთების რედაქციებში რამდენიმე შეკითხვა შევიდა — მოითხოვდნენ განემარტათ ამ ფიგურის შინაარსი.

ე. გურგენიძის ეს ნაწარმოები, მართლაც, ცალკე აღებული, აბსტრაქტული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. ერთმანეთთან კიდურებშერწყმული ქალის სხეულის მეტად პირობითი ფორმები გაუგებარ ქმნილებად აღიქმება, მაგრამ სადაც იდგა, იქ უთუოდ ჰქონდა გამართლება, არქიტექტურულ ანსამბლში დეკორაციული ელემენტის ფუნქცია ეკისრებოდა. ავტორმა და მისმა ნაწარმოებმა ადგილშენაცვლებით ვერ მოიგეს. ახლა ის ზღვისპირა პარკის დეკორაციულ მცენარეთა ფონზე უკეთესად არ გამოიყურება.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ე. გურგენიძე მთლიანად არაქანსაღ შემოქმედებით პოზიციებზე იდგეს და მის ძიებებს პატივს არ ვღებდეთ.

დამთვალეობები გამოფენებზე ყოველთვის ეცნობიან ნიჭიერი მოქანდაკის ვ. ჩიზმენჯიანის ნამუშევრებს. ავტორი თავს გვაწონებს დახვეწილი გემოვნებითა და თავისებური სტილით.

ამჯერად ბიუსტის ფორმაში შესრულებული ს. ორჯონიკიძის პორტრეტი მის შემოქმედებაში წინ გადადგმულ ნაბიჯად არ ჩითვლება, იგი დეკორაციული დანიშნულების ბუტაფორიას უფრო ჰგავს, ვიდრე მხატვრულ ქმნილებას.

ბათუმელები კარგად იცნობენ აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, აჭარაში ქანდაკების პიონერის, ახლახან გარდაცვლილ ტ. ჭანტურიას უმთავრესად მრგვალი სკულპტურის ნიმუშებს. საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მოქანდაკის სახელოსნოს ექსპონატებიდან შერჩეული ერთი ქანდაკება — მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჰაიდარ აბაშიძის სკულპტურული პორტრეტი, რომელმაც გამოფენას შნო და ლაზათი შემატა.

საკმაოდ მდიდრულად და მრავალფეროვნად გამოიყურება გრაფიკის განყოფილება. სასიხარულოა, რომ ბოლო დროის გამოფენებზე იმრავლა ესტამპის ტექნიკით შესრულებულმა ნაწარმოე-

ბებმა. ამ წინაშე მომუშავე მხატვანმა მხატვარმა, აჭარის ასსრ დამსახურებულმა მხატვარმა სეჩენიანმა გამოაფინა გრაფიკების მთელი სერიის ანაბეჭდები, რომლებზეც გამოსახულია ჩვენი კუთხის მოწინავე ადამიანები. გ. სეჩენიანი კარგად გრძნობს ნახატის სინატიფეს და თავისუფალი მონასმით დიდ წარმატებებსაც აღწევს. საინტერესოა ფურცლები, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სახალხო არტისტი მ. ხინიკაძე, მწერალი პარმენ ლორია, გემთსაშენი ქარხნის მოწინავე მუშები, მოსწავლე გოგონები, თევზჭერის ფლოტის სახელგანთქმული ადამიანები.

აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. იმნაიშვილი ბოლო დრომდის სახვითი ხელოვნების სხვადასხვა წინაშე მუშაობდა, მაგრამ იგი, როგორც საინტერესო შემოქმედი, თავის თავს მხოლოდ მაშინ პოულობდა, როდესაც გრაფიკის ხელოვნების ნიმუშებს ქმნიდა. შემთხვევითი არ არის მისი სიყვარული ბრჭყვი-ალა აკვარელის ფერებისადმი. ამის ნათელყოფას წარმოადგენს „ხიდი დანდალოში“, „ძველი სახლი ბათუმში“, „ზღვის ნაპირის გამაგრება“, „კოშკურა ამწე“.

დ. იმნაიშვილი ყოველთვის აქტიური შემოქმედების თემებს ეძებს. მას კარგად ესმის აჭარის ბუნებისადმი არა მარტო მკვიდრთა, არამედ მრავალრიცხოვან სტუმართა აღტაცებული დამოკიდებულება. ამიტომაც ჩვენი კუ-

თხის პეიზაჟს მის შემოქმედებაში წამყვანი ადგილი უკავია. მხატვარს კარგად ესმის პეიზაჟის უანრის სირთულე, რაც პირველ რიგში ფოტოგრაფიული აღბეჭდვის გავლენისაგან შორს დგომას ძლიერ ხდის. მისი პეიზაჟები არა უბრალო ეტიუდებია, არამედ წარმოსახულია როგორც ჩვენთვის აუცილებლად საჭირო უბანი, რომელიც ადამიანის გავლენის სფეროშია მოქცეული და მის ინტერესებს ემსახურება. ამ სახის ნამუშევართა უმრავლესობა უფრო მეტად დაზგური გრაფიკის სრულყოფილ სახეს ატარებს, მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ დიმიანაშვილი ნაკლებად ცდილობს მისი ხელოვნება ფართოდ გააცნოს ხალხს. მის სახელოსნოში უამრავი ნაწარმოებია თავმოყრილი, რომელთაც ჯერ კიდევ ექსპონატის ფუნქცია არ შეუსრულებია. ახლაც აშკარად ჩანს მხატვრის სიძუნწე — გამოფენაზე მხოლოდ აკვარელის რამდენიმე ფურცელი წარმოადგინა.

ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა მხატვრის გ. მესხის ფერწერული ძეგლები. იგი ყოველთვის მორიდებული, ერთი შეხედვით თითქოს ნაკლებად აქტუალურ თემებზე სხვადასხვა ტემპიკით შესრულებულ პატარა ზომის ნაწარმოებებს აფენს. მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად შენიშნავს, რომ ავტორის ნიჭიერება უფრო ძლიერად გრაფიკულ ნიმუშებში ვლინდება. ასეა აშკარადაც. მისი ფერწერული ეტიუ-

დები დამთვლიერებლებზე უფრო ნაკლებ შთაბეჭდილებას აღდენენ ვიდრე აკვარელის თხილ, მიმზიდველ და ცოცხალ ფერებში განსახიერებელი მომცრო ზომის დამოუკიდებელი სიუჟეტის შემცველი ნაწარმოებები. აკვარელის თავისებურ სიძლიერეს გვაგრძნობინებს მხატვრის „ძველი თბილისი“, „თბილისის ძველ უბანში“, „ქალაქის ხედი ნავსადგურიდან“, „ბათუმის კუთხე“.

ამ განყოფილებაში დამთვლიერებელი ახალბედა მხატვარი ქალის, უთუოდ შესანიშნავი შემოქმედებითი პერსპექტივის მქონე ნიჟარაძის რამდენიმე ნაწარმოებს ეცნობა. მრავალფეროვანია მისი სადებიუტო ცდები; ფერწერულ ეტიუდთან ერთად ჭედურობის ნიმუშსაც გვთავაზობს, მაგრამ მაღალმთიანი აჭარის მკვიდრთა ყანრულ თემებზე ტუშით შესრულებული მინიატურული გრაფიკული ფურცლები მეტი სიამოვნების გრძნობას გვგვრის. თუ ახალგაზრდა მხატვარი შემდეგში თავის ხალას ნიჭს უმთავრესად გრაფიკის საინტერესო დარგს მოახმარს, უთუოდ მნიშვნელოვანი შემოქმედებითი გამარჯვების მოწმენი გავხდებით.

მსოფიან მხატვარს ა. აირაპეტოვს ძლიერ იზიდავს ნავსადგურის თემები. ამჟამადაც მათურებლის წინამე ზღვის მოტივებით ამღერებული, აკვარელის ფერებში შესრულებული პეიზაჟების მთელი სერია გამოაფინა. კარგად არის ჩაფიქრებული „ნავ-

სადგური, „მეთევზეთა ნავსადგური“, „ბათუმის ხედი“. პეიზაჟების გვერდით სიუჟეტური ეტიუდებიც გვხვდება. ასეთია „ჩამოვიდნენ ზღვაზე“. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ აირაპეტოვი თავისებურად განიცდის წყლის საღებავებს, გაურბის ბრწყინვალე გამომხატველი კოლორიტის შექმნას. ამის შედეგად ჩვენ ხელში გვრჩება მონოტონური, ნაკლებად მიმზიდველი, მზეს მოკლებული გრაფიკული ფურცლები.

ამ განყოფილებაშია ი. და რ. ბარდანაშვილების რამდენიმე აკვარელის ჩანახატი, რომლებიც მოსაწონ დონეზე შესრულებულ ნაწარმოებებს განეკუთვნება.

ერთგვარი სინანულის გრძნობა გიპყრობთ, როდესაც ახალგაზრდა მხატვრის ჯ. მიქელაძის სახელის ძებნაში მხოლოდ პატარა ზომის კარგად შესრულებულ, მაგრამ შინაარსის მიხედვით არაფრის მთქმელ აკვარელის ეტიუდს მიაგნებთ. ამ ნიჭიერ მხატვარს არ ეპატიება ასეთი პასიურობა.

თეატრალურ - დეკორაციული ფერწერა ხელოვნების თავისებური ქანარია. აქ მხატვარი თითქოს ნაკლებად არის დაინტერესებული თემის ძიებითა და მისი სიუჟეტური გააზრებით. მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. შემოთავაზებული სიუჟეტი ლიტერატურულ სქემას წარმოადგენს, რომლის მხატვრული ხორცშესხმისათვის მხატვარს მეტად რთული გზის გაკვლევა უხდება; აქ, პირ-

ველ რიგში, სცენის სპეციფიკის ცოდნასთან ერთად საჭიროა მოქმედ პირთა ხასიათების გახსნისათვის შესაფერი გარემოს მხატვრულად წარმოსახვა, რაც ხელს შეუწყობს პიესის სიუჟეტისა და დრამატურგიული კონფლიქტების მაყურებლამდე მიტანას. ამიტომ თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების ნიმუშები დამოუკიდებელ ნაწარმოებებად განიხილება, მაგრამ ასეთი დამოუკიდებელი ნაწარმოები მარტო რეჟისორის მიერ ჩაფიქრებული დეკორაციის ესკიზს როდი წარმოადგენს. აქაც სინამდვილის ფერებით ასახვას ისეთივე ნიჭიერებაა აუცილებელი, როგორც ჩვეულებრივ ყველა მხატვარს სჭირდება.

აჭარის ასსრ ხელოვნების დასახურებული მოღვაწე ა. ფილიპოვი ყველა გამოფენას თავისი დეკორაციული ფერწერის ნიმუშებით ამრავალფეროვნებს. თუმცა, ისიც შეინიშნება, რომ მხატვარი სრულიად არ არის გატაცებული რაოდენობით. ერთი სპექტაკლის მხატვრული გაფორმებისათვის შესრულებული რამდენიმე ნიმუშიდან მხოლოდ ზოგს თვლის გამოფენის ღირსად. ამჟამად ჩვენ ვეცნობით ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებათა სამ ნიმუშს, რომლებიც უდავოდ იქცევენ ყურადღებას.

თეატრალურ - დეკორაციული ყაიდის ნაწარმოებები წარმოადგინა ჯერ კიდევ სამხატვრო აკა-

დემიის სტუდენტმა ქ. ხოლუა-  
შვილმა. მას უცდია შექსპირის  
„რომეო და ჯულიეტას“ რამდე-  
ნიმე ესკიზის შექმნა, და არც თუ  
უშედეგოდ.

ჭედურობამ ბოლო პერიოდის  
ქართულ ხელოვნებაში მნიშვნე-  
ლოვანი ადგილი დაიკავა. ამჟამად  
მთელს კავშირში ცნობილია ქარ-  
თული ჭედურობის დიდი ოსტა-  
ტები, რომლებიც მნახველთ ხიბ-  
ლავენ ლითონის ფურცლებზე  
არაჩვეულებრივი მხატვრული გა-  
აზრებით შესრულებული ბატალ-  
ური თუ ლირიკულ-ჟანრული სი-  
უყეტების კვეთილობით.

ამ მხრივ ჩვენც შეგვიძლია თა-  
ვი მოვიწონოთ. ბათუმელი მხატ-  
ვრების რიგებში ხუთი ისეთი ახა-  
ლგაზრდა ნიჭიერი შემოქმედია,  
რომლებიც სამოღვაწეო ასპარე-  
ზად ჭედურ ხელოვნებას მიიჩნე-  
ვენ. ამ მხატვრების ნამუშევრები  
გამოირჩევა მაღალი ოსტატობით.  
ისინი, მიუხედავად ახალგაზრ-  
დული ასაკისა, მეტწილად ფარ-  
თო პლანის სიუჟეტებს გვთავა-  
ზობენ, სადაც ფიგურები მიმზიდ-  
ველი ლირიკული ფორმებითაა  
წარმოსახული. ეს სიუჟეტები გა-  
დაწყვეტილია ზოგჯერ ფრონტა-  
ლურად, ზოგჯერ კიდევ მრავალ-  
განზომილებათა წესით. როდესაც  
ამ ნიმუშებს ეცნობით, ერთი აზ-  
რი გებადებათ: ნუთუ ამ ნამუშე-  
ვრების ავტორები სხვადასხვა პი-  
როვნებებია? — დიახაც, ვ. ბჟა-  
ლავას, ა. გაგნიძის, ჯ. ცინცაძის,

თ. ლლონტის მიერ შემოთავა-  
ზებული ნაწარმოებები ერთნა-  
რი, მაღალი ოსტატობის გამოკ-  
ლინებას წარმოადგენენ. ამის მი-  
უხედავად დაკვირვებული თვალი  
უთუოდ შეამჩნევს ისეთ ნიუან-  
სებს და თავისებურ შტრიხებს,  
რომლებიც თითოეულ მათგანს  
დამოუკიდებელი ძიებისა და მხა-  
ტვრულ-ტექნიკური საშუალებე-  
ბით აღჭურვილ ოსტატად წარმო-  
გვიდგენს.

ვ. ბჟალავა ორი მოზრდილი  
ზომის ფერწერულ ტილოსაც  
გვთავაზობს, რომელთა ქებისაგან  
თავს შევიკავებდით, მაგრამ ძლი-  
ერ გავგახარა ბატიკის წესით შეს-  
რულებულმა „ზღვა და გოგონებ-  
მა“.

გამოფენის ექსპონატთა მრავა-  
ლფეროვნებას თავისებურად ამ-  
დიდრებს გამოყენებითი ხელოვნ-  
ების ორი ოსტატი ქალის ო. ჩა-  
ჩუა-სელეზნიოვასა და მ. ხალვა-  
შის ნაკეთობანი და ქსოვილი.

მსცოვანი ოსტატი ჩაჩუა-სე-  
ლეზნიოვა შემოქმედებით მუშა-  
ობაში მკაცრი მომთხონია, რო-  
გორც სხვების ისე საკუთარი თა-  
ვის მიმართ. სხვა მხატვრებისაგან  
განსხვავებით, იგი გამოფენას მუ-  
დმივ მასპინძლობას უწევს, რამ-  
დენჯერმე შეათვალიერებს საკუ-  
თარ ნაწარმოებებს და აკარგია-  
ნობაზე თვითონვე გამოაქვს მსჯა-  
ვრი. ყოფილა შემთხვევები, უკვე

მოწონებული უკანვე წაუღია და სხვა ნაწარმოებით შეუცვლია.

საქმე ის არის, რომ მხატვარი არასოდეს არ ელოდება გამოფენას, იგი თავაუღებლად მუშაობს და თავისი წვლილი შეაქვს კერამიკული ხელოვნების განვითარებაში. მხატვრის სახელოსნო კერამიკის ნაწარმთა თავისებურ მუზეუმს წარმოადგენს, სადაც ფაქიზი გემოვნებით შესრულებული სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ტერაკოტული ნიმუშებია გამოფენილი. „საფელამუშე“ — ასე უწოდა მხატვარმა ექვსი ლამბაქიანი ჭიქისა და ყელაწეული დოქისაგან შემდგარ მოჭიქურებულ სერვიზს. თითოეული მათგანის გამოსაჩენ მხარეს ამშვენებს ლამაზად ამოკვეთილი ქართული ვაზის მტევნები და ფოთლები.

მ. ხალვაში იმ ახალგაზრდა მხატვართა რიგს განეკუთვნება, რომელიც დიდ პატივს სცემს თავიდან არჩეულ ჟანრს. ამჟამად შეუძლებელია საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილი ან ისეთი კულტურული ოჯახი დავასახელოთ, სადაც გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები არ გვხვდებოდეს. მაგრამ ეს ნიმუშები მაშინ აღწევს მიზანს, როდესაც გაბატონებულ საგნებს არ წარმოადგენენ, პირიქით, ფერთა და ფორმით მოკრძალებული ადგილი უკ-

ავიათ და თითქოს შეუმჩნევლად მონაწილეობენ მაღალი გემოვნების მხატვრული გარემოს შექმნაში. ასეთი ხასიათის ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება მზია ხალვაშის დეკორაციული ქსოვილის ნიმუშები. ყველას თავისებურად მოგვწონდა მისი ამასწინანდელი მოზრდილი გობელენი „ბერიკაცები“, რომელზეც არაჩვეულებრივი მოძრავი მანერით იყო ამოქარგული სამი ხანდაზმული მამაკაცის ფიგურა. ამის შემდეგ თითქოს ბევრი დრო არ გასულა და გვაოცებს, როგორ მოასწრო ამ ახალგაზრდა მხატვარმა ახალი, კვლავ მოზრდილი სიუჟეტიანი გობელენის დამზადება. აქ სამი ლამაზი ქალის ფიგურას ვხედავთ. ისინი ჩონგურს უკრავენ და მღერიან.

მ. ხალვაშის შრომისმოყვარეობაზე ლაპარაკობს გამოფენილი ლაკონური ფორმის მიმზიდველი ჩანახატებიც.

აჭარის მხატვართა ოჯახი დღეს საკმაოდ დიდია. იგი 40 კაცს აჭარბებს. ამ რიცხვში საგრძნობ ძალას წარმოადგენს ახალგაზრდობა. ბევრმა მათგანმა წარმატებით დაამთავრა სამხატვრო აკადემია და უკვე თავი გაგვაცნო დამოუკიდებელი, ნიჭიერად შესრულებული ნაწარმოებებით. მაგრამ ეს პროფესიული დაოსტატების გზაზე დადგომის დასაწყისია მხოლოდ.

გამოფენის გულდასმით გაცნობისას გათვითცნობიერებული მნახველის გონებაში ბევრ შემოქმედებით გამარჯვებასთან ერთად აღიბეჭდება ზოგიერთი საღაო, საზოგადოების ფართო ფენებისათვის გაუგებარი და აშკარად დასაგმობი ტენდენციებიც კი. გამოფენის თემატიკაც მთლიანად ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენი კუთხის აღორძინებული ეკონომიკისა და კულტურის მიღწევებმა, ადამიანთა სოციალურ და სულიერ ცხოვრებაში მომხდარმა გარდატეხამ ბათუმელი მხატვრების შემოქმედებაში ვერ ჰპოვა სათანადო ასახვა. ზოგჯერ ყურადღების გარეშეა დატოვებული ინდუსტრიული და საკომერსო აჭარის წამყვანი თემები.

ჩვენი მხატვრები ნაკლებ ყურადღებას იჩენენ ისეთი თემებისადმი, როგორცაა მთელი რესპუბლიკისათვის. საამაყო საქართველოს საზღვაო სანაოსნო, ნავსადგური, გემთსაშენი, მანქანათსაშენი თუ ელექტრომრეწველობის დარგები, მეჩაიეთა, მეთამბაქოეთა და მეციტრუსეთა ცხოვრება.

ზღვის თემა ვინ, თუ არა ბათუმელმა ფუნჯის ოსტატებმა, უნდა აქციონ თავიანთი შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ სფეროდ. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სინა-

მდვილეთა, რომ დღემდე მხატვართა საკმაოდ მრავალრიცხოვან ოჯახში არ გვყავს მარინისტი, უფრო მეტიც — ზღვის ჩვეულებრივ ხატვასაც გაუბრძან.

გამოფენის ნაკლად პორტრეტის ხელოვნების უგულებელყოფაც უნდა ჩაითვალოს. მხოლოდ ერთმა მხატვარმა გამოიტანა რამდენიმე გრაფიკული პორტრეტი.

თვალში გეცემათ მხატვართა პროფესიული დაოსტატების შემდგომი ამალღებისადმი ინერტული დამოკიდებულება. ბევრი მათგანი იდეურ-მხატვრული ზრდისათვის საჭირო მონღომებას ნაკლებად ამქდავენებს და აკლია პასუხისმგებლობისა და სერიოზულობის გრძნობა.

თუ მხატვრები დაზგური ფერწერის სფეროში მოპოვებული წარმატებისათვის შევაქეთ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ ნაკლოვანებები არა აქვთ. ამ ბოლოდროს სპეციალური პერიოდიკის ფურცლებზე გამოითქვა ჩვენში დამკვიდრებული ერთი ცუდი ტრადიციის დაგმობის საჭიროება. საქმე ის არის, რომ დაზგური სურათის შესაქმნელად ზოგჯერ გათვალისწინებული არ არის ის რთული გზა, რომელიც მხატვარმა უნდა გაიაროს. სერიოზული დაფიქრების, ხანგრძლივი ძიების შემდეგ შექმნილი მომავალი სურათის ესკიზის დასრულებ-

ბულ მხატვრულ ნაწარმოებად ქცევისათვის საჭიროა მასალოების ძებნა, სურათის თემის მთლიანად სწორად გააზრება, შემდეგ ნატურაზე მუშაობა, ეტიუდების შექმნა. ასეთი რთული პროცესი შემოქმედებით ნიჭთან ერთად ხანგრძლივ დროსაც მოითხოვს.

ჩვენს მიერ განსახილველად აღებული ექსპოზიცია მთლიანად ერთ წელზე ნაკლები შემოქმედებითი შრომის ნაყოფია. ამიტომ არის, რომ ექსპონატთა უმრავლესობა, განსაკუთრებით დაზგური ფერწერის ნიმუშები, ხშირად ზერელე, სქემატური, უფრო მეტად დეკორაციულია. აქ უგულვებელყოფილია პლენერზე და ნატურაზე ხანგრძლივი მუშაობა.

გამოფენის ზოგიერთი ექსპონატის წინ რომ დგახართ, ძალაუნებურად გაგონდებათ ფრანგი მოქანდაკის დ. ანჟერის შემდეგი სიტყვები. „ერთმა მხატვარმა თავის დაკუნთულ ხელებზე მიმითითა და შესძახა — ამ ხელებს ჯერ კიდევ ბევრი სურათის შექმნა შეუძლიაო. რაფაელი რომ ცოცხალი ყოფილიყო, თავის გულზე მიუთითებდა“. მოსწრებულად არის ნათქვამი. გამოფენის საპატიო ადგილას მოთავსებული ზოგიერთი ნაწარმოებიც კი გულით გაკეთებული არ არის.

შემოქმედისთვის აუცილებელია ნახატის ხელოვნების ღრმა

ცოდნა. ჭეშმარიტი მხატვარი, რომელ უნარშიც არ უნდა ბუნებრივად იგი, დაუფლებული უნდა იყოს ნახატის რთულ ტექნიკას.

უან ოგიუსტ ენგრი ამბობდა: „ვიდრე საღებავებით წერას შეუდგებოდე, დიდხანს ხატე. მხოლოდ მაშინ შეგიძლია დამშვიდებული იყო, როცა მკარ ფუნდამენტზე ხარო“.

დიდი რეალისტი მხატვარი გუსტავ კურბე ამბობდა, რომ „ჭეშმარიტი მხატვარი ის არის, ვინც თავის შემოქმედებას იქიდან იწყებს, სადაც იგი მისმა წინამორბედებმა დაასრულესო“. ჩვენი ზოგიერთი ახალგაზრდა ცოდნის შეძენით არ არის დაინტერესებული. მისი ნამუშევარი მშვენიერების, ესთეტიკური გემოვნების უგულვებელყოფის შთაბეჭდილებას სტოვებს.

დენი დიდრო ამბობდა: „არ კმარა მარტო ნიჭი, გემოვნებაც საჭიროა გქონდესო“. გემოვნების გრძნობა ჩვენი ზოგიერთი მხატვრისათვის აუცილებელ დამახასიათებელ თვისებად არ ქცეულა. ყოველი მხატვრული ქმნილება ადამიანებზე იდეურ-შემოქმედებას ესთეტიკური გზით აღწევს, ესთეტიკური მხარე განსაკუთრებით წინა პლანზეა წამოწეული სახვით ხელოვნებაში.

ზოგიერთი მხატვრის შემოქმედებით პრაქტიკაში ძლიერ გაიდგა ფესვები პრიმიტივიზმისადმი

მიდრეკილებამ. მაგრამ მათი პრი-  
მიტივიზმი ძლიერ შორს დგას  
ხელოვნების ისტორიაში ცნობი-  
ლი ნიჭიერი მხატვრების შემოქ-  
მედებისაგან, როდესაც სურათში  
გამოხატულ საგანთა დეტალური  
დამუშავების ხარჯზე უდიდესი  
ნიჭიერებით ვლინდებოდა კომპო-  
ზიციის კლასიკური აგებისა და  
ფერების არაჩვეულებრივი შეგრ-  
ძნების უნარი. ჩვენი მხატვრების  
პრიმიტივიზმი უფრო მეტად მია-  
მიტურია, გულუბრყვილობის, და-  
ბალი ცოდნისა და მხატვრობის  
ტექნიკით ცუდად აღჭურვის დე-  
მონსტრაციაა.

საჭიროა მხატვართა კავშირის  
გამგეობამ დასახოს ღონისძიებე-  
ბი, რომლებიც უზრუნველყოფენ  
აჭარის მხატვრების პროფესიუ-  
ლი ზრდის პროცესებზე ერთგვარ  
კონტროლს. უნდა ეწყობოდეს  
ცალკეული მხატვრის ან მხატვა-  
რთა ჯგუფის შემოქმედებითი მი-  
ვლინებები აჭარის საწარმოებში,  
კოლმეურნეობებსა და საბჭოთა  
მეურნეობებში.

ყოველწლიურად უნდა ეწყო-  
ბოდეს საგაზაფხულო და საშე-  
მოდგომო გამოფენები, აგრეთვე  
პერსონალური გამოფენები. ბო-  
ლო ორი ათეული წლის მანძილზე  
მოეწყო მხოლოდ ერთი მხატვრის  
პერსონალური გამოფენა.

არადამაკმაყოფილებელია ახა-

ლგაზრდა მხატვრების სექციის  
საქმიანობა. როგორც ითქვა,  
ჩვენთან არიან ახალგაზრდა მხატ-  
ვრები, რომლებიც სისტემატურ  
მზრუნველობას, კონტროლსა და  
დახმარებას საჭიროებენ. არადა-  
მაკმაყოფილებლად დგას მხატვ-  
რებში იდეურ-პოლიტიკური მუ-  
შაობა.

მხატვართა კავშირის გამგეო-  
ბამ ზომები უნდა მიიღოს იმისა-  
თვის, რომ ყველა მხატვარი მუ-  
შაობდეს ხელოვნების იმ ქანრში,  
რომელიც მის შემოქმედებით შე-  
საძლებლობას, მიდრეკილებასა  
და უნარს შეეფერება.

კავშირის გამგეობას ისიც უნ-  
და ვურჩიოთ, რომ დროა რამდე-  
ნიმე შემოქმედებითი სექცია მა-  
ინც შექმნას. თუ გავითვალისწი-  
ნებთ, რომ 15-ზე მეტი მხატვარი  
ფერმწერელია, 7 გრაფიკოსი, 10-  
მდე გამოყენებითი ხელოვნების  
დარგში მომუშავე, თავისუფლად  
შეიძლება სამი სექციის ჩამოყა-  
ლიბება. ამ სექციებს ექნებათ გა-  
მგეობის მიერ დამტკიცებული  
სამუშაო გეგმები და მხატვართა  
შორის მუშაობა უფრო ინტენ-  
სიურ ხასიათს მიიღებს.

კავშირის გამგეობამ ფართოდ  
განიხილა საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის ცნო-  
ბილ მოღვაწეთა მიმართვა კულ-  
ტურის მოღვაწეებისადმი, რომ-



ლის მიზანია აქტიურად გამოენ-  
 მაურონ პარტიული, საბჭოთა,  
 პროფკავშირული, კომკავშირული  
 აქტივის მიმართვას რესპუბლიკის  
 მშრომელებისადმი და ყველაფე-  
 რი გააკეთონ მაღალიდებურ მხატ-  
 ვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელ-  
 ად, რომლებშიც სრულყოფილად  
 იქნება ასახული ჩვენი სახელო-  
 ვანი მუშათა კლასის, საკოლმეუ-

რნეო გლეხობის, ინტელიგენციის  
 თავდადებული შრომა, რომ საქა-  
 რთველოს მწერლებმა, მხატვრებ-  
 მა, კომპოზიტორებმა, თეატრისა  
 და კინოს მუშაკებმა თავიანთი  
 წვლილი შეიტანონ კომუნიზმის  
 მშენებლობის დიად საქმეში.

ახლა საჭიროა სიტყვიდან საქ-  
 მეზე გადასვლა, აღებული ვალ-  
 დებულებების განაღდება.



1

6 67/117



ფასი 40 კპ.

**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**„ЧОРОХИ“**

**ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
ИНДЕКС 78118**